

**პაპუნა ქვარიანი**

# **ს ი ზ ა ნ ი**

გამომცემლობა „ქართული წიგნი“  
თბილისი  
2022

პოემა ხიზანი 30 წლის წინ დაიწერა და 1999 წელს წიგნად დაიბეჭდა. ესლა განახლებულია. ვიცით, რაოდენ რთულია პოეტური ეპოსის შექმნა. ასე რომ თავისთავად, ეს ნაწარმოები შეესაბამება დღევანდელი გამოძახილს და საინტერესო იქნება მომავლისთვის.

რედაქტორი – მიხეილ კაკაბაძე

კორექტორი – ციცილო გეგეჭკორი

ტექნიკური რედაქტორი – მანანა ტატალაშვილი

# ხ ი ზ ა ნ ი

## პ რ ო ლ ო გ ი

იშვიათ სუნთქვის მაღლი სცხია სიტყვის საუნჯეს,  
მიფორიაქებს ცოდვილ სხეულს სიმწრის ზარები;  
მინდა გრძნობების აზვირთებულ ტალღას წარვუძღვე,  
მაგრამ ანაზღად ქსელში გაბმულ მსხვერპლს ვედარები.

2

რა უსუსური არის ერთობ ჩემი ზრახვანი,  
ჟამთა სიავეს ნებისყოფის სიამეს ვწირავ,  
მივდეგ საწუთროს უთავბოლო ქაქანქაქანით,  
ამ სახნავ მდელოს ციურ ცრემლის ზღვა გადასილავს.

3

როს იფურჩქნება ნორჩი ყლორტი მზიურ წყალობით,  
მას არ ადარდებს უცაბედი ქარიშხლის სუსხი;  
მეტყველის სმენა ინუსხება ფრინველთ გალობით,  
გული დროებით ისამარებს წუხილის ქუხილს.

4

მაშინ როდესაც აპოლონი დემონებს სწყალობს,  
ანგელოზები ამზადებენ ციურ ავგაროზს,  
სიტყვიერებით სავსე ხარო უნდა დაცვალოთ,  
რომ შეემატოს მარგალიტი სულის სალაროს.

5

როს სიყმაწვილეს გალაღებულს, ოცნებით სავსეს  
გზას გადაუჭრის საშინელი სიკვდილის ლანდი,  
ხილულ სამყაროს კომმარები ბურუსში ახვევს  
და უსაშველოდ პაექრობენ ცოდვა და მადლი.

6

როცა იმძლავრებს მოვარდნილი სევდის მორევი,  
ველარ დატკბება ველად მყოფი ყვავილთ სურნელით,  
იგი სიკეთეს არსაიდან თუ არ მოელის,  
ღია ცისქვეშ მყოფს შეამფოთებს ჟამი მუდრევი.

7

გაოგნებული ხალას განცდებს ქარს რომ ვატანდი,  
კმაყოფილების გრძნობა გაქრა მაშინ სრულიად,  
ჩემს არსებაში დაბოგინობს ვნება ღატაკი,  
რადგან იმედი უგზოუკვლოდ დაკარგულია.

8

აშკარად ჩანს, რომ ფესვშემპალი კაცთ სიბოროტე  
ლამაზ ნიღაბით აკეკლუცდა უფსკრულის პირას;  
ვერ ამოწურავს სიტყვის მარავს ენა ბოლომდე,  
მუზების მეფე საგალობლის გასაღებს ქლიბავს.

9

რადგან უფალმა ადამი და მისი ჯაღაბი  
დედამიწაზე შემოხიზნა თავის სახატედ,  
კაცობრიობას მათმიერი ცოდვის ნამატი  
გაასასტიკებს გაურკვეველ ზღვარის წაშლამდე.

10

გარდაუვალი, უსიამო ამბავთ გარშემო  
საერთო ტკივილს ქვეცნობიერ მიმოვაშუქებ,  
მინდა, ტაიჭი გაუცვეთელ ნალით დავჭედო,  
რომ გავეჯიბრო თემშარაზე უკვლავ აშულებს.

11

ეჭ, ფარატინა სურვილებო გაძარცვულებო,  
გაგამზეურათ შთაგონების გამოსხივებამ;  
წამხედურობით მივეყვებოდი ბრბოს უგუნებოდ,  
გახრწნილ დილემას ეჩენება გამოცდილება.

12

ამ წუთისოფლის ქარტეხილის ვიწრო ბილიკით  
ვერ გავეუსწორდი უსასრულო სივრცის განედებს;  
ამაოების დაუძლეველ განცდას მივკივი,  
რადგან საგნების მოზღვაკებას არ მსურს დავნებდე.

13

სულიერ წრთობის საგვირისტოდ ვცანი სალექსოდ,  
საცნაურ ამბის უცნაური განხეთქილება;  
მინდა, გონება დაუშრეტელ სხივად აგენთოდ,  
ცრემლს თუ არ დაღვრით, ნაღვლიანად ჩაგეცინებათ.

14

ცხოვრების წესი მარადიულ დავიდარაბად  
დასაბამიდან დაუძკვიდრდა ღარიბს თუ მდიდარს;  
გაასკეტებულ წარმოსახვებს ძალას დავატან,  
მით, რომ სათქმელი შიგა და შიგ ალაღად ითქვას.

15

შავ-ბნელ ადგილებს გააშუქებს ზოგადად ელვა,  
დაინაცრება ასპიტების სამკვიდრებელი;  
სასწაულების გამოვლენის იმიტომ მჯერა,  
რომ შემოქმედმა განასხივა სასუფეველი.

16

რადგან საწუთრო მაიძულებს ისეთ რამესაც,  
რაც რომ სინანულს გამოიწვევს და შემაცბუნებს,  
მისაწვდომ სივრცეს ცისარტყელად უნდა ავეკრა,  
ღროულად უნდა დავაპკურო ნამი თავთუხებს.

17

უჩინმაჩინის ქუღს დაეძებს გმირი, რომელიც  
შეზღუდულია თვალხილულთა თვალსაწიერით;  
დამსახურების დაფასებას მაშინ მოველი,  
როცა სამყაროს შეეცვლება მკვეთრად იერი.

. . .

18

მასებს ათრობს ოვაცია გამარჯვებულ ხმების,  
ლაჟვარდს თალი შეუფაკლეს მამხალების ფრენით;  
ავსებულა ცისქვეშეთი თვალხილული ბრმებით,  
ამ მცონარა ყიამეთში გარიყული ვრჩები.

19

გაიმჭვარტლა არემარე გადამწვარი ძნებით,  
სამშვიდობოს ვიწრო ბილიკს ძლივსლა მივაგენი;  
პირში ნერწყვი იშრიტება, შხუის წვიმის თქეში,  
მრწამსს უფსკრულში ჩაჰყოლია თვალნათელი გენი.

20

მოკვდავს სად არ გაიტაცებს სატრფიალო ტალღა,  
სინარულის მოლოდინი გადექცევა დარდად,  
დაიწყევლის გაჩენის დღეს ჯოჯოხეთის კართან,  
დაკოჭლება უსაფრდება სიმაღლიდან ვარდნას.

21

დაიშლება ცხვრების ფარა, აყმუვლდება მგლები,  
ჩამოდნება სანთელი და ჩამოტყდება კიბე,  
ტრამალს შეიქმს მხუთავ ლავად ვულკანური ძვრები,  
მოიშლება დადგენილი საჩოთირო რიდე.

22

მიწას დაღრღნის საცოდვილო ბრძოლის ნიავექარი,  
გადალეკავს უდაბნოებს ოკიანის ზვირთი,  
ჯერ კი უნდა ამრიალდეს ზეცის იალქანი,  
რადგან სული სამსჯავროზე უდიდამოდ მიჰქრის,

23

ობოლ ზამბახებს ესალბუნა ნიავე დილის,  
ამ სინარნარემ დააპურა განწყობის ზიბლი;  
ზნეკეთილია სვეგრძნეული ადაპტირება,  
დალოცვილია ალგზნებული შეხმატკბილება.

24

გაშლილ ტრამალზე არაბულამ სივრცე მიმოძრა,  
წამწამს არ არხევს, განაბულა კენტი მომიზა;  
ო, როგორ ძნელად ისხლიტება სხივი აზრების,  
ქარაფის რღვევად იცრიცება ზღუდე საზღვრების.

## ნ ა კ ი რ ი

### კ ა რ ი პ ი რ ვ ე ლ ი

25

მარტოსულობის მავნე წილხვედრით  
მოქუფრულია როცა გზის ხელი,  
მაშფოთებს ხვედრი განდევილის,  
ოხრავს გარემო დამეწყრილი.

26

ძლივს ვაკოწიწებ ცინცხალ აგურებს,  
ცხადია, ძველსაც ხშირად გაგურევ;  
ველარ ვასხვავებ შავ-თეთრ მაგიას,  
არ ვშიფრავ, როდის რა დამკარგვია.

27

ხან ჭკუას ვკარგავ, ხანაც კი გროშებს,  
სჯობს რომ პირველი მეორეს სჯობდეს.  
არსთა განმრიგე ჯაჭვს ალზე აწროთბს,  
ეპოტინება დემონი მალლობს.

28

რადგან შემოვრჩი ნესტსა და ჭაობს,  
აქ ხომ სიცოცხლე სიკვდილთან დაობს;  
მაშვერალმა რაღაც უნდა ვიღონო –  
სულის მალამო გამოვიგონო.



29

ამაოდ ვცდილობ თავის მონებას,  
ვერ გავეჩეცი უსაზღვროებას;  
მაშინ დაიწყებს კაცი ქველობას,  
როცა სიკეთეს სახავს ხელობად.

30

რომ მოიარო მთელი ღუნია  
უიმედობა და წუწუნია,  
ყველგან ღარიბი, ყველგან მაფია,  
ყველგან მოდაა, ყველგან ლაფია.

31

ვერ ამაგრდება კაცი კერიას,  
მამულს დუშმანი არ დაელია;  
ვერ ვეგუები ღუხჭირ ღროებას,  
ვედიდგულები ამაოებას.

32

რადგან გამეფდა ჟამი მწუხრისა,  
წუთისოფელი მიდის უღირსად;  
სიტყვა ხომ ზოგჯერ მახვილს ედრება,  
ყულფი ედება საშიშ ქმედებას.

33

არაფრის ხიბლი აღარ მატყვევებს,  
გადავაცქერდი საშიშ ღრანტეებს;  
თითები კრძალვით შევახე კალამს,  
სული შეება შაოსან შამანს.

34

როცა სიძნელე დასაძლევია  
ცოდნა სამყაროს გასაღებია;  
მაგიის ძალით და სასწაულით  
არ ვარ პერობილი და განსწავლული.

35

საუბედუროდ იმას ვუყურებ,  
როგორ მორჩილებს თვალი უკუნეთს,  
როგორ ამოსჩქევს ღვარძლი ხორციდან,  
როს სხეულს სული თითქოს მოსცილდა.

36

სახარბიელო მგონი ის არის –  
არ მოვიშხამოთ ბედის ისარით;  
როცა ცდუნების მსხვერპლია კაცი,  
მას განტეგების ეძლევა შანსი.

37

რადგან სამყარო ზღვაა უძირო,  
ვარსკვლავთა ცურვას უნდა ვუმზირო;  
რადგან ვერ ვიჭერ ყოფით სადავეს,  
სხეულს არხილულ ბუღში ვაფარებ.

38

თუკი რომ ვინმემ თავი მოთოკა,  
შესთავაზებენ წუმპეს გოლგოთად;  
სრულყოფილება რომ ძერწოს კაცმა,  
ვერ ითავისებს ის მაინც ჯვარცმას.

39

იმედიანად შევეყურებ მზის სხივს,  
სამოგზაურო კარეტა მიცდის;  
როცა ფასი აქვს კაცურ ღირსებას,  
მაშინ სამყარო მაღლით ივსება.

40

ეს კუნთმაგარი შფოთისთავები  
განირჩევიან ვრცელი კარვებით,  
ეს კუდქიცინა მელაძუები  
მიჭრიალებენ გზაზე ურმებით.

41

რადგან არავის არ ვეკედლები,  
არც თავს შევაწყენ ვინმეს ვედრებით,  
არც რა საშური არ მაქვს ვინმესი,  
რაც კი მეზადა გამვლელს მივეცი.

42

რადგან არ ამცდა ბოროტის მზერა,  
ვერ განვიძარცვე ბოლომდე ვერა,  
საკეთებელი ის დამრჩენია,  
რომ მივანიშნო გზები ჩემიანს.

43

რაც უნდა იყოს, რაც უნდა მოხდეს,  
უმაღურება სჩვევია სოფელს;  
შეხიზნებია მწირი სამრეკლოს,  
ჭილყვავნი სრულად ფლობენ გარემოს.

. . .

44

ხეს ეხვეოდა შავი აჩრდილი,  
ქერქში ძვრებოდნენ ჭრელი მატლები;  
დაბოლმილი და გულგასენილი,  
სულს ვიძარცვავდი, ხორცს კი ვაძლებდი.

45

როცა ურწმუნოს წავაწყდებოდი,  
თავს ვუჩიქვავდი სიპი ლოდებით,  
ოინბაზ მსხვერპლის ცქერით ვტკბებოდი,  
ემატებოდა ცოდვებს ცოდვები.

46

ხშირად ვთესავდი ირგვლივ პანიკას,  
ველარ ვარჩევდი მტერს და მოყვარეს,  
განგება რისხვას თავში მანლიდა  
და ნირწამხლარი ქელი მოვხარე.

47

დიდი ტკივილის სიმძიმის გამო  
განვიცდი ზერთულ განსხეულებას;  
სულში მომავლის ნაყოფი ხარობს,  
მაგრამ მას აწმყო ჰგერის სნეულებას.

48

ლობემინგრეულ ყოფის არენას  
შემოეჩვია ქვეწარმავალი;  
ჭირს სატკივარის გადაფასება,  
ვერ გაექცევა ხვედრს წარმავალი.

49

ახლის შენების არ ჩანს შედეგი,  
საწყისი ნგრევა აღარ დამთავრდა,  
გაყურსულია ზვიადი მთები,  
სავარგულები დელგმამ ჩაფარცხა.

50

იცრემლა ქორვა ჯეჯილმა უბრად,  
იშვიათია მწყერის კამარა;  
ძველ მონადირემ, ხელმოცარულმა  
ქულში მთრთოლვარე წარბი ჩამალა.

51

გაუფერულდა სიჩუმის ხიბლი,  
ცუდად ჩამესმა გულის წიკწიკი,  
ფიქრი უჩინარ შორეთში მიჰქრის,  
თვალი გამტერდა, ყური მიწივის.

52

სივაგლახეს რომ ზურგი ვაქციე,  
საყდრის წინარე თავი დავხარე...  
დუშმანი უთხზავს მამულს სანქციებს,  
შემატებია მსხვერპლი ბაზალეთს.

53

ჩამოთლილი აქვს მხარი ბერმუხას,  
გზებში ჩამპალან ძველი მორები;  
წარსულის განსჯის წუთი მემწუთხა,  
გაშინაურდა შფოთი გონების.

54

როცა აზრები მიდი-მოდიან,  
ვარჩევ, რომელი რომელს სჯობია,  
ამაოებას ვებრძვი მგონია,  
ამით ხარკს ვუხდი ფილოსოფიას.

55

ყოფნა განგების განაჩენია,  
კაცი სიკარგეს ძნელად ითვისებს,  
იმედის სხივი მკრთალად შთენია,  
სრულყოფილების ჯმუხ ლაბირინთებს.

. . .

56

ალბათ ვეროდეს იხილავს საფლავს,  
ტყეში გარეულ ცხოველის გვამი;  
რადგან განგებამ ასე დასახა –  
სულდგმულმა მისებრ ისტუმრა ვალი.

57

ტყიური მოძმის ლეშით დატკბება,  
კაცი მუდამდლე თავის ტომს უღრენს,  
როს რომელიმე წავა, ჩაქრება,  
ცოცხალი მკვდართან მოირთხამს მუხლებს.

58

მგონი გამოდის, რომ სულებს ვკორტნით  
და ვწუხვართ მათთან განშორებისას;  
ოღითგან ასე ამგვარად მოდის,  
ჯოჯოხეთური ამ ცხოვრების გზა.

59

ეჰ, სავალალოდ ვერასდიდებით  
ვერ მოიკიდა ფეხი სიკეთემ,  
განსატევებლად მირაჟს მივყვები  
და შეუმჩნეველ ნიღაბს ვიკეთებ.

60

გამორჩეული ნიჭირება  
სახავს უხილავ ძალის ხატებას;  
ვარდს ის ცვარ-ნამად დაეპკურება,  
როცა ზაფხულის გვალვა დადგება.

61

ის შემოდგომის არ სცნობს ბარაქას,  
ცივი ზამთარი იზიდავს უფრო,  
რადგან სურს ჯაჭვი კბილით გადალრღნას,  
მოძალადეებს ასპარეზს უთმობს.

62

გულდასმით ძერწავს თიხის კიდობანს,  
საგაზაფხულოს იწყებს ქველობას,  
მას თავისუფლად უჭირს მიმოსვლა,  
რადგანაც გასცდა დღევანდელობას.

63

დასაძლევია ფათერაკები,  
უნდა ვერიდო ავ გრძნეულებას;  
რადგან სიბრძნეა მცნების საკვები  
თავი შეიცნეს ერთეულებმა.

. . .

64

მეცხვარე მიჰყვა გაშლილ ტრამალებს,  
ბარაქა უნდა შემატოს კერას,  
მწყემსის საზრუნავს აბა რა დალევს,  
ნადირი ფარას შორიდან ზვერავს.

65

რა დაემართა ამ ზორბა ქოფაკს,  
აღბათ დაბერდა, ხშირ-ხშირად სძინავს,  
საშიშროების არ შესწევს გრძნობა,  
არადა, როგორ ფნიზლობდა წინათ.

66

დაფრთხენ კრავები, მგელი დააცხრათ –  
მხარზე მოიგდო ერთი მათგანი,  
ნასროლი ტყვია მტაცებელს ასცდა,  
მოქუფრულია შავად ცარგვალი.

67

ასეთ დანაკლისს კაცი აიტანს,  
მაგრამ გულის ძარღვს ჩაწყდა რაღაცა,  
რადგანაც მოკვდავს ეშმამ სულიდან  
უსაფრთხოების სიმი წარსტაცა.

68

დემონიური ძალის გავლენა  
განაზოგადა მეცნიერებამ;  
ერთ დროს ყოველი რადგან ნაცრდება,  
არ მწამს სიმდიდრე და ძლიერება.



69

მაგრამ ბოლო დროს ყოველ ცისმარე  
მრწამსს და განწყობას რაღაც მიწამებს;  
განგების ძალა თუ არ ვიწამე,  
ველარ ვჩერდები ცოდვილ მიწაზე.

70

გრძნობა გონებას აღარ ენდობა,  
ხოხვა ერგუნა ენაგესლიანს,  
დაღარულია ძველი შენობა,  
კრამიტებს გარსი გადაქერცლიათ.

71

შორიდან მიქნევს ხელს წინაპარი,  
ნანგრევებს ხავსილა შერჩენიათ;  
ციურ ხმებს გონება მივაპყარი,  
სიბრძნეს სიძაბუნე შეჩენია.

72

რასაც ვხედავ და რაც კი ვიგრძენი,  
რომ ყოველივე სიტყვით დაცხატო,  
მზად უნდა მქონდეს კუბოს ფიცრები,  
სიმი ჩამოვკრა ზეცის კაბადონს.

73

ნიშანდობლივი მართლაც ის არის,  
რაც რომ ნიჭს მკვეთრად გაუხაზია;  
ღვთივ ამობრწყინდეს თუგინდ ცისკარი,  
ჭკუას გროშებში ხშირად გასცვლიან.

74

არ დაოკდება ყოფნა არყოფნის  
დაუსაბამო გაწამაწია,  
როს აზროვნების და არსებობის  
მყარი სახსარი არ გაგვაჩნია.

75

გადაღვლეფილი სულის ლამპარი  
ძლივსლა აშუქებს შავ-შავ წერტილებს;  
ნაწყალობევი მცირე საგზალი  
შემოეხარჯა გზაში მესტვირეს.

76

სიმართლე გაცვდა ჭორის დონეზე,  
მშვიდობა ომის მოლოდინს ძერწავს,  
თავბრუ ეხვევათ მიეთ-მოეთებს,  
ნიავი ცრემლს სწმენდს ალეწილ ძეწნას.

77

ჯოჯოხეთს თუკი მისწვდა მაშხალა,  
განგაშს მოჰყვება ღამის თენება;  
ამაოებამ ისე დამღალა  
ვერც კი ვიგრძენი მზის მოფერება.

78

რადგან ვერ ვიტან ერთფეროვნებას  
დავლოლიალობ კიდით-კიდემდე;  
ვცვალე შეცნობის ნიბლის ხატება,  
ზეშთაგონების ტალღას მივენდე.

79

თუ ჩირაღდანი ვერ მოვიხელთე,  
თუ ვერ გავწიე ჯურღმულის ფარდა,  
ვერ ვითავისებ სულის სითეთრეს,  
ვერ შევუხამე ფერები ლაჟვარდს.

80

თვითდანაკისრი მოვალეობა  
არ შეედრება სხვისგან ნაბოძებს;  
თუ ჩაითვალა ზრიკი ქველობად,  
ენის ბარაქა ბევრს გააოგნებს.

81

როს უზნეობის ფრთები იშლება  
სიძარტლის ქომავს ყურს ვინღა უგდებს;  
წარმავალია ყალბი დიდება,  
შენიღბულ სახეს ვერ ინარჩუნებს.

82

როს მავნებლობის სიაშკარავე  
გახდება ბრბოსთვის თვალშისაცემი,  
ზოგ გაიძვერას წიხლს ამოკრავენ,  
ორი იხარებს ერთის დაცემით.

83

აუბედურებს ათასებს კაცი  
და არანაირ არ აგებს პასუხს;  
ის რაც რომ აწმყოს სიკეთეს აცლის –  
უხიაგ ლაქად დარჩება წარსულს.

84

ო, ეს ყოფითი საგნების მტკვერი  
როგორ მალ-მალე მალიზიანებს;  
მსურს, ხის კენწეროს ჩაკვილო ხელი  
და შევეჩეხო ქარის იალქნებს.

85

აღბათ ეს ჩემი ბედის ვარსკვლავი  
მწყალობელ კალთას გადამაფარებს,  
რომ არ დამჩემდეს შიშით კანკალი,  
რომ არ ამოვყო თავი ლაზარეთს.

86

გადმოეფიცხა სხივების ჯერი,  
შეაფუცხუნა უტყვი ტრამალი,  
როგორ ეცვაღათ გუმბათებს ფერი,  
როგორ გაბმულად ყივის მამალი.

87

როგორ ცახცახებს ამ დილით ბუტკო,  
სითბომ ალაგზნო სასომიხდილი...  
გაშლილ მდელოზე ყველაზე უფრო  
შემზარავია გველის სივილი.

88

წუხელ სიზმარში, შავი ზღვის ფსკერზე  
დავსრიალებდი ხელის ცეცებით,  
ვძებნე თილისმა, ზურმუხტიც ვძებნე,  
ვერ მოვიხელთე მაინც ვერც ერთი.

89

თვალს ახარებდა თევზების ჯარი,  
თან შირიახლო მათი ნავარდი,  
უეცრად ვეშაპს მოკვარი თვალი  
და ურჩ იონას დღეში ჩავვარდი.

90

შიშმა როდესაც გამოძლვიდა  
უფალს მადლობა შევთხოვე მყისვე –  
ოკიანეთში არ ვიყავი და  
ანგელოზი რომ ფრთებს შლიდა ცისფერს.

91

ერეკებოდა მეწამულ ღრუბლებს  
აზვირთებული ქარი გნიასით;  
მემატიანეს განწყობას ვუქებ –  
გულს რომ უგრილებს წარსულს იაზმით.

92

ცთომილთა ხილვამ გამახალისა,  
ფრთაშესხმულია გრძნობის სიახლე,  
ჭოტი არ იშლის მაინც თავისას,  
კვილის ექო სუსხავს იარებს.

93

მოლანდებათა უტყვი საუნჯე  
წარმოსახვაში გაიდგამს ფესვებს,  
ღამე არ ტოვებს სივრცეს დაუსჯელს  
და მთვარე საყრდენს ამაოდ ეძებს.

94

დაჰქრიან თეთრი სერაფიმები  
და ამზადებენ დილის მშვენებას,

სასწაულს მაშინ ვენაპირები,  
თუ არ მერგუნა გადაშენება.

95

თუ ყვავილების მძაფრი სურნელი  
გაუადვილებს სუნთქვას სამყაროს,  
უიშვიათეს ვარდების თესლი  
ორღობის გასწვრივ უნდა ჩავყარო.

96

რადგან რიჟრაჟმა გაიპწკიალა  
და გაიფანტა ბინდი მთლიანად,  
ასე მგონია, უხილავ ძალამ  
გამამხნევა და დამაფრთიანა.

97

რადგან წყურვილი ავაჩქეფე  
მშფოთვარე ვერხვის,  
მცდელობის პეწი ძველ კედელზე  
შეყრაა ცერცვის.

98

რადგან თანდგომა ისევ ისე  
დაიგვიანებს,  
ვნების ბრმა თრობა ასცდა ფიცხელ  
სიმწრის იარებს.

99

როს უთქმელლობამ ამითრთოლა  
გზნების სადავე,  
ვიხმე ქველობა, აზრის ძრწოლა  
მივასავსავე.

## კ ა რ ი მ ე ო რ ე

100

სახელდახელოდ გამზადებ ანკესს,  
ასე მიბიძგა რადგან განწყობამ,  
გეზი ავიღე მდინარისაკენ,  
გამხიარულდა გული საგრძნობლად.

101

მყუდრო ადგილებს იმიტომ ველტვი,  
რომ განვიმუხტო ყოფის ვაებით;  
ნაპირთან ახლოს უნებურ შევცბი –  
შემომეფეთა კაცის თვალები.

102

რომლის პატრონი, ბრტყელ ქვაზე მჯდომი,  
გადაგვარების გზაზე დამდგარა,  
ჩამოსდიოდა მას სიმწრის ოფლი,  
გადასწყვეტია არსის ზამბარა.

103

ვერც კი გადმოვცემ, როგორ შევხედე  
განწირულობის გარდუვალობას;  
სალი განწყობის კრედოს ვეკვეთე –  
უნდა დავსახო სიტყვა წყალობად.

104

რუხი ნისლები უცებ რკალურად  
შემოეხვია პირქუშ გარემოს;  
შემცბარს, წამწამი უთრთის ძალუმად  
და ოხვრით ბაგე ლამის გაეპო.

105

გაფითრებულმა თავი ჩაღუნა  
და ჩააჩერდა კიღურს მარცხენას,  
რომელზეც ლოდი მარჯვედ მიუბამს,  
მისი განზრახვის გრგვინავს დაძლევა.

106

ზე წამოიჭრა, თითქოს გაქცევას  
ეშურებო სასომიხდილი,  
ისევ ჩამოჯდა – ჰგავდა დაცემას,  
ძალა არ შესწევს მაშვრალს ქვითინის.

107

გაუთასმია სატანას მახე,  
ისე უბრალოდ, შედეგიანად –  
შეუნიღბავი სიკვილის სახე  
ატმასნებია სივრცის იალქანს.

108

გაძვალტყავებულ სულის ცახცახმა  
შემაჟრილა არცაცნაურად,  
საბრალოს ნეტა, რად არ დასცალდა,  
საწუთროს მხარი რად ვერ აუბა.

109

ეხეტიალა ჩემებრ ამ ქვეყნად,  
არად ჩაეგლო ერთფეროვნება,  
აგურს აგურზე ხომ დაადებდა,  
ხომ დახერხავდა ფიჭვებს მორეზად.



110

არ შევეკითხე მას არაფერი,  
წყალში ანკესი გადავისროლე;  
მკვეთრად ეცვალა რადგან იერი,  
დაჭმუჭნულ შარვლის ტოტებს ისწორებს.

111

შეფარვით უმზერს ჩემს გულგრილობას  
და წასასვლელად როცა წამოდგა,  
ვთხოვე: „თუ არ თვლი უხერხულობად  
დარჩი ცოტა ხნით, არ გავნებს მოცდა.“

112

თვალი მომაპყრო და ამოხეთქა:  
„საუბედუროდ საკმაოდ ვევენე,  
მგესლა და მგესლა გრძნობების თქემმა,  
სული დავშრიტე, სხეული ვგვემე.“

113

ასეთნაირად დამაგლახავა  
ამქვეყნიურმა ვადადარიამ,  
სამარემ პირი აახავხავა,  
მოუსავლეთში მიმიხარია.

114

მიუსაფარი განცდის თანხვედრად  
დაბინდულია ჩემი გონება,  
ასე განწირულ კაცის სახება  
ალბათ კარგა ხანს გემახსოვრება.

115

ვერძნობ, თანაგრძნობით რომ განიმსჭვალე  
და შეგიტოკდა გულის სიმები,  
მაგრამ ეს უკვე ვერარას მარგებს,  
კუბოს კართან ვერ გამოვიცვლები.“

116

ვაუწყე: „ციდან ჩამოფრენილი  
არა ვარ, ვერ ვჭვრეტ ცხოვრების დვრიტას,  
ბევრჯერ ვყოფილვარ მიმოდრენილი  
საკუთარ თავზე, თუ სხვათა მიმართ.“

117

„თქვენ განამწყრალი ყოფილხარ მხოლოდ,  
მე კი მომძულდა ყოფნა ამქვეყნად,  
ჩემს არსებაში სიკვდილი სახლობს –“  
მომიგო მან და თითქოს გაშეშდა.

118

განწირულ სახის შინაგანობა  
ისე სასტიკად გამძაფრებულა,  
ყოფის დილემის გარდუვალობა  
მოზღვავებულა არარქაულად.

119

ჩაუთრევია გაასკეტება  
წარმავალ ტალღის მდორე დინებას...  
სასწაულების ღრმა გააზრება  
შიშის დაძლევას ესატყვისება.

120

უზნეობასთან სინდისის შეხლა  
სასოწარკვეთას წარმოშობს ხშირად;  
სულიერ კრედოს გრძნობები ხლეჩს და  
ანაზღეულად მძაფრდება ქმინვა.

121

თვალები მშველელს ამაოდ ეძებს,  
სიძულვილისკენ იხრება მრწამსი,  
თითქოს ედება ჯაჭვი სარეცელს  
და სხეულს საყრდენს გრიგალი აცლის.

122

ულმობელ წუთებს თუ სდევს განტვირთვა,  
სული ადვილად ფარ-ხმალს არ დაყრის;  
თუკი გონება ძლიერ გაცვივდა,  
მიეწოდება სამსალა გახრწნის.

123

თუ შეაჩერებს კაენს ეროსი,  
თუ მრწამსი რჩება თავის ადგილზე,  
განდევნის კაცი ჭილყვავს ჭოლოკით,  
შეებრძოლება ყოფით საგიჟეთს.

124

ჩაფრენილია ეშმა ბრჭყალებით  
სხივდანაკრავი ღრუბლის ნაოჭებს,  
შემართულია ციური ხელი,  
ქერუბიმები ცხარედ დაობენ.

125

ფიქრარეულმა მიემართე ტანჯულს:  
„ნუ ჩამომართმევ კაღნიერებად,  
გადაიფიქრებ ალბათ განზრახულს,  
როგორმე რამე მოგიხერხდება.“

126

პასუხი ოდნავ დაავიანა,  
სახე ეცვალა და ჩაუშუქდა,  
თქვა: „არა, ჩაღპა უკვე იარა,  
არ გაისარჯო კეთილო უქმად.

127

წარმოსახვანი აღარ მალეღვებს,  
რადგან ძიების არ შემწეღვს ძალა,  
სამყაროს ხიბლი აღარ მატყვეღვებს,  
რადგან სიცოცხლე არ მიღირს არად.

128

რადგან გარშემო, ისე დამჩქლითა  
შენიღბულ არსთა ხიღულ მათრახმა,  
შებრძოღების და გაძღების დღერიტა  
სულმა უღმობღად ხორცში ჩამარხა.

129

დამასნეულა გარდასულ დღეთა  
არგანახღების დასადღურებამ,  
სატანის დასი მომჩხავის ერთხმად,  
ღიუციღფერი მეღჯაღგურება.“

130

გაჩუქდა და თან ცივი თვალებით  
არამქვეყნურად ამხედ-დამხედა;  
ალბათ იფიქრა – ეს ბრმა განცდებიც  
მომივლინაო ბედმა თავხედმა.

131

ოი, განგებავ, ზურგს ნუ შეაქცევ  
სასოწარკვეთილ ბუნებრივობას,  
არ მოუშალო მოკვდავს სიახლე –  
მარადისობის ნათელმბრონად.

132

მოუზომავი ვნებათა ღელვა  
აშლის სულიერ განწყობილებას,  
რაც ზოგჯერ იწვევს უეცარ ელდას,  
ან ურვა ღუმელს ემორჩილება.

133

ძირმწარე ტოტზე ხშირად იფეთქებს  
ნაირფერადი კვირტი ნუგბარის;  
ბაგე შემიღო აზრის სიქველემ  
და კაცს ნირწამხდარს კრძალვით ვუთხარი:

134

„კარგი ბატონო, რადგან შენს ყოფას  
გამოუტანე თვითგანჩინება,  
იქნებ მიაბო, რა როგორ მოხდა  
და რად არ ელი რამე ცვლილებას?“

135

თითქოს არ სურდა რაიმეს თხრობა,  
რადგან მღუმარედ იყო კარგა ხანს;  
მზე უკვე სივრცეს სხივებით ტორავს,  
ანკესმა თავი ოდნავ დახარა.

136

როცა ფართხალებს ნაპირზე თევზი,  
თოლია იწყებს ჰაერში კანკალს,  
ჩემს მოსაუბრეს ქვეშქვეშ გავცქერი,  
გულხელდაკრეფილს სიყვითლე დაჰკრავს.

137

ბნელს მიმავალმა ჩემი თვალთვალი,  
სრულად შეიგრძნო და თქვა გულმზრალად:  
„ვერ შემოგკადრე რადგან უარი,  
ალბათ ამდენი დუმილი კმარა.

138

ეხლა მოისმენ ბანალურ ამბავს,  
რომელიც იქნებ არც კი ღირს თხრობად,  
ეს ყოველივე საშინლად მზარავს,  
რადგან ვირგუნე სიცოცხლის გმობა.

139

იმ ჯაყელების შტოს ვარ სახება,  
ვინც რომ დაკნინდნენ ჟამთა სიავით,  
მარტო თავადურ გვარის ტარება  
არ არს მალამო დამზრალ იარის.

140

ვიყავ ამაყი და ფრთაშესხმული,  
ვდნებოდი ტრფობის მწველი ალბურით,  
მნათობს ჩრდილაგდა ჩემი რჩეული,  
უნაზესი და ვერსაცნაური.

141

სკოლის მერხიდან მასთან შეზრდილი,  
გულის ხვაშიადს დიდხანს ვმაღავდი,  
მე შინაგანად ვიყავ შეშლილი,  
გარეგნულად კი ელამ კრავს ვვავდი.

142

მივუყვებოდით თამაშ-თამაშით,  
ატმის ბალებს და ჭალის ნაპირებს,  
სიმილს ვარჩევდით მწიფე ყანაში,  
დეღემა აგლეჯდა ქარაფს საკინძეს.

143

ყინულისაგან გათოშილები  
მივუსხდებოდით კოცონს ღიღინით  
და გაისმოდა მადისამღებველი  
მარილწყარილი მწვადის შიშხინი.

144

იმ გაზაფხულთა მწვანე ფერები  
სხვათა ფერთაცვლას არ ჰგავს სრულიად,  
მოჩვენებათა ცივი ხელები  
დაკვარჩხნული და გამურულია.

145

ჩანაყულია გულში იმედი,  
სუნთქვა მეხშობა ქაოსის ბუღით;  
იშვიათ ჟამის უცხო შეიღფერი  
ღვთივ აცისკროვნებს მრავლისმთქმელ ღუმილს.

146

ღელაქალაქში რომ გაღმოვიღა  
ნარგიზა სწავლის გასაგრძელებლად,  
გამოვეღევნე შლეგურად მის კვალს,  
გულს მისიებღა ვნების ხეღება.

147

არად ვუნღლოღი მის მშობლებს ბრიყვი,  
შეჭფოფინებღნენ ღიდ ეშალონებს,  
იმათ გარეშე ღამჯერე შვიღი  
არ გაღღგამღა ნაბიჯს აროღეს.

148

იღელს მაინც კი არა ვკარგავღი,  
ვეუფლებოღი მეცნიერებას,  
მის სხეულს სუღლის ხატად ვსახავღი,  
რწმენა მიმაჩნღა ბეღნიერებაღ.

149

მწამღა, რომ იგი აღრე თუ გვიან  
გამინათებღა შავ-ბნელ კუნჭულებს,  
რასაც რომ ჩვენში ცოღ-ქმრობა ჰქვია  
ღა რაც წარმოშობს უჭულ-ბუჭულებს.



150

უღრეკ თვისებად მიმაჩნდა მაშინ  
ეჭვდანაძლევი თვითდაჯერება,  
ვერ მოვტვინე, რომ მომავლის ბზარი  
გადიქცეოდა მალე ღარებად.

151

ერთადერთი ძე, რომ ავიყარე  
და ქალაქისკენ გეზი ავიღე,  
ამითი ოჯახს ძალიან ვავნე,  
არ მომკლებია მერე შავი ღლე.

152

გზის გამრუდებას, უშნოდ ხეტიალს  
დაჩვეულია ადამის მოდგმა,  
ალბათ ღმერთს მიტო გავუჩენივართ,  
რომ ჩაგვიტაროს მკაცრი გამოცდა...

153

და უთვალავი წლების მანძილზე  
არ აგვიხილოს თვალი მთლიანად;  
ამ წუთისოფლის ვრცელი კარიბჭე  
გაუტანლობამ გაატიალა.

154

როცა კაცს მხოლოდ ჰყავს შვილი ერთი  
და შესცივინებს იმას თვალებში,  
მასთან სურს, ტკბილად გატეხოს კვერი  
სოფლის თავგასულ სიმწუხარეში.

155

სადაც ვირულად შრომობს მოკვდავი,  
რომ ღაირჩინოს თავი როგორმე;  
ეჰ, ნებისყოფის მკვრივი გორგალი  
ვერ ინარჩუნებს სახეს ბოლომდე.

156

სამი წლის მერე, რაც მივატოვე  
ტრფობით სნეულმა დედულ-მამული,  
კუშტი მიქელა ეწვია მშობელს,  
მამაჩემს დარდით გაუსკდა გული.

157

ეს იყო ჩემთვის ისეთი დარტყმა,  
რამაც გამტეხა და გამაოგნა;  
სიმწუნარე რომ განწყობას დახრავს,  
ეზო-გარემოს ღვარცოფი მოხნავს.

158

ვერ წამოდგება მაშინ ადვილად  
გადათქერილი ღობის ჩელტები;  
ჟამის მძლე სეტყვამ სივრცე დაცხრილა,  
გაწბილდა მრწამსი უტყვი ვედრების.

159

როცა გონება სულის ლაბირინთს  
გაუცხოვების ბჭესთან მიაგდებს,  
უსაშველობის ვარამს გაჰკივის  
დამწუნხრებული გულის სიავე.

160

დაჭკნა შროშანა, თრთილავს დარაბებს,  
აღმოსავლეთის ქარმა დაჰბერა;  
შინაგანობის მწარე განაჩენს  
იღუმალება ჰქვია სახელად.

161

რადგან მომაკლდა ხელი სოფლიდან,  
სიღუხჭირემაც იჩინა თავი;  
ჩემს სატრფოსა კი არა უჭირდა,  
სანათესავო წრე ჰყავდა კარგი.

162

იგი დღითიღლე ლამაზდებოდა  
და ატყვევებდა ელამ სამყაროს,  
ჭაბუკს ბავშვობა მენატრებოდა,  
მასთან ერთად რომ ვბრაწავდი ტაროს.

163

რაც შეუმჩნეველს ხდის განცვიფრებას  
შინაგანობას ემორჩილება,  
გულს ხინჯი როცა აღარ სცილდება,  
სული დაიწყებს ნაკლის მხილებას.

164

ვერ დააჩქარებს ნიავი გრილი  
სიძის ახლებურ ახმიანებას,  
ქარაშოტი კი გაბმულად წივის,  
ურწმუნო ხვრელში ჩასრიალდება.

165

უთვინიერეს გრძნობის გზაშარა  
ვერ გადასცილდა ტრამალის ხრიოკს,  
ბოროტებამ ხომ თავის მაშხალა  
გადაატარა თვით კაკკასიონს.

166

ღრო გადიოდა და აჩრდილივით  
კვლავ დავეყვებოდი ამაყ ნარგიზას,  
ვერ ვხვდებოდი, რომ ძველი ფირივით  
ის ჩემს ფარგლების ზღუდეს გასცილდა.

167

სხივი მათობდა მის ნაფეხურის,  
სხვა რამ სიამე არად მიღირდა,  
ცივი ქალაქის განიერ ქუჩის  
უწესრიგობა ქულებს ითვლიდა.

168

დათარეშობდნენ, უდარდელებად  
პრივილეგიურ მოკვდავთა კასტა;  
მცირე ულუფის არ დაჯერება  
კვლავ მოარული სენია კაცთა.

169

არ მიზიდავდა ბოჭემის ეშხი,  
არც ძველბიჭობა და ქედმაღლობა,  
გულჩათხრობილი ვიყავი ჩემთვის,  
წიგნი ვიგულე სულის ახლობლად.

170

სასიავეკარგოს უმზადებს ფორას,  
ჩრდილში მყოფ აწმყოს სხივი მყოფადის...  
ასე თუ ისე თავი გამქონდა  
სტიპენდიით და სოფლის ნობათით.

171

დედაჩემს გვერდში არავინ ჰყავდა,  
სიცხეში ბელტებს თონით ებრძოდა;  
უფალი ალბათ იმიტომ გვტანჯავს,  
რომ გვათხოვნინოს ცოდვილთ შინდობა.

172

რადგან არ ვიცით სად, როდის, როგორ  
გამოვიყენოთ შესაძლებლობა,  
შეგნებულობა ამაოდ მოძობს,  
ხარკი ეძლევა უსარგებლობას.

173

არგანცდილ გრძნობის ხილვას ვიწვევდი,  
არად ვაგდებდი არად ჩაგდებას,  
სივრცე ბნელდება როცა იმედი,  
გაცრუვდება და გაფარჩაგდება.

174

ერთ კუნაპეტ დღეს ჩემი სარანგი  
მოულოდნელად, თავზარდამცემად,  
გაფრინდა როგორც სუსტი არაკი,  
მაგემა გულში ხანჯლის ჩაცემა.

175

ის ჩინოვნიკის მეუღლე გახდა  
და შეეხიზნა მდიდრულ დარბაზებს,  
ცოფები ვყარე არმქონე გლახამ,  
ვწყვევლე გაჩენის დღე და სახატე.

176

გავპირქუშიდი და დავჩაჩანაკდი  
მწუხარებისგან სასომიხდილი,  
ამ წუთისოფლის არსის ფახფახი  
შემძულდა, ვითარც გველის სივილი.

177

განწირულია სულისკვეთება  
გაჩანაგებულ ღირსების გამო,  
გაყოფორებულ კლანების ვნება  
შეჭირვებულთა ვაებით ხარობს.

178

დაწყვეტილია გულის სიმები,  
გამოიფიტა გონის უჯრედი,  
ალარც დვრიტა და ალარც იმედი,  
ლანდებს ცახცახა ხელებს ვუქნევდი.

179

დავკარგე მაშინ ძილის შეგრძნება  
და ლამღამობით მწარედ ვბორგავდი,  
სულს მოსვენება თუ არ ეძლევა  
უნაყოფოა მისი მყოფადი.

180

შემომესია მაჯმაჯურები  
და დამამგვანეს დამფრთხალ იაბოს,  
კაცი ცხადში რომ ბორგვით ირთვები,  
შემლილს სატანა უსვამს დიაგნოზს.

181

რალაც აჩრდილთა შავი ლანდები  
მიფათურებდნენ გულ-ღვიძლში ხელებს,  
ზენიტს მისწვდება შიში გაძლების,  
საწუთრო ვნებას თუ არ ახელებს.

182

და მოკვეთილი მოკვდავის სული  
იმ შეუმჩნეველ გარსში იომებს,  
სადაც ეთერი ბინდმინაბული  
სუსხით დაჩქლითავს დამზრალ იოგებს.

183

არარადქცეულ ჩონჩხად ვიქეცი,  
ვანთხევდი ირგვლივ ბალღამს და ბოღმას,  
დრო არ მინდობდა... და კიდევ ერთი  
უსაშინლესი ამბავი მოხდა.

184

ველარ გაუძლო დედამ ჩემს ტანჯვას  
და განისვენა გაუხარელმა,  
ვით ხეში მატლი ვხოხავდი ფარსად,  
დამცა ამგვარი ხვედრის ტარებამ.

185

თითქოს სალი კლდე დამეცა თავზე,  
უკანასკნელი იმედი ჩაქრა,  
ალარ ვიყავი უკვე ჩემს აზრზე  
და ამოძრავდა სიკვდილის მახრა.

186

შეუმჩნეველი უფლის კოშკურამ  
დაანაწილა ბედის ვარსკვლავი,  
სასუფეველი უცხოდ მორთულა,  
ფერიამ დაწნა ზეცის ნაწნავი.

187

განვიცადე და ვისიგრძეგანე  
სასაფლაოთა კვდომის ვაება,  
შევსლუკუნებდი ირგვლივ მყოფ სახეთ,  
ვიწვნიე სულის შემოღამება.

188

თან ჩაბნელებულ ლაბირინთებში  
ვეგუებოდი უშნოდ ხეტიალს,  
მიკვირდა, ბებერ ობობას ქსელი  
თვის უნიათო შვილებს ერჩია.

189

იმ პერიოდში ვერა და ვერა  
ვერ შევეგუე ამდენ ვაებას,  
სწავლის პროცესი ჩავლიე ძნელად,  
ყოფის ღიოფის განელდა კერა.



190

ეჭ, ყოველივე რთულდება რადგან  
საგანთა არსში ჩაწვდომის მერე,  
დანიშნულების მოქმედი აფრა  
გამზეურებს წყლულოვან კერებს.

191

საკუთრება და განკერძოება  
მყარი საფუძვლით არ იფარგლება,  
ის რაც დღეს იწვევს მედგარ მხნეობას,  
ხვალ შეჩვენებად დაისახება.

192

წინდახედული სიბრძნის ნაყოფი  
შორი გზებისთვის მოქმედებს მაშინ,  
თუ სასიკეთო საქმის ამწყობი  
დაგებულ მახის ზამბარას აშლის.

193

განაწესების გათავისებას  
ხშირად უწესო დამლა ედება,  
რადგან მოკვდავი ცდილობს თავნებად  
შინაგანობის გადაკეთებას.

194

დაუდევრობა როცა განაგებს  
არაფრისმოძქმედ უთანაგრძნობას,  
კაცს ზოგჯერ ისეთ დღეში ჩააგდებს,  
ანატრებინებს ტყავის გაძრობას.

195

მოლანდებები როცა აბუქებს  
წარმოსახვათა აწიწმატებას,  
თავგადანასკვნილ შემპალ მარწუხებს  
არ უწერიათ დიდხანს გაძლება.

196

ღრუბლიან ღამის მბჟუტავ ნაკვესში  
ეშმა თითხნიდა გულღრძო განაჩენს;  
შედევანი ჯიბრი თავხედის  
უჩინმაჩინის ნილაბს გააჩენს.

197

ზმანებამ თითქოს დააფიქსირა  
კედელში გასულ აჩრდილის ხენეშა,  
ზეშთავონება ვერ შეერკინა  
სულიწმინდიდან დაწყველილ ეშმას.

198

ძლივ-ძლივ დიპლმი რომ დავითორიე,  
დავიწყე საქმის მიძებნ-მოძებნა,  
ნაცნობ-უცნობებს ამაოდ ვღიე,  
არაფრის გამო არვინ მოცდება.

199

მაშინ დავრწმუნდი, რომ ეს ქვეყანა  
ძალისძალობით დაკნინებულა,  
ცოტანი იხდის უფლის ბეგარას,  
ბევრი ელიტას იჩნევს ქებულად.

200

წყალში ჩაყრილი გონების ჭყლეტა  
როცა მიიღებს სახეს მასობრივს,  
მანკიერების გალიის ხეხვას  
შემოეხევა ტანზე სამოსი.

201

გაშიშვლებული სულის წიაღში  
ხინჯი ადვილი შესამჩნევია,  
ფარისეველები გნიას-გნიასით  
ცის კაბადონზე გამოჩნდებიან.

202

დანაწევრდება, დახარისხდება  
დახშული სივრცის საგანთა არსი,  
გზააბნეული მოკვდავის მცნება  
ჩაიფუფქება სამყაროს გარსში.

203

ბუნებრივობის დაკარგვის მერე  
იჭირვეულა მოქმედმა ძალამ,  
ჭინჭში ვმაღავდი გაყინულ ხელებს,  
ღროღადრო ხშირად ვიცვლიდი კარავს.“

. . .

204

სიმწრის ოფლს იწმენდს კაცი შუბლზე და  
თითქოს ჩახედა ქვესკნელში იღბალს,  
განწყობის ჟინი ისე პუქდება,  
მაღევე ხვნეშით განაგრძო სიტყვა:

205

„მივაშურე მამაპაპურ სოფელს  
და რას ვხედავ გული გასკდა ლამის,  
კარ-მიდამო წააგავდა ბოსელს,  
სახლს არ ჰქონდა ფანჯარა და კარი.

206

მე ვისაც რომ ჩავაბარე კერა,  
იგი სადღაც უგზო-უკვლოდ წასულა,  
ალმაცერად მიყურებდა ყველა,  
ღამდებოდა ჩემი ყოფის სასრულად.

207

დაქცეული ეზო კარის შემყურეს  
ქარბორბალა მიწეწავდა ნერვებს,  
რალაც მძაფრად მიწივლებდა ყურებს,  
ღვთივ დასჯილი უმოწყალოდ ვეკნე.

208

მაცილებდა ჯოჯოხეთში თითქოს  
მშობლიური მთების სიამაყე,  
აქაც ჩაქრა საარსებო სითბო,  
დავანთხიე ცრემლი იალაღებს.

209

ისევ ქალაქს დავუბრუნდი შემცბარი,  
მუშათაც კი ვერ მოვეწყვე სადმე,  
სასიკვდილოდ უფსკრულის პირს შემდგარმა,  
სამათხოვროდ ხელი ვერ გავწვართე.

210

ვერ შევძელი მეთამაშა რადგან  
კულქიცინა ოინბაზის როლი,  
სასულდგმულო სიაგვარგე ჩაქრა,  
სუნთქვას მიხშობს უჩინარი ბოლი.

211

ვაგლახად და უმაქნისად ყოფნას  
ვამჯობინებ სიკვდილს ამდაგვარად,  
ჩაიფერფლა საწინსვლაო დრო და  
მრწამსის კრედოც სულ მთლად გადაგვარდა.

212

რადგანაც ქვეყნად ვერც ვერაფერი  
ვერ შევქმენი და ვერც ვერას ვარგე,  
სჯობს, რომ გავაძლო წყალში თევზები,  
ვიდრე მატლებმა შემჭამოს საღმე.

213

თანაც არ მინდა ვინმეს სამადლოდ,  
რომ გამასვენონ და დავიმარხო,  
ჩემი მზე თავად უნდა ჩავაქრო,  
ცოდვილის სული უფსკრულში სახლობს.

214

ვითომ ამ სოფლად არც კი ვყოფილვარ,  
არ დამილოცავს ვითომ მამული,  
ვითომცდა ჩემი ნერწყვის მოსვლითაც  
არ დაცვარულა ენა დაძრული.

215

არ მირბენია თითქოს ფეხშველა,  
არ შემსობია თითქოს ეკალი,  
განწირულს არვინ არ შემეშველა,  
მოწყდა ურიკას წინსვლის პედალი.

216

მოგონებების ნაწრეტი ქრება,  
შემთხვევის მიღმა ჩაკვდება აზრი,  
არაფრის გამო არარა ხდება,  
ყველაფერს თავის ბეჭედი აზის.

217

ეს აბდაუბდა სათქმელის კლემა  
წარსულის ექომ ბალღმად მანთხია,  
სააქაოში არარა მრჩება,  
საიქიოშიც არარა ყრია.

218

და საბოლოოდ აღსრულდეს უნდა  
რაც დააწესა ჩემზე განგებამ,  
ადამის ძეო, შესთხოვე უფალს,  
შეუძლებელის შესძლო დაძლევა!“

## კ ა რ ი მ ე ს ა მ ე

219

თქმა დაასრულა სასომიხდილმა,  
სული ჩაითქვა, ზეცას ახედა,  
სხივმა ღრუბელთა დაშლა იტვირთა  
და აჩორიკებს მათ ვით სახედართ.

220

ზეშთაგონებას ჟამი გამოწვრთნის;  
ფიქრებში წასულს მკვირცხლად მივმართე:  
„ბოლო სტრიქონი, თქვენ რომ წარმოთქვით  
საზღაურია უფლის წინაშე.

221

ასე მგონია თვით შემოქმედმა  
დაიღალადა თქვენი ბაგიდან,  
სერაფიმების ხმა შემომესმა,  
არხილულ სივრცეს ბინდი დასცვივდა.

222

ჩემო ძმობილო, აბა რა გითხრა  
ყოველგვარ ურვას და გაჭირვებას,  
მოკვდავი ზოგჯერ ნაკლებად იტანს,  
ზოგჯერ კი მედგრად ებრძვის კირთებას.

223

ზოგსაც კი მარცხი დაამაბუნებს  
და მიეცემა სასოწარკვეთას,  
ვინ უსაშველო მეწყერს გაუძღვებს,  
ვის კი ორლობის ღელე წალეკავს.

224

გამზრახვა თავად თუ არ შეცვალე,  
ვერვინ ვერ შეძლებს შენს შეჩერებას,  
შენ სულიერად რადგან ეწამე,  
იქნებ მოყვასი მტრად გეჩვენება!

225

იქნებ უფალმა გზები გაჩვენოს,  
იქნებ მოთოკო თავი როგორმე,  
იქნებ გამოჩნდეს საქმე საშენო,  
იქნებ მოუსვა ცელი ჭოროხებს.

226

იქნება წარსულს გაუსვა ხაზი,  
იქნებ დასძლიო მთრგუნავი განცდა  
და თვითმყოფადი ცხოვრების აზრი  
აატრიალებს ახლებურ ჭახრაკს.

227

გაგიმრთელდება გულის ბზარები,  
თუკი სულს ღვთიურ მრწამსში დახვეწავ,  
განაწამები მერე მიხვდები,  
რომ ისევ ბრუნავს შენი პლანეტა.

228

ისევ იხარებს დამყნილი ნერგი,  
კვლავ აშენდება ციხე ქარაფზე  
და ოჯალეშის ყურძნის ნაწრეტი  
ასფუთიან ჭურს ისევ აავსებს.



229

ისევ მოგხედავს ადამის მოდგმა,  
ახალ მეგობრებს შეიძენ ისევ,  
ისევ გახედნი ნიკორას სოფლად,  
ისევ დაუხრი საწუთროს კისერს.

230

მერე ადვილად აღარ გატყდები,  
ველარ წაგაქცევს შლევი ქარბუქი,  
ზოგჯერ იანცებ, ხშირად დაცხრები,  
მიქელას მოსვლას მშვიდად დაუცდი.

231

არ ვარ ბალზაკის რომანის გმირი,  
რომ გისახსოვრო ტყავი შაგრენის,  
რომ მოიშორო წილხვედრი ჭირი  
და გაიხარო ქვეყნად დარჩენით.

232

ვერ დაგიმკვიდრებ დღის სასუფეველს,  
ვერც რუსთველურად გიავთანდილებ,  
რამეთუ არ ვფლობ ხვავრიელ ველებს,  
საკუთარ სხეულს ჭუჭყს ძლივს ვაცილებ.

233

მეც მიგემია ურვა ლალატის,  
დავუგესლივარ სიკვდილის კომმარს,  
გავცოფებულვარ მწირთა ბანაკში,  
დავმონებევარ ყოვლისმძლე დრო-ჟამს.

234

და უნუგეშო ფიქრებით აღძრულს  
მომოქექია ბევრჯერ ნაცარი,  
რადგან ვერ ვხედავ სამყაროს სასრულს,  
არ გამისანთლავს შემცბარს ბაწარი.

235

რაც რომ ცდუნებამ ოინი მიყო,  
მონანიებამ გააბათილა,  
ჩანასახშივე უნდა გავსრისოთ  
უიმელობის მზარდი ბაცილა.

236

და საკუთარი თავის გაწრთობით  
ავამოქმედოთ უნდა მარჯვენა,  
ყოვლადძლიერი უფლის წყალობით  
ავის და კარგის შევძლოთ გარჩევა.

237

გამჭრიახობა ეს ის ძალაა,  
რომელიც სულის ლაბირინთს კვეთავს;  
ყოველდღიური ცხოვრების ვარაშს  
ცრემლებს აპკურებს ღუმილის დედა.

238

მაშინ ნათლდება გონება როცა  
ფიქრი ალაგზნებს დარდის სიმძაფრეს,  
მეწყერის ჟეთქი როს ზაფრავს მცოცავს,  
ჩამღრძაღ ხვრელისკენ წელს ძლივს მიათრევს.

239

შეგუებია მხედრის მათრახებს  
ნაიალლარ ტაიჭის ზურგი;  
ღრძო მესაკუთრე ელამ მეცხვარეს  
კუთვნილ ჯამაგირს ღროზე არ უხდის.

240

როს ბელზებელი თარეშობს ისევ,  
ვერ დავეყრდნობით გარემოებას,  
რადგან დღის შუქი ცდომილთა ნიშნებს  
განგების ძალით არ ემონება.

241

დაბნეულობა მაგნე ფარსია,  
მოკვდავს ანაზდად ფეხზე აძინებს;  
თეთრ ბაირაღებს მაშინ გაშლიან,  
თუ ანარქია აღარ აშინებთ.

242

თუ აირია მწყობრი სისტემა,  
გარდუვალია ნიღბების ცვენა,  
გარეგნულ სახის ფორმის ცვლილება  
აასარსალებს ურწმუნო ენას.

243

დაუწერელი კანონის ძალა  
მოქმედებაში არის იდუმლად,  
კეთილს ბოროტი აშკარად სძალავს,  
სატანა ბოლმას ანთხევს ბითუმად.

244

უზენაესი რადგან არ ჩქარობს,  
სრულყოფილება რომ მისცეს კაცთა,  
სულში ადვილად მიტო არ დარობს  
და მოქმედება განზრახვას ასცდა.

245

ამიტომ ბოლო ამოსუნთქვამდე  
მოკვდავს ხილული სამყარო თრგუნავს,  
გაუცხოვების შეცნობის საჭე  
შეიშუშავებს გაძლების უნარს.

246

უნიათობა რომ სადგურდება,  
არტერიული წნევა იმატებს,  
სწორუპოვრობის შანსი მცირდება,  
განურჩევლობა ითხოვს სინათლეს.

247

ბნელეთის რისხვა კი ისე თრგუნავს,  
ისე აშფოთებს ცოდვილ ათასებს,  
დილაობითაც გაჭირდა სუნთქვა,  
ბუდი გარემოს გადააფასებს.“

248

მისმენდა ისე, ვით მოჩვენება  
თითქოსდა ფიქრით დაჰქროდა სადღაც;  
წუხანდელ სიზმრის კვლავ გახსენებამ,  
მიბიძგა კიდევ რომ მეთქვა რაღაც:

249

„რადგანაც ლეში უნდა გასწირო,  
უნდა მიუგლო თევზებს საძიძვნად,  
ვერ ამჩნევ შენი სულის საფირონს,  
ვერ გამოღევნე ეშმა თავიდან.

250

მოგეხსენება, ერთ ღროს იონამ  
ვეშაპის კუჭში სამი დღე დაჰყო,  
შემდეგ კი ღმერთმა ის შეივრდომა  
და დაუბრუნა სიცოცხლე ნამყოს.

251

რაც განგიზრახავს რადგან ყოველთვის,  
რომ შეასრულო შეგწევს შეძლება,  
მოდი მოსინჯე, ანკესით ხელში  
შემოეხიზნო ნაპირს ეგება!

252

და ვისი ლუკმაც გინდა რომ გახდე,  
ის გაიხადე თავად ულუფად,  
მოკვდავი ისე არ უნდა წახდეს –  
უნდობლობა რომ უცხადოს უფალს.“

253

ოდნავ მობრუნდა, თავი ახარა,  
თან ცინიკურად ჩაიქირქილა,  
თქვა: „აგერ უკვე თითქმის გაშვადლდა  
და დაიჭირე ორი ჭიჭყინა.“

254

მიუუგე: „ორი ცოტა არ არის,  
რადგან იესომ ხუთი ამგვარით  
და ამდენივე პურით გამხმარით  
დააპურადა მთელი ლაშქარი.

255

გაუმაძღრობა მეტს სპობს ამ ქვეყნად,  
ვიდრე შიმშილის დავიდარაბა,  
სჯობს არ ისწრაფო წასვლა აქედან,  
სხივმა შეალო სივრცის დარაბა.

256

და უკაცრიელ ლამაზ ნაპირზე  
აყვავდებიან ერთ დროს ვარდები;  
კაცი ისე არ უნდა გაგიჟდეს,  
რომ ვერ შეიცნოს მაღლი გაჩენის.

257

სიბრძნის ნაყოფი რადგან ოდითგან  
საცნაურდება ძალიან გვიან,  
ბარბაროსები ძნელად ხვდებიან,  
რომ სათნოებას ამაოდ სჯიან.

258

რაც შეგთავაზე ძალზე ძნელია,  
განწირულ კრავის მესმის ხავილი,  
თუ რამე ძალა კვლავ შეგრჩენია,  
სასინჯად მაინც – ამ გზას გაივლი.

259

ზუბუნებრივი განცდის წყალობა  
გაუცხოვებულ გარსში შეაღწევს,  
გადაგვარებულ არსის განვრცობა  
ძნელად იბრუნებს სახეს პირვანდელს.

260

როცა სიცოცხლის ადაპტირებას  
ველარ დათრგუნავს სიკვდილის ლანდი,  
უმწეოდ შობილ შთაბეჭდილებას  
ჭემმარიტების მარცვალი გაზრდის.

261

წყლის უსასრულოდ ცვლადი ნაკადი  
ყოველდღიურად ჩაგივლის მშვიდად,  
განუკურნელი არ არს სახადი,  
სულის მალამო რიგდება ციდან.

262

აფარებია ნისლის პირბადე  
თვალთახედვიდან მოწყვეტილ არეს,  
შეცნობის დონე მაშინ იმატებს,  
როს სხივი უცნოდ შეაკრთობს თვალებს.

263

ხანდახან წყალში გადაეშვები,  
რომ გაიგრილო ხორცის უჯრედი,  
მოგელანდება ბასრი ეშვები,  
დაეჩემები წარსულს მუშტებით.

264

წარმოიდგინე თითქოს მკვდარი ხარ,  
მდინარის ფსკერზე განსვენებული,  
თითქოსდა ირგვლივ გარემო თრთის და  
შენ კი ვერ გამჩნევს სულთა კრებული.

265

როცა ანაზღად თვალებს გაახელ,  
არად ჩააგდებ სხეულთა წრიალს,  
რადგან სიკვდილი საქმედ დასახე,  
რადგან შეშლილი მოკვდავი გქვია.

266

თუ არსებობის პრიმიტივ საწყისს  
კაცი ადვილად გაუსასტიკდა,  
გონება დაღვრის სინდისის სასმისს,  
ზნეობა სამოსს მალე გაცვითავს.

267

როცა ის მზარდი მელანქოლია  
მოიჯირითებს არსის ლაბირინთს,  
არ ეღირსება კაცს ჰარმონია  
და სასიკეთოდ აღარა იღწვის.

268

თუკი განწყობა გულგრილად შეხვდა  
გასაუცხოებ ერთფეროვნებას,  
ამაოების მერყევი ნება  
ქარის ხომალდებს დაელოდება.



269

მარტოსულობის ცივი ზამთარი  
გამყინვარებს შინაგანობას,  
უბრალოვდება მზერა ავთვალის,  
გრძნეულმა ნიმფამ ხვედრს უგალობა.

270

ვერანაირი მაცდური ძალა  
ველარ ჩავითრევს რადგან ადვილად,  
საკუთარ თავთან მოგიწევს დავა,  
სულს სამზეოზე ფრთხილად გაიტან.

271

ღვთის შემეცნებას დაეწაფები,  
გაითავისებ ციურ სიამეს,  
ამ წუთისოფლის ყრუ დაფდაფები  
ამტვერიანებს შარას ყიამეთს.

272

დადგება ის დროც, როცა სხვა საქმეც  
გამოჩნდება და აფრას აუშვებ,  
წყურვილის მოკვლა გაგამამაცებს,  
შეაფრინდები სივრცის კარუსელს.

273

არ მოგაკლდება ლამაზ თვალების  
თავდასაღწევი აელვარება,  
უცხო სამყაროს შემოგარენი  
შენილბულ სფეროს დაედარება.

274

შემოგიჩნდება უგულველყოფის  
მახრა, რომელიც გაგაზვიადებს,  
თუკი არავის არ მიენდობი  
სული არ გამლის ვნების იალქნებს.

275

ორჭოფულობა დაეუფლება  
განზოგადების დასახვეწ განცდას  
და შეზღუდული თავისუფლება  
იფორიაქებს საწუთროს კართან.

276

რადგან ცხოვრების ფერხული მარდი  
ჩამოგიქროლებს ხშირად მაცდურად,  
ბოლოსდაბოლოს აჰყვები მაინც  
და სახვალთ ბადაგს დაწურავ.

277

შემთხვევითობა თუ გამოშმინებს,  
კმაყოფილება ბევრს ვერას გარგებს,  
შურით შეხედავ დამფრთხალ შოშიებს,  
რომლებიც მწერებს აწვდიან ბარტყებს.

278

თუ საუცხოო აზრის ნაყოფი  
გარდაიქმნება შემოქმედებად,  
ფიქრთა სიუხვეს სიტყვა აწონის,  
მოკვდავს ღვთის მაღლი დაებელება.

279

სათქმელი კიდევ ბევრზე ბევრია,  
მაგრამ საკითხის გადაჭრას ვჩქარობ,  
თუ შენ გამზრახვა არ შეგიცვლია,  
სატანა ჩვენი სისუსტით ხარობს.

280

მაგრამ მწამს, ოდენ უფალმა რადგან  
მომავლინა და მალაპარაკა,  
რომ გარდატეხა მოხდება რაღაც,  
უზენაესი გაგხდის თანახმას.“

281

მოსაღამოვდა, მზე გაღიზარა,  
ანკესი უკვე გვერდზე გადავდე,  
ცხოვრების მაღა კოცონმა აღძრა  
და ვაშიშხინებთ თევზებს საწადელს.

282

წავისამხრეთ და ბაასს მივყევით,  
სულ სხვა ამბებზე, სულ სხვა განწყობით,  
დადებით პასუხს რომ მივიღებდი,  
იღუმალ გრძნობით უკვე ვატყობდი.

283

ვატყობდი, მისი ღიმილის გამო  
ცხადად იცვლიდა იგი განწყობას,  
ცის თაღზე ბადე გაუბამს ამონს,  
მოდრავ ქაოსის გარსგასაძრობად.

284

დახლართულია გზების საუფლო,  
კვამლის ყვავილი შეერწყა ღრუბელს,  
ანგელოზს ნიმფამ მხარი აუწყო,  
მთვარე ვენერას მარაოს ურწევს.

285

განზე განუდგა იმედის სხივი  
ცდომილის ბოროტ თვალების მზერას,  
მოუსავლეთში დემონი კივის,  
რადგან დააცხრა ქეროში ძერა.

286

მარადიული დიდების ხესთან  
იესოს წმინდა აჩრდილი დადის,  
საკეთილდღეოდ გამოიკვეთა  
ფერისცვალების უშრეტი მადლი.

. . .

287

ო, ამ ტკივილის სანუგეშოს  
ჭირს შეგუება,  
ტირის ტირიფი უგუნებო  
შესაღბუნებად.

288

ყოფით თაკარას წარმოსახვა  
ეჯაჯგურება,  
მიყვები ფარას, მიმოფარცხავს  
შფოთს ერთგულება.

289

ამდენ საზრუნავს არ აწყენდა  
ჩერო ნავესის,  
ხილვამ მარგუნა აღმაფრენა  
უზესთაესი.

290

ო, ეს სიმორცხვე – მინაბული  
თვალსაწიერი,  
გულს ვერ ვიოხებ, მარა სულის  
ვარ მადლიერი.

## კ ა რ ი მ ე ო თ ხ ე

291

ჩასვლას აპირებს სსივებნათელი,  
აახამნამა თვალი დაისმა,  
წამოდგა კაცი ხელის აწევით  
და მისი სიტყვა მკვეთრად გაისმა:

292

„დღეიდან ვიწყებ ახალ ცხოვრებას,  
დღეიდან მინდა იონა მერქვას,  
რადგან უფალმა ასე ინება,  
ახალ განწყობის მომიწევს ძერწვა.

293

შევეხიზნები ამ წმინდა ადგილს,  
კუთხეს მოვიწყობ არც ისე ძნელად,  
ცდუნების თქემის ფიალას ჩავცლი,  
გავითავისებ ტალღების ჩქერას.

294

მოფრინდებიან ახლოს მერცხლები,  
ააგიჟმაჟებს თოლია კისერს,  
საყოველთაო ლოცვას მოვყვები,  
დავახარისხებ შორეულ სიზმრებს.

295

უნდა შევეწყო იმ სიმყუდროვეს,  
რაიც სჩვევიათ ამგვარ ნაპირებს,  
ისეთნაირი განწყობა ვპოვე,  
ემმას დავგმობ და გავათახსირებ.

296

თუ არ დაბინდა ცივი გონება,  
თავს მოხვეულმა შიშის პირბადემ,  
უიშვიათეს შემთხვევის გზნებად  
სიცოცხლის ღვრიტა ბადებს სიანლეს.

297

და მომავალი წლების სიმრავლე  
საჩრდილობელი ხის ძირში დამსვამს,  
გულს უხილავი ძალა მიმაგრებს,  
სიმწრის ოფლიც კი აღარა მასხამს.

298

ამ გარდატეხის შეცნობადობა  
მოქმედებისკენ აღძრავს ათასებს,  
კაცი მშფოთვარე ზღვების მახლობლად  
უფრო თამამად გაინავარდებს.

299

ერთი ნაბიჯი მაშორებს რადგან  
სიკვდილ-სიცოცხლის შენიღბულ საზღვარს,  
აჰა, შევჩერდი ამ ხილულ კართან,  
სადაც დაღმართი შერწყმია აღმართს.

300

მაგრამ ვიცი, რომ ვერასდიდებით  
ვერ დავივიწყებ წარსულს მთლიანად,  
უნდა მოვთოკო ავი ფიქრები  
და ვასულდგმულო სულის იარა.

301

რადგან განგებამ დღეს შენი თავი  
წარმომიდგინა, ვით ანგელოზი,  
მადლობის მეტი რა მეთქმის აწი,  
კვლავ განმიახლდა რწმენა ეროსის.

302

აღბათ ხანდახან მომინახულებ,  
ავაზრიალებთ ალზე შამფურებს,  
მწამს, რომ უფალი მარად ზრდასრულებ  
საყოველთაო წინსვლას გარგუნებს.“

303

მისი თანხმობა ისე მახარებს,  
ვითარც სიკეთის დასადგურება,  
შემართულია კაცი სახვალედ  
და გულიანად მენმაურება.

304

იგი ცხოვრებას კვლავ შეჰხაროდა,  
თავს მოუყრიდა ნაცარს ფერფლიდან,  
მოვლინებული ბინდის მძლავრობას  
სიცოცხლის სხივი გადაეფინა.

305

ვუთხარ ამაყად: „ზეობს შემთხვევა,  
ღმერთმა გიშველა ჩემო იონა,  
კაცი თუ რწმენას არ გაექცევა,  
ის თავს გაიტანს ქვეყნად იოლად.



306

მადლობას გინდი თავად იმიტომ,  
რომ შეისმინე სიტყვა გულწრფელი,  
სიმტკიცე უნდა გამოიჩინო  
და აიტანო მძიმე უღელი.

307

კმაყოფილების გრძნობით ავივსე,  
ანკესს გიტოვებ დროის შესაფერს,  
სულით იდიდე, საქმე აიწყე,  
ახლა მშვიდობით, კარგად მენახე!“

308

განშორებისას გადარჩენილი  
მრავლისმეტყველად შემომამჩერდა;  
გზას გაუდღეჭი ფიქრში შთენილი,  
მიმძიმს მომხდარი ამბის გარჩევა.

309

ჯერ ვერ ვეყრდნობი საფუძვლიანად  
საკუთარ თავის გამოცდილებას,  
ციური მადლი სწყალობს ნიადაგ  
მარცვლის ბუნებრივ აღორძინებას.

310

რადგან ფესვები კვებავს თავთავებს,  
რადგან არსია განსჯის სათავე,  
სულს უხილაენი ძალნი მართავენ,  
გრძნობის დაძლევის ნებას არ გკრთავენ.

311

საგნების ფორმა ისე იცვლება,  
არც არად მიღირს მათი თვისება,  
მიწყივ უბადლო იღუმალება  
ჩემს სიმარტოვეს ესატყვისება

312

ვარამი იწვევს ვნების აღრევას,  
ვერ ვეზიარე დროის მოთხოვნას,  
გადავიტანე სულის დარბევა,  
არ ვეშურები ხელის მოთბობას.

313

ალარც კი ველი რამე სიახლეს,  
დაძლეულია ზერთული განცდა,  
წილადობილას ყური ავაგლე,  
ცხოვრების დვრიტა ბალაგანს გასცდა.

314

ზებუნებრივი გულის ფანცქალით  
შელახულია გრძნობის საზღვარი,  
უმძიმესია სულის საგზალი,  
თვალს ეჩხირება ზვარში ნაცარი.

315

თანდათან უფრო ვხდები ამტანი,  
თითქოს ვასხვავებ მაცდურს მაქმანით,  
კემაყოფილდები თავის გატანით,  
ველარ მაშფოთებს ეშმას ქაქანი.

316

როცა მოყვასთა ურთიერთობას  
უანგარობის ამკობს ხელწერა,  
მაშინ შემთხვევა დანერგავს ნდობას,  
ყოფიერებას მაღლი ეძლევა.

317

მაგრამ ეს ისე იშვიათია,  
ისე მცირე ხნით გაიცისკროვნებს,  
ვით ასხლეტილი ათინათი და  
ვით ცისარტყელას ფერთა სიობლე.

318

როცა ჭეშმარიტ აზრს ვერ მივაგნებთ  
ჭირს ჩანაფიქრის დროზე გამხელა,  
სიკეთეს როცა ახლავს სიავე –  
უმაღურობა იმკის ნახელავს.

319

გულს მოდებუღი ალი უეცრად  
ფერფლად წაღეკავს მაცდურ სიამეს,  
კვლავ გვაცოდვილებს შური უმეცართ,  
კვლავ მუუყყებით შარას ყიამეთს.

320

გრძნობა სულს ხშირად უსასტიკდება,  
არადა უხმობთ ერთი მისია,  
როს წინალობას სძლევს მოთმინება,  
აბჯარ ჯავშანი რა მაქნისია!

321

თუ განრიდება დასჩემდა მოკვდავს,  
ცხარობს სიმარჯვის განზომილება,  
ფიქრი გონების წიაღში ბორგავს,  
ცდილობს სისუსტის შეძლოს მხილება.

322

რაც უნდა იყოს, ერთი ცხადია,  
თუ დასადგურდა მშვიდობის მრწამსი,  
შინაგანობას მაღლი თუ სცხია –  
ითვალსაჩინებს მეობის ფასი.

323

და საძირკველის ჩაყრას დაიწყებს  
სრულყოფისაკენ სწრაფვის წადილი,  
ფართე შარაგზა უხმობთ წრფელ გზირებს,  
ველარ დაიტევთ რადგან გზაწვრილი.

324

სულის შინაგან არსის ანცობა  
უჩინარია ვითარც ეთერი,  
ამიტომ მრწამსი გვიან იცნობა  
მოულოდნელი გასაკეთებლის.

325

ჩამოიფარცხა მთების სითეთრე,  
ერთი ღრეობს და ოხრავს ათასი,  
ღრომ გამოკვეთა ნიღბის სიყვითლე,  
ვის საკანი და ვის კი ატლასი.

326

ფეხათრეული კუნძზე მივეგდე,  
დაცვარულია მოლი ხასხასა,  
ექ, იეჰოვამ ზეცის სიკეთე  
სივრცის არხილულ გარსში ჩასანთლა.

327

თვალსაწიერს თუ ზღუდავს განცხრომა,  
პათიოსნებას ამკობს სიმშვიდე;  
კაცმა ცდუნების რომ სახოს გმობა,  
ის იატაგანს აღარ იშიშვლებს.

328

ამაოების მზარდი უჯრედი  
ჭემმარიტების არის ნაწილი,  
რაც ნათქვამს მიღმა რჩება უთქმელი,  
იდუმალება უნმოდ გაჰკივის.

329

საუბედუროდ გვიან ჩავწვდებით  
წარმავალობის შესატყვისობას;  
ბნელ ღრანტეების გულში ჩახედვის  
დრო ცლომილს ღვთისგან გამოეყოფა.

330

გაუბრალოვდა ყველა ნაბიჯი,  
რადგან ვერ ვაღწევთ სრულყოფილებას,  
არ მოგვასვენებს აზრი საჯიჯგნი,  
სანამ არ ვიწყებთ ცოდვის მხილებას.

331

ყოფიერების განვრცობის გზაზე  
ხრიოკ გორმახებს ვუახლოვდები,  
ღვარცოფი ავლებს ქარაფზე ხაზებს,  
უფსკრულს ვერ ავსებს დელგმა ლოდებით.

332

აღზნებულ ვნებებს სისხლს სწოვს კომმარი,  
ბინდმა დანისლა მკედრისფერი სახე,  
კლდის გარუჯული თალი შორს არის  
და მის გადაღმა მზადაა მახე.

333

თუ გადავურჩი შხამიან ისარს,  
თუ არ დამჩქლითა ჭრელმა ავაზამ,  
ხელს თუ ჩავსჭიდებ კიდობნის ფიცარს,  
ძნელად გამაძრობს ქარი ფარავას.

334

ოცნების მრწამსი თუა ნამდვილი  
ათილისმებს ფრთები მინანქარს,  
მოკირწყლულ ფერდობს როცა ჩავივლი –  
მიმიღებს მიწა მუდმივ ბინადრად.

335

როცა შევეყურებ ყოველ ცისმარე  
ყალბი დიდების ყურმოჭრილ მონას,  
ვფიქრობ, მოკვდავი თავს რად ვიწამებ,  
რად არ გავიხდი დროს გულის სწორად!

336

რად არ დავკრიფე ბაღში ვარდები  
და არ მივართვი მაცლურ კეკლუცებს,  
წუთით ხომ მაინც გავიხარებდი,  
შევეცვლებოდი დაღლილ მებუკეს.

337

ავივსებოდი თუკი ბარაქით,  
გადმოვხედავდი ბრბოს მედიდურად,  
ვერ მომხიბლავდა რამე არაკი,  
გრძნობას ვმართავდი მექანიკურად.

338

მაგრამ ვაი, რომ არ შემიძლია  
წუწკ დარაჯივით ხვრელში გაძრომა,  
საკმეველის თასი ცხვირწინ მიღვია,  
სანთლებით ხელში ვხვდები აღდგომას.

339

სიმართლე უქმი განაჩენია  
საყოველთაო ამაოების,  
როცა ვარამი გულს ამჩნევია –  
ლექსი მიყუჩებს ტკივილს დროებით.

340

მაგრამ როდესაც მვნებს გაოცნება,  
სულს არაქათი გამოეცლება,  
ნასათუთარი სხივი მოწყდება  
და უმაღლ შთანთქავს მას ჩაბნელება.

341

გაუცხოვების განზომილებას  
ერთფეროვნების დალი დაესო,  
დროდადრო როცა მცელავს დილემა,  
ვნების ფიალა შხამით ამეკსო.

342

როს სინანულით ვუმზერ სალოცავს,  
უებრო მაღლი თავს დამტრიალებს,  
სამარადისო თუ რამ წამომცდა –  
არარაობას გავატიალებ.

343

შეეწირება ქვესკნელის წიაღს  
ჩაძირულ გემის ავლადიდება,  
მთელიდან ნაწილს იბრუნებს მიწა,  
უმნოდ გამცემის ჯიბე იცლება.

344

რადგან სამყარომ ასე იტვირთა,  
სად იხარჯება, სად კი ივსება,  
უფლისმიერი მზის გალაქტიკა  
მარადიული არის ქმნილება.

345

ოლონდ თუ ერთ დროს, ამ გარეწარი  
ემშას საუფლო არ დაისჯება,  
ამ წუთისოფლის ტლუ სიაგკარგის  
განზომილება არ შეიცვლება.



346

პროცესი ისე წარიმართება,  
ათას თაობას კიდევ აწამებს,  
შემდეგ ამისა ვინაც იქნება,  
არ გადაჰყვება ალბათ საწადელს.

347

სული სამყაროს ბაქტერიაა,  
მოკვდავი ტანჯულ წარსულს მისტირის,  
იშვიათი და წმინდა ხვედრია  
ერის სიმტკიცის გამო სიკვდილი.

348

ზოგჯერ მოვლენის ღვთიური განცდა  
ააზანზარებს წუთით სამარხებს,  
ხშირად დახვეწილ ზენარულ ნათქვამს  
ხალხი ცხოვრებას მიუსადაგებს.

349

მსუნაგ თვალთმაქცთა უსაფრთხოება  
განწირულია საქმის წინაშე,  
რადგან ორღობეს ქეცი ედება,  
ჭიანჭველაც კი ადგილს ინაცვლებს.

350

რადგან დროულად არ მეღირსება  
ღვთის სასუფევლის სრულად დანახვა,  
გაუბრალოვდა ჩემი ღირსება,  
ღღვანდულობა ცოცხლად დამმარხავს.

351

შემოიფარგლა წუთიერებით  
განუსაზღვრელი თავდავიწყება,  
გამომზეურდა ცდომილთ ფერები  
ღამის სპექტაკლის გასაწბილებლად.

. . .

352

ო, როგორ მკაცრად მომეკითხება,  
რადგან მზის ნაცვლად მთუთქა კირთებამ.  
რა უხიაგად ვწიე ჭაპანი,  
დაძრწის ნიავერად ავან-ჩავანი.

353

როცა შევჩერდი უფსკრულის პირას,  
აზრი ჩერჩეტი ამზადებს სილას.  
ჩანგის ღერძულა სხივი მოშლილა,  
ამონთხეულა ბოღმა ქოშინად.

354

ბუნებრივ თრობით მიმოთრთოლება,  
კურცხალის ხმობით ბარტყობს ტბორებად.  
წუწკობდა ლხენა ტრამალის მკერდზე,  
ლანდად მომყვება ის განცდა დღემდე.

355

საგნები იქცა ნაცარტუტებად,  
სიზმარი იშვა ჩასახუტებლად.  
ამარდა შლევი ქარი თავნება,  
ჭალაში ძნები მიმოათქვლეფა.

356

ძარღვებში სიმწრის აჩქეფდა სისხლი,  
აჭარხლდა ფიქრი სულიერ წინსვკლის;  
ლაციცა სიტყვა გახუნდა მიწვივ,  
თარეშობს ხისტად სახედნი კვიცი.

357

ხმა შემზარავი აღმოხდა უფსკრულს,  
მრწამსის მბლალავი არ იშლის კურკურს.  
კოჭებში გამცრა მელანქოლიამ,  
სინარბე კაცთა გეშავს ფორიაქს.

358

ვერ განვერიდე უშნოდ ხეტიალს,  
ღროა თავს ვხრიდე, ღულს მისტერია;  
ამაცერცეტა უცხო სიგემემ,  
მევე ვცოდე და მევე ვიგვემე.

## კ ა რ ი მ ე ხ უ თ ე

359

ზნეობის ერთ-ერთ საწინდრად  
გულახდილობას მივიჩნევ,  
პირადულობის განწირვა  
სწვდება გონების სიმწიფეს.

360

რადგან სულ მალე სოფელი  
მოიწვევს ახალ სამსჯავროს,  
მოსალოდნელი ამბების  
შედეგი უნდა გავთვალო.

361

კაცი ხშირად რომ არ ევნოს,  
სიმართლე უნდა გაცხადდეს,  
სამარცხვინოა, სამსხვეპლო  
რომ გავიხადეთ სახატედ.

362

გამოვიტირე წინასწარ  
კეთილშობილი ზრახვანი,  
რადგან უფრორე გამწვავდა  
სიტყვების ცალყბად კაკანი.

363

როცა მკაცრი მბრალმდებელი  
აკაკობის ბიძგად რჩება,  
უშედეგო განაჩენი  
ბოროტებას ესარჩლება.

364

დანაშაულს, თანაც ამდენს  
ბოლო მაინც არ ელება,  
გისოსებით დახშულ სარკმელს  
ფარდა შავად შეელება.

365

განა მარტო შიშის ზარი  
გლოვის ზარიც ახმაურდა,  
უკუღმართი დრო და ჟამი  
სულის ხაზინასაც ქურდავს.

366

ჯერ შავად არ შეთითხნილა  
საბოლოო განჩინება,  
შელეგიან დასჯას ხშირად  
ათწლეული დასჭირდება.

367

ჭეშმარიტების მარცვალი  
რა უგერგილოდ ღვივდება,  
დაება ხელი მსახვრალი  
შეუფერებელ დიდებას.

368

რადგან მისტიურ სამყაროს  
იდუმალეა სჩვევია,  
ცთომილნი ვითლა დავთვალო,  
ძნელადლა შეიმჩნევინ!

369

თუ მოჩვენების განსაზღვრა  
წარმოისახა დილემად,  
დაუდევრობა ცალსახად  
ცდუნებას შეეწირება.

370

თუ რამე გამოიკვეთა  
სახვალთ და საერო,  
არ მოიღრუბლო საკვნესად,  
არ მოიწამლო ჰაერო.

371

ოცნება სულს რომ აპურებს,  
გული გარანდავს ზვაშიადს,  
ო, ამდენ ჩამზრალ საცდუნებს  
შემოვლებია არშია.

372

ბევრს არ ჰქონია დოვლათი,  
უცებ დიდკაცი გამხდარა,  
დახვავებული ხორავი  
დაძველებულა, წამხდარა.

373

კაცი მხოლოდ მას მოიმკის  
რაც დაანათლა ბუნებამ,  
საშინელია დიდი ხნით  
მწარე სვე-ბედის ყურება.

374

სოფელი არას შეგვარჩენს  
სიტკბოს სიმწარე წალეკავს;  
ვერ აჩირაღდნებს კელაპტრებს  
მოუსავლეთის კარეტა.

375

სიფრთხილე სიბრძნის ერთერთი  
მთავარი ნიშანწყალია,  
რადგან ამ ზეცისქვეშეთში  
ვხედავთ უამრავ გალიას.

376

ზოგს რიკულები ამშვენებს,  
ზოგს რკინის ზღართი არტყია;  
კაცს შუბლზე შიშის საჩვენე  
სვასტიკასავით ატყვია.

377

ზოგი თავს ვითომ ალომებს,  
ზოგს კურდღლის ტყავი აცვია,  
ზოგი ხმამაღლა აბოდებს  
თავისუფლების ქარტიას.

378

როცა ცისფერი ეკრანი  
მოჩვენებითი მახეა,  
სად გაშპა ვერძი ვერანი,  
სად ძაღლის თავი მარხია.

379

აღტკინებული სულები  
თავს ცათამბრჯენებს ახლიან,  
დაკნინდა შვილი უძღები,  
ღორმა ჭილოფი დახია.

380

როცა სინდისის ქენჯნა  
სირცხვილს ჩამოსწმენდს ლაქას,  
დაწყებულია ერთხმად  
შემთხვევითობის განსჯა.

381

თუ გარდატეხის წამი  
არ შეისუდრა შავად,  
ცრემლმორეული თვალი  
სიწრფელეს კვლარ მალავს.

382

გულადრენილი სხეული  
თუ დააოკა სულმა,  
პარაკლისს იხდის ეული  
განტეკებული ურვა.

383

თუ არ ჩაქოლა გრძნობამ  
მონანიების წუთი,  
მაშინ უფალი მოკვდავს  
ღვთიურ კურთხევას უძღვნის.



384

მარცხს და დიდებას შორის  
როცა მოძრაობს კაცი,  
იგი მრავალჯერ ჩაცლის  
თავგანწირულთა სასმისს.

385

არ გალაცდება სიტყვა  
უტყუარი და მყარი,  
ძველი შენობის მიღმა  
მიწას გაუჩნდა ბზარი.

386

როცა წინ წასწევს საქმეს  
შეფერხება ან წინსვლა,  
უჩინმაჩინი სახე  
დროის მოთხოვნად იქცა.

387

ვერ დაიჭია მხრებმა  
მოზღვაკებული ნამჯა,  
არ იუარა ზენამ  
გამარჯვებულის დასჯა.

388

როგორ უკმეხად დამდეგს  
უკმარისობის ნავსი,  
რადგან ღირსების მსახველს  
მცირე მანძილით ავცდი.

389

უნდა გავუძლო დიდხანს  
გაუცხოვების ვარამს,  
რადგან ჭეშმარიტ მიზანს  
სიბრძნე ბრჭყალებში ძალავს.

390

თუკი ღვთიური სამეფო  
კაცთა თანდგომას ელტვის,  
იქნებ რწმენაზე აეწყოს  
წუთისოფელის ეტლი.

391

დაგვეუფლება რა წამს  
კმაყოფილების განცდა,  
სჯობს უხეირო წანწალს  
შინ მკათათვემდე დაცდა.

392

შორს გამიტაცა რადგან  
ცნობიერების ტალღამ,  
მოწადინებულ დაღლას  
სიამოვნება ახლავს.

393

სუნთქვა გახშირდა რადგან,  
რადგან გამძაფრდა მზერა,  
მომხვეჭელობის მადა  
ღამის ბილიკებს ზვერავს.

394

გადმომაწვდინა ექო  
ბავშვურ ალგზნების დვრიტამ,  
უხმოდ მივყვები ბექობს,  
ფიფქი იცრება ციდან.

395

როგორ მადნება ხელში  
უსათუთესი წვეთად,  
ხილულ ოცნების გეზი  
მერიდიანებს კვეთავს.

. . .

396

დღეს ვინმეზე დაყრდნობა  
გახდა იშვიათობა,  
ცოდვა-მადლის არცნობად  
ყალიბდება თაობა.

397

ბევრი დაეხეტება,  
ცოტამ მოხნა ყამირი,  
ზოგი ლაყობს ზედმეტად,  
ზოგი უხმოდ ჩაივლის.

398

ისე გაშინაურდა  
უიმედოდ დარჩენა,  
საწინსვლო აურა  
არ იძლევა არჩევანს.

399

განუსაზღვრელ შემთხვევას  
ახლავს გრძნობის ფეთება,  
უთანაგრძნო მოწყენა  
სწყალობს შემოქმედებას.

400

სივრცე ვერ მალავს როცა  
მთვარის შეხების წეტილს,  
ნაცოდვილარი მოცდა  
შემწყნარებლობას ელის.

401

შენიღბულია რადგან  
მოჩვენებითი ხიბლი,  
განუკითხავის კართან  
შეჩერებულა მწირი.

402

სიო აქროლდა მკვეთრად,  
გამაჟურიალა ტანში,  
დაუოკებელ ვნებას  
მოუთმენლობა აშლის.

403

უნდა ვეძებო რადგან  
აყვავებული ბალი,  
გაუცხოვებულ აღმართს  
ჩაუსახლდება ნაღმი.

404

უმოქმედობის ჩქამის  
თავშეკავება კმარა,  
მოუხელთებელ აზრის  
უსაზღვროება მზარავს.

405

შეწინწკლულია ქარი  
ბაბუაწვერას ფრთებით,  
ბეწვის ხიდს უხმოდ მდგარი  
ტალღების ცქერით ვკრთები.

406

გადავაბიჯე საზღვარს  
მოუსავლეთის მიღმა,  
უცხო თილისმის ნახვა  
საშვილიშვილოდ ღირდა.

407

მიმოეფინა ლაჟვარდს  
გამოდარების სითბო,  
შინაგანობა სჭვალავს  
სასწაულმოქმედ მითოსს.

408

რადგან აყოვნებს ჟამი  
გოლგოთისაკენ წინსვლას,  
გადაგდებული ჯვარი  
გადაკეთდება ისრად.

409

ფრინველთ საფრთხობი ძონძი  
ჩამოხეულა სარზე;  
ღღეს ამოდ არ მოვცდი –  
ტკივილს ტკივილი არჩენს.

410

გადამდებია ღამის  
იდუმალების სიბლი,  
ჩასაფრებული ქარი  
ღრუბლის ნარჩენებს ითვლის.

411

ამწვანებული სევი  
მიმოაქუფრა დელგმამ,  
მზის ჰემისფერომ სეტყვის  
შესანდობარი შესვა.

412

დაძაბულია გონი  
ცვალებადობის განსჯით,  
დამუხტულია ფონი  
ჭეშმარიტების მადლით.

. . .

413

გაიჭიატა უნიათოდ  
როს ალტკინებამ,  
არ ჩანს იახტა, უკიაფო  
თრთის დაპირება.

414

წიკწიკებს ნიხრი, ჩაიცრიცა  
ღამის ფიასკო,  
მაშხალებს ვისვრი, ჯუნგლისპირა  
გზას რომ მივაგნო.

415

ჩქეფს გაბრწყინება სწორუპოვარ  
განთიადისა,  
ღირს დაფიქრებად – მოუბარმა  
რომ იხალისა.

416

ვერ დავაძველებ ამ სიანლით  
განცდილ ტკივილებს,  
ცრემლს შევაჯერებ განთიადის  
მლოცველ გვირილებს.

417

როს ეხუტება მოჩვენება  
მწველ ჰარმონიას,  
ისე მუქდება ოხვრის სნება –  
ირგვლივ შმორია.

418

განკვეთის ხინჯის აღტკინება  
თავს დამტრიალებს,  
ფაფხური სიმწრის ცამ ინება  
ჩემს სატიალედ.

ბ ა ლ ა ბ ა ნ ი

კ ა რ ი პ ი რ ვ ე ლ ი

419

მამალმა შეჰყივლა, თენდება,  
შეირხა მუშია;  
სიზმარში ზმანებულ ზამბახთა  
სურნელი მწყურია.

420

აფრინდა სოხობი შარშანდელ  
დაცხრილულ მოლიდან;  
შუბებით დაფაცხულ ნამყოლან  
მაშვრალი მოვდივარ.

421

მხუთავი ბული დგას შარაზე,  
მეგ ზური არა ჩანს,  
ნამატრი ედემის ძებნაში  
წავაწყდი ბალაგანს.

422

მეუფეს გვერდში ჰყავს მოძმენი  
ბრძენ-ქველად ხმობილნი,  
კარისკაცს შემოაქვს უსტარი,  
ჭდე აზის მორჩილის.



423

გახსნეს და კითხულობს მდივანი:  
„ამბობდა სამთავრო,  
ქაოსის მისტიურ გნასში  
მიყუჩდა მალარო.

424

შიშშილობს შემცბარი შვილები,  
ითხოვენ სილალეს,  
ცდილობენ მთავრების მხილებას  
სინდისის წინაშე.

425

ყველა შენს ქვეშევრდომს მეფეო  
აუგად ნათლავენ,  
ამბობენ, მონური კანონი  
მოვსპოთო ახლავე“

426

თათბირად დაბრძანდნენ დიდკაცნი,  
საუბრობს ვეზირი:  
„მაშფოთებს ძვირობა ამგვარი,  
გავრცელდა ეს ჭირი.

427

როგორმე ავლაგმით ურჩები,  
სისხლი რომ დავღვაროთ –  
ვაი, რომ აბორგდეს სამყარო,  
შავი ღლე გვაყარონ!

428

მოდით და ვუსმინოთ ლაყბობას,  
მივუშვათ ლიდერნი,  
ძნელია დღეს ჩვენი დამხობა,  
ჯარი გვყავს ძლიერი.

429

თუ საქმე გართულდა ძალიან,  
სისხლი შიშს დანერგავს,  
ურჩები ჰპოვებენ გალიას,  
მოვთურგნით გარეგანს.“

430

ჩანს ღრუბლის ფთილები პირშავი,  
იელვა, თრთის რაში,  
მუქდება შევერცხლილ ტატნობზე  
აისის მირაჟი.

431

სიყალბის სიკოჭლით ჭირს ყოფა,  
გაყუჩდა ორპირი,  
ქსელს განზე განუდგა ობობა  
ლოდინით მოღლილი.

432

გაბრუვდა ლეკვების წკავწკავით  
ელაში გარემო,  
ტოროლა არწივის მოციქულს  
ფეხქვეშ არ გაეგო.

433

ცრემლნარევ მირონმა გაჟონა  
შემჭკნარი დაფნიდან,  
წამოდგა ფერმკრთალი მადონა  
სულიერ სატირლად.

434

ავდარმა ლატანი ჩარეცხა,  
იბარტყა ტბორებმა,  
კოდალა ნაფოტზე ეცადა  
ნისკარტის სწორებას.

435

ზოცმა თქვა, – შევრისხოთ მტარვალნი  
ეს როგორ გაბედეს!  
ვეზირის ვერსიას მავანნი  
შიშის ქვეშ აყენებს.

436

თვალს ავლებს მეუფე შეკრებილთ,  
სარდალზე შეჩერდა:  
„რას იტყვი მთავარო, ქველ განსჯას  
მოველით ჩვენ შენგან!“

437

პასუხობს: „ლამისა ეს სნება  
გრიგალად მოვარდეს,  
მწევარი კურდღელს ვერ დაიჭერს  
თუ ვანდეთ ონავრებს.“

438

ოლქებში ჯარები გამრავლოთ,  
რომ ვიყოთ უშიშრად,  
ვეცადოთ სისხლი არ დავღვაროთ,  
შევაქოთ მუშის ხმა.

439

სწავლულთა აზრებსაც ზოგადად  
ვეუკმიოთ გუნდრუკი,  
გამრავლოთ ერთგული რობოტი  
მლიქვნელთა ფუნდუკში.

440

თუ ძალზე გამძაფრდა მოვლენა  
ქუსლებით ჩავექოლავთ,  
შეწირულ შვილების ხსენებას  
ნუ მოვშლით აღდგომას!“

441

კაცისგან დაჭრილი ფოცხვერი  
ლომებმა გაწიწკნეს,  
გაყუჩდა გარემო, განაჩენს  
გვაუწყებს ხელმწიფე:

442

„ფერწასულ ვარსკვლავთა ციაგი,  
რომ იგრძნო ღამურამ,  
ბალაგნის დაბლილულ დირეზე  
ცრემლები აპკურა.

443

სიმართლის, სილალის იდეამ  
იკვესა ზღაპრიდან,  
მასების უებრო მოთხოვნებს  
განზე ვერ გავრიყავთ.

444

ვეცადოთ არ აკლდეს ქვეყანას  
პური და მარილი,  
ბრიყვი ბრბო თუ ძლიერ აზვირთდა,  
იელვებს მახვილი!“

445

ხომალდი მიცურავს ტალღებში,  
მძვინვარებს სტიქია,  
აფრების აგლეჯის სიმწარე  
ზღვის ფსკერმაც იწვნია.

446

თხუნელამ ანაზდად გათხარა  
თვისივე სამარე,  
მკურნალი სიხლსავსე წურბელა  
სულს ზენას აბარებს.

447

ქაოსის უკუნში აქროლდა  
მიმქრალი კანდელი,  
ამზადებს შეჯავშნულ კიდობანს  
აკვნების გამთლელი.

448

ჯერ კიდევ შემორჩა საფქვაკი  
გაძარცვულ ბელლიდან,  
განგებამ არგუნა სახადი  
შენიღბულ ელიტას.

449

სამყარომ შეიგრძნო ღალადი  
გუშინდელ დევნილის,  
კვლავ ისევ ჩუმ-ჩუმად ჯაშუშობს  
მშიერი ვეჟილი.

450

უღროოდ მოწყვეტილ ვარსკვლავმა  
ფრთები ძირს დახარა.  
დამფრთხალი ურჩხული დააცხრა  
თოვლიან არარატს.

451

მიდამო შექანდა, იგრგვინა  
ურარტუს მხარეში,  
წამებში პირწმინდად დაიმსხვრა  
კოშკი თუ მანეჟი.

452

სულს ღაფავს პირმშრალი მშობელი  
ძედქმნილის აკვანთან,  
მაშველი ნანგრევის ხვრელისკენ  
უშიშრად გაქანდა.

453

გლოვა და შენდობა სტიქიით  
დაღუპულ ათასებს,  
უბედურ, უქონელ მოკვდავთა  
წყალობა დასახეს.

454

შემორჩა ჯვარი და ნახშირი  
დანგრეულ კერიებს;  
მოდუნდა ფრთამრუდე არწივი,  
სადავეს ვერ იჭერს.

455

იფერებს წუთიერ განცხრომას  
ყორნების საუფლო,  
სატანამ ავაზას კურდღლების  
გალია დაუთმო.

456

კოცონთან შემომსხდარ სახეებს  
გადაჰკრავთ სილურჯე,  
ბალაგნის ჩეროში ძუ მგელი  
ჭრილობას იშუშებს.

457

დასიცხულ ენძელას ვაზების  
ტირილი ეამა,  
შეაკრთო მთვლემარე ბელები  
მეწყერის გრიალმა.

458

ჭიანი ნიგოზი დანაყეს  
დაქანცულ ბერებმა,  
ჭაობის თაკარა სანახემ  
ბული შვა ენებად.

459

გაცრეცილ ღრუბლების ქილიკში  
უმწეოდ გათენდა,  
სალოცად განეწყო ყარიბი  
ჩახჩახა სანთელთან.

460

აეწვა ღაჟღაჟა ლოყები  
ცრემლიან გაზაფხულს,  
შევნატრი მწერების უაზრო  
ჭრიჭინის დასასრულს.

461

დაფოფხავს ბუდიდან ვარდნილი  
უმწეო ბახალა,  
სოსანმა იგრძნო რა ფუტკარი  
ყვავილი დახარა.

462

იქუნა, წამოხტა მიწურში  
მძინარე ყეყეჩი,  
დამფრთხალი ქურციკი გაიჭრა  
გაუვალ ტყე-ღრეში.



463

ივერთა ბერი თუ ყმაწვილი  
მიაწყდნენ სასახლეს,  
– გვანჩოვსო მონური უღელი –  
ერი ღვთივ ღაღადებს!

464

ღამეა, გუნდ-გუნდად მღერიან  
მშიერი შვილები,  
დამსჯელი რაზმები მოდიან  
ალესილ ნიჩბებით.

465

არ შედრკნენ, მამულის ერთგულნი,  
ღგანან, არ იძვრიან,  
პირველი დარბევა დიაცთა  
ფერხულმა იწვნია.

466

ვით შევძლებთ, ბარბაროსთ აღკვეთას  
შიშველი ხელებით,  
გაცოფდნენ, არავის ინდობენ –  
ეს სისხლისმსმელები.

467

იმ ღამით გამწირულ შვილთაგან  
მრავალი ქალია,  
დიდება – მამულის სვეს გამო  
ვინც სული დალია!

468

აღშფოთდა ერი და მოძმენი,  
ქვეყანა ირევა;  
თათბირზე ამაოდ დასახეს  
სიმაართლის მხილება.

469

დროდადრო მძაფრდება უფრორო  
მასების მოთხოვნა;  
– ვიყოთ ჩვენივე პატრონი,  
არ გვჯიჯგნოს მოსკოვმა!

470

ნასხვისი მერცხალი შესტირის  
აპრილის განთიადს;  
დამსხვრეულ კარეტამ მეაბჯრე  
საზღვრამდე ათრია.

471

იხვების გნიასმა ალაგზნო  
მშიერი ძუ მელა,  
ქობრუდა ირმების მომცრო ჯოგს  
ფოცხვერმა უყელა.

472

დაღლილმა კამეჩმა უხშირა  
პირმრუდე მთქნარებას,  
მსუნავი ტლუ მარვი ხაფანგში  
მადლარი გაება.

473

მოესმა უსასო კივილი  
შორეულ ნიმფებსაც

და გლოვის ეკლიან სამანთან  
გონშემლამ იფეთქა.

474

გულებს რომ აღაგზნებს ნიადაგ  
განწირვის სურვილი,  
სინდისი აურას ინამავს  
ნასისხლი ბინულით.

475

უღვივებს წადილი გასაქანს  
გულნაკლულ ოინბაზს,  
ქარბუქმა ტერასა ჩაფარცხა,  
აცრემლა მოისრაღს.

476

ვერარა შემატა დაზაფრულთ  
უზნეოთ მხილებაჲმ,  
გზაწვრილში ჩაბჟირდა დაქანცულ  
შემტევის დილემა.

477

შარაზე მახვილის ბზრიალი  
არა და არ ცხრება,  
შენიღბულ ტიალის გრიალი  
იხუვლებს ხანძრებად.

478

ასე ჩანს, რადგანაც კარგა ხანს  
კოშმარი იმეფებს,  
ჭორებმა განწყობა გათანგა,  
ჩინშია სიკეთე.

## კ ა რ ი მ ე ო რ ე

479

დაჭრილი სერაფიმი ცეცხლის აღს აფრქვევს,  
მკერდიდან მოიგლჯა რკალური სეფქა,  
გაჩნდა სვაფი და მისწვდა სისხლიან ნაფლეთს,  
ისარი მოისროლა, ლეში ჩახეთქა.

480

გაუმაძღარმა მიმოიხედა ირგვლივ  
და ვერ გაბედა გრძნეულ ფრთოსანთან შებმა,  
ადიდებული წყალი მოასკდა წისქვილს  
და რახარუხი გაათკეცა ქვებმა.

481

უეცრად აიჭრა ზეცაში ალმური,  
მოედო მტაცებელს სხეულის ვაებად,  
ანგელოზს დაეფარა სიასამური,  
რიჟრაჟი ეწვია მითიურ ზმანებას.

482

სხივების ჯარია, კამკამა დილაა,  
უზმოზე ვისრუტე გონების ნახარში,  
სიზმარი არაცნობიერის ხილვაა –  
ამ ცნობიერების შეზღუდულ ნაკადში.

483

ბედმა გაგიღიმა, ნუთუ გიღიმის ის –  
ვისაც ვერ მიუზღავ ვერასდროს მაგიერს,  
მიმოზა დილის ცვარს ცრემლებად ღვრის და ღვრის,  
ციყვებმა ფოთლების ფარდები გასწიეს.

484

ვხედავ, ხის ძირას მუხლებზე დამხობილ მწირს,  
ის ბრილიანტებს უბეში იყრის და თვლის,  
თან ამბობს: „უფალო, ნეტავი რა ვცოდე,  
ამ სუმის მნახველი ლამისა შავღონდე!“

485

შემნიშნა, გაფითრდა, გამოსცრა კანკალით:  
„თქვენ ხომ არ დაკარგე ქონება ამგვარი!“  
ვუთხარი: „ნუ ჰყვერდი ამ ბედის ქარამოტს,  
აღბათ ეს წყალობა განგებამ განავო.“

486

გასწიე, ააგე სასახლე, კოშკები,  
ოღონდაც უქონელს მიეცი გროშები!“  
წამოდგა, ხელები ზეცისკენ აღაპყრო,  
ქვემ-ქვემ ჩაიცინა ველურმა ყაყაჩომ.

. . .

487

შევესწარი შავი ვარდის აღსარებას,  
შავ ლაწვებზე ცრემლი სხივად დასცემია,  
მას ტრამალზე აღარა სურს გაჩერება,  
რადგანაც ის აქ არავის ჰყვარებია.

488

ყვავილებთან მან საერთო ვერა ნახა,  
რადგან ზღვარი ვერ წაღეკა ფერთა ცვლის,  
მის გაჩენას იგი ბედის წყრომად სახავს,  
თავს ვერ ირთობს სადღეისო სპექტაკლით.

489

ვერვის ანდობს თვის იშვიათ სამყაროს,  
ვერ განავრცო შინაგანი კაშკაში,  
არქაული სიმარტოვე რომ დათმოს,  
უნდა ჰპოვოს სანუკვარი დამქაში.

490

საწყალს მგონი გაენასკვა ფეხის ძარღვი  
და ყავარჯნად ხელის თითებს ფრთხილად გაწვდი,  
როს ლოყაზე მომეფერა იგი ღაწვით,  
საუცხოვოდ მაგრძნობინა ყნოსვის მადლი.

491

შევყურებ ღრუბლების საოცარ აზვირთებას,  
ვიღაცა იცინის, ვიღაცას ეტირება,  
როდესაც სულიერი იწყებს განივთებას,  
სამყაროს მაგიური ბინდი ეფინება.

492

უხილავ საფარშია ჯარი ვარსკვლავების,  
ციურმა ათქეშებამ ხმელეთი დაღალა,  
ჭუჭყიან საუფლოში ჩაკვდა ბალახები,  
ღვარცოფმა ყვავილებიც უფსკრულში ჩანაყა.

493

როდესაც შეყოვნდა ეს დავიდარაბა,  
ეკალზე აცოცდა ჭია აბრეშუმის,  
ხვალ ალბათ ღელეზე ბეწვის ხიდს გავაბამ,  
ჭაობის მახლობლად იბარტყებს ჩამი-ჩუმი.

494

ფერია ივარცხნის ოქროსფერ დაღალეებს,  
ღამურა უკუნთან განშორებას განიცდის,  
თავისუფლებას შინაგანობა განაგებს,  
ამ უკანასკნელს კი ნებისყოფა და ნიჭი.

495

თავს ვიტვირთავდი გარჯით და ბახუსით,  
მაშხალეებს ვუნთებდი გულზვიად ქარაფებს,  
სად აღარ ძვრებოდა აჩრდილი ავსულის,  
ხევლა და წიწკნიდა გულლია ბარათებს.

496

მივაშურებდი უღაბურ ადგილებს,  
არ მბეზრდებოდა განცხრომა ველური,  
ღამწვარ გულს როცა ავდარი აგრილებს,  
ზნეს მკვეთრად შეიცვლის სხეული გვეძული.

. . .

497

ველარ ვამაგრებ მაცდური სიზმრებით,  
გაუცხოვების არამყარ ზედნაშენს,  
ეს ღამენათევი ოხერი ფიქრები  
სიცარიელეს ვერა და ვერ ავსებს.

498

ამ ქვეყანაზე რა აღარ მიცდია,  
სად აღარ ვიარე, რამ აღარ მიმუხთლა,  
ჭემმარიტება გუზგუზა სივრცეა,  
საიდანაც სიმართლის ფერფლს ვისრუტავთ.

499

ეს სად შემიტყუა ბედის კარუსელმა,  
ველარ ღავალწიე თავი მძვინვარებას,  
ვშფოთავ, ერთ ადგილზე თითის გაუნძრევლად,  
მუხის ანგელოზი ისევ მემალება.

500

როგორ მაცოდვილებს განცდა სიძულვილის,  
რა ვქნა, რომ მოკეთე არსად მეგულება,  
დიდხანს უნდა დავრჩე ასე განდეგილი,  
რადგან ლუციფერი სივრცეს ეუფლება.

501

ლამის შეეწონა სუნთქვა მღუმარებას,  
სიტყვამ იმარხულა, გული დახშულია,  
ველარ ამოღერღა ვნებამ აღსარება,  
ცხადის განაცხადი სიზმარს წაუღია.

502

ეშმამ გაიტაცა თეთრი ანგელოზი,  
ცხრა მთა გადიარა, ღრუბლებს გააცილა;  
ბრწყინავს ავგაროზი სევდის სალაროში,  
მაცდურ სირინოზებს ღამეც არა სძინავთ.

503

სისხლი წამოვიდა თითქოს ბუკეთებად,  
ხელი წარბებს მიღმა ცივად ავიფარე,  
ლამის კოშმარები ვარსკვლავს ეხეთქება,  
დამღრძაღ ხმელეთიდან ცისკენ ავიხარე.



504

ყური შეეჩვია ქალთა შეკვივლებას,  
გზაზე მიმოფენა არის საკაცეთა,  
ირგვლივ ყვავილებსაც მწარედ ეტირებთ,  
რადგან მწუნარების განცდა გაასკეცდა.

505

რადგან ისევ ისვრის ჭურვებს ბომბლამშენი,  
გვერდი შენგრევია ტახტის შემოგარენს;  
აწმყოს სისასტიკეს ტყუილად ვემალები,  
რადგან მომავალი სამოსს შემომახევს.

506

რადგან ანათემა კვლავაც მელანდება,  
ნისლი არ შორდება რადგან არემარეს,  
უნდა ვამუხრუჭო ჩემი შემართება,  
რადგან ჩამოტყაულ ფიტულს დავედარე.

507

რადგან დაუგია მახე უნდობლობას,  
რადგან შევაბიჯე ბინძურ საფეხურზე,  
რადგან დამაოსა დრომ და უსახსრობამ,  
ალბათ შეგნებულად უნდა გავველურდე.

508

რადგან არსებობის მზაკვრულ გამოცანას,  
უქმად შეაკვდება აზრის გაელვება,  
სულის აღზევების დრო თუ ამოდრავდა,  
ძელზე ღვთის რჩეული ისევ გაეკვრება.

509

რადგან ვერ გაიყო პური უფუარი,  
სისხლით სავსე თასებს ხარბად გამოცლიან,  
რადგან ამ ცხოვრების გზები სატყუარი –  
შავი ღამიწების თეთრი სამოსია.

510

როგორ მათამაშებს გრძნობის ირონია,  
როგორ ჩავკირკიტებ სტრიქონს განაწამებს,  
მალე დემონები ქვევრებს გამოცლიან,  
მათ ჩემს სიახლოვეს აღარ გავაკარებ.

511

რადგან გაუთელეს ღერო ქრიზანთემას,  
რადგან თვალის სვეტი შავად შემიღებეს,  
მათი თანადგომით თითქოს მიმართლებდა,  
მანც განკაცების მაღლი შევიფერე.

512

მაგრამ გამიჭირდა მათი დავიწყება,  
რადგან თავს მასხენებს რაღაც მონატრება,  
როცა ვნების სხივმა ალებრ დაიკვესა,  
ვერსად გავეჩეცი მაცდურ მოლანდებას.

513

რადგან ველარ ვუძლებ ურვის აღზევებას,  
მუხლი მეკვეთება, შიში გაათკეცდა,  
ფიქრში გაჩხერილი აზრი მენანება,  
თუ არ დავიხსენი განცდას შეაკვდება.

514

უნდა დავაღწიო თავი მძულვარებას,  
უნდა განვერიდო ბედის ირონიას,  
როცა სიყვარული ითხოვს მღუპარებას,  
მასთან შეხამება სულის მირონია.

. . .

515

ვერანაირ ფეხის ხმას ვერ ავყვები,  
რადგან სევდის წიაღში ვარ ჩაფლული,  
გულს მიწვრილებს მოზარეთა ჰანგები,  
რადგან უღვთოდ იცხრილება მამული.

516

ეს რა ჩირქი მოსცხებია გარემოს,  
ვულკანივით გესლს რომ აფრქვევს ურჩხული,  
ლამისაა ბრბოს თვალები დაეცოს,  
ლამისაა დღე ჩაქოლონ უკუნით.

517

მგონი სისხლი მეყინება ძარღვებში,  
მელანდება გვამებმყრალი ბუნკერი,  
ახლოვდება სითავგვემე დაცემის,  
მომრავლდება ამაღლების მსურველი.

518

დრო მეგონა განტვირთვის და გაქცევის,  
კაცი თავის სიჯიუტით წახდება,  
არ დამზოგავს განვლილ წლების ქარცეცხლი,  
გაჭირდება სიმარტოვის გაძლება.

519

როცა ცრემლის იისფერი ნაკადი  
შეერევა დამანგრეველ ტალღებს,  
შეიცვლება მაშინ წესი ნაცადი  
და ხვაშიადს გული ძნელად ამხელს.

520

მარადისობა ჯაჭვის პერანგს იცვამს,  
სული უსასრულ განედზე გავიდა,  
ახვიდე დიდების მწვერვალზე ნიშნავს,  
გადმოვარდე საკუთარი თავიდან.

521

მძაფრია უხერხულობის შეგრძნება,  
სიმწრის ოფლს იწვევს სინდისის ქენჯნა,  
ვერ დავეყრდნობი არსებულ შეძლებას,  
დაეჭვება სიმართლის გზის ძებნა.

. . .

522

თვეზე მეტია რაც არ მინახავს  
მდინარის პირას მყოფი ხიზანი,  
მან იქ კარავი გაიჩინაჩაზა,  
ცხოვრებას უმზერს ვით გულთმისანი.

523

დაგმო სიმუხთლე მსუსხავი ბედის,  
სრულად შეეწყო წილხვედრ ხელსაქმეს,  
როცა მივდივარ მასთან წრფელ გზნებით,  
ის მასპინძლობას მიწევს შესაფერს.

524

ყველაზე უფრო მასთან მწადია  
საჭირბოროტო საკითხზე ბჭობა,  
ის ეზიარა, ცხადზე ცხადია  
შემგუებლობის იშვიათ ფორმას.

525

ის ეუფლება არარაობის  
არად ჩაგდების მძლე ჰარმონიას,  
თვალთ უხილავ ძალის ტატნობი  
ერწყმის რუხ ღრუბლად ქცეულ გოლიათს.

526

ის სულის საწრთვნელ ქურას ამზადებს  
და იმორჩილებს გრძნობის სალტეებს,  
რადგან პრობლემებს მარტივ აგვარებს,  
აზრის სიმძაფრე ველარ ატყვევებს.

527

ის იმნაირად გარდაისახა,  
ვით ცისარტყელად შუადღის მირაჟი,  
აწმყომ წარსულის შავი ფილთაქვა  
მიმოისროლა წუნწკალ გვირაბში.

528

მან ქარის ქროლვის საპირისპიროდ  
აღმართა არსის გამჭოლი ფარდა,  
არ უღირს თავი რომ დაიტვირთოს,  
ანკესის ბასრ ფხას ადგილზე ჩარხავს.

529

ორი წელია უკვე აქ არის,  
შეესისხლხორცა ტალღების ხმაურს,  
მან განკაცების თესა მარცვალი  
და ლოცვით იმკის ყოფის საზღაურს.

530

მივედი მასთან, დავაკაკუნე,  
რადგან არ მიღებს კარებს არავინ,  
შევაღე, ოთახს სახტად შევეყურებ,  
უკაცრიელი იყო კარავი.

531

გასაკვირია, ჩვენს ხიზან ბეჩავს  
ხომ არ უყელა სიმწრის ქარიზმამ,  
ვფიქრობ რა მოხდა, გავიგო ნეტა,  
რა შეემთხვა, ან საით წავიდა.

532

მძარცველებს ის არ შეაკვდებოდა,  
არც თავს მოსწევდა თავად რაიმეს,  
ძირს ვხედავ, რალაც თეთრად ეგლო და  
მიმოვიხარე, თრთოლვით ავიღე.

533

ჩავცქერი ბარათს, სწერია საღაც:  
„მივდივარ ქართულ მიწის დამცველად,  
დრომ გამიღვიძა ბრძოლის მაზანდა,  
არ ვუშინდები ტყვიით დაცემას.

534

რადგან აბორგდა სულ-მთლად მილეთი,  
შეგულიანდა აფხაზთა მხარე,  
სურთ, რომ წარგეტაცონ ჩვენ ზღვისპირეთი,  
გადამთიელებს უღებენ კარებს.

535

თავისუფლების დიდმა წყურვილმა  
აამოძრავა რადგან მასები,  
გავითავისე ერის გულისთქმა,  
მწამს, რომ ამაოდ არ ვისარჯები.

536

ვიცი, ამ ბრძოლას განსხივებული  
ელფერი მძაფრად ჯერ რომ არ დაჰკრავს,  
ზოგჯერ ომის დროს გამარჯვებული  
დამარცხებულზე უფრო მეტს კარგავს.

537

დაებრუნდები თუ არ დაებრუნდები,  
დიდ განსხვავებას მათ ვერ ვანიჭებ  
და მოხალისის მძაფრ რუღუნებით,  
უნდა დავიცვა ქვეყნის კარიბჭე.

538

იმას ხომ მაინც იტყვიან ერთ დროს,  
სამშობლოსთვის, რომ წრფელად ვიომე,  
აწი არ ვიცი ვის დავედარო,  
ამ ბოლო დროს კი ვგავდი დიოგენს!“

539

ჭირს გააზრება რადგან ამ ამბის,  
უსიამოვნო ფიქრმა შემიპყრო,  
ბრძოლის ქარცეცხლში იონას წასვლის  
მიზეზს ადვილად ვგრძნობ ვერ შევიტყობ.

540

ის გამობდა ომს და ძალმომრეობას,  
იდგა ჰუმანურ რელსებზე მყარად,  
დღევანდელობის აწეწილ ყოფას  
არ მიიჩნევდა თითქოსდა არად.

541

იქნება იგი ერთფეროვნების  
გაუხეშებულ ბრჭყალებს გაექცა  
და თვისი სულის მყიფე ჩვევები  
ერთი ხელმოსმით მიღეწ-მოღეწა.

542

იქნება მასში პატრიოტიზმის  
დაგუბებულმა ტალღამ იფეთქა  
და დაიმუხტა ბრძოლის წადილით  
ქვეყნის მომავლის ნათელ იმედად.

543

მაგრამ რატომღაც სხვა ეჭვი მიღრენს,  
იქნებ ალაგზნო სულ სხვა რაიმემ,  
რომელიც ოდეს მაინც თავს იჩენს  
და როს შევხვდები მაშინ გავიგებ.



544

გატანჯულ აწმყოს მძაფრი სურათი,  
ამ უკაცრიელ ნაპირის ფონზე,  
უფრო და უფრო ჩანს მუხანათი,  
სატანა წეწავს მთვარის სამოსელს.

. . .

545

მოსწყინდა გულპილწი კისკისი  
მღულარე ჭაობებს,  
ღამურას ზარნაშოს შეძკრთალი  
სიყუჩე აოცებს.

546

დააჩნდა ცრემლები ნატყვიარ  
მოთეთრო აივნებს,  
უნიჭო სარდალი ზოგჯერ მსხვერპლს  
ამოდ გაიღებს.

547

ჩაიმსხვრა გოდოლის სარკმელი  
ხავსიან ჭერეხით,  
მიყუჩდა ქართული სიმაღლის  
სამზეო ქელები.

548

დაედო სიფითრე სტიქიით  
ჩახერგილ ტერასებს,  
ბალაგნის დაბლილულ სტაკრამდე  
გრიგალი ვერ აღწევს.

549

მოციქულს არ შვენის კამათი  
წამოზრდილ მძევალთან,  
პირფერა დიპლომატს ერისთვის  
როგორღა ევარგა!

550

ლიდერი მალიმალ იჩრდილავს  
შეტრუსულ წამწამებს,  
მთავრობის ზოგიერთ მოხელეს  
სინდისი აწამებს.

551

განვიცდი დაბნეულ შენდობის  
დაუმცხრალ ჟრუანტელს,  
შენიღბულ კასტათა ნაწილმა  
სიყალბეს უმატეს.

552

აუწვა ქეთუთო ქარბუქმა  
კერპების მშვენებას,  
ავღრების მოშავო ფერთაცვლამ  
ბილიკი შეღება.

553

ნავთობის კასრები იცლება  
უზნეო ზარხოშით,  
ფორმიანთ ნაკადი არ ცხრება  
სიწუწუკის ართმობით.

554

გადაჰკრავს მოლურჯო ელფერი  
ქაფიან ნაპირებს,  
პირღია ქარაფი ყულფების  
შეფობას აპირებს.

555

ცას სწვდება ტყვიების ზუზუნნი  
ჟანგიან ლულიდან,  
მასების უაზრო წუწუნი  
სამყაროს გულს ღრღნიდა.

556

მიყუჩდა ლოდის და რიყის ქვის  
ღვარცოფით სრიალი,  
ჩაესმა მეუფეს სიზმარში  
ბალაგნის ჭრიალი.

557

გამოშრა ნაადრი თავთავი  
სხივების ღალანით,  
ღვივდება მჭვარტლიან ბუნარში  
ნელთბილი ღადარი.

558

ღროზე თუ ეღირსა მკურნალი  
ლოგინად ჩავადნილს,  
იქნება გავიდეს შარაზე  
თვითმაკალ ყავარჯნით.

559

აშინებს სამყაროს დემონი  
კოსმიურ ღილაკით,  
ფრიალებს სუდარა ფრეონით  
მოგუდულ მირაჟის.

560

დავსტირი მომაკვდავ საგნების  
შუბლშეკრულ ზმანებას,  
გამურულ წრეებში თახსირი  
სიაშით ჩაება.

561

დაერთო ქარ-წვიმა ნაადრევ  
ვარდების დაკრეფას,  
ჯადოქრის დაბმული ღრაკონი  
ღრუბლებში აყეფდა.

562

მოწამლულ გარემოს დაეტყო  
ნიღბების ღაჟღაჟი,  
ქვესკნელის გაცრეცილ ფარდებთან  
გაჰკივის ალქაჯი.

563

აცრემლდა პატრონის შემყურე  
უბელო თვალები,  
გაშეშდა მარჯვენა ვერცხლნარევ  
ტლაპოში ნარევი.

564

საზღვრების გისოსი დასერეს  
ბალტიის ქვეყნებმა,  
სისხლიან სივრცეში შეტოპეს  
მომავლის მტრედებმა.

565

ხელებში შეადნა საყვირი  
ქეციან რენეგატს,  
ღუეტი შემზარავ სისინით  
გადმოსცეს გველებმა.

566

ფეხების ბაკუნით ბრიგინებს  
ბალაგნის ვერანდა;  
ქაოსში მისნური საუნჯე  
ვერაგინ დალანდა.

567

თვალები ძალუმად მინაბა  
ფერწასულ ალაღმა,  
თედოში დაჭრილმა მედროშემ  
მკლავი ძირს დახარა.

568

სტიქიამ მქუხარე ზვირთისკენ  
მიმართა ბოძალი,  
უფსკრულთან გაჯიქლა აქლემი,  
კანკალებს ხონთქარი.

569

გასცვივდა ჭალარა ფაფარი  
ნაომარ ბედაურს,

ტალღებმა წარსტაცა ნადავლი  
მთვლემარე მებაღურს.

570

უბირი კალია აცეკვდა  
გარიყულ ნაფოტზე,  
მეკობრე მოსილულ ნაპირზე  
ფეხებს ძლივს აბოტებს.

571

ვერ მისწვდა სანუკვარ სილუეტს  
თვალვალი კამკამა,  
ეჰ, ხშირად იმგვარად ვიყუჩე  
სიფხიზლემ დამღალა.

572

ვერ ვამხელ, თუ როგორ ვეწამე  
ნაგრძნობით ნაგვემი,  
ნისლებით დაწინწკლულ ზეწარზე  
ათქორდა ნალველი.

573

კვალდაკვალ დამყვება ამ სიმწრის  
ფარფაშა სიმძაფრე,  
განწყობა სულიერ დაცლილი  
სინდრომით ვიკაწრე.

574

ამგვარი სიობლის სინაზე  
ემა ჩანაფიქრს,  
არადა შინაგან სიანცეს  
არ უხსნის დანა პირს.

## კ ა რ ი მ ე ს ა მ ე

575

ერთ მშვენიერ დღეს ბზივარ ბუხართან,  
ნაღვლიან ფიქრთა ზღვაში ჩაფლული,  
მოსაღამოვდა, ავანთე ლამპა,  
მომესმა კარზე ნელი კაკუნი.

576

გადააჭარბა ყოველგვარ განცდას  
მონატრებული სტუმარის ხილვამ,  
იონა იყო, წამი განათდა,  
ცრემლი მოადგა ნაომარ ხიზანს.

577

მიკითხვ-მოკითხვის ცერემონიალს  
არ წაუღია დიდზე-დიდი დრო,  
კკითხე: „განკვეთე განზე ომია,  
თუ გული ისევ იქით მიგიხმობს?“

578

მითხრა ეგრევე: „შენ გთვლი რადგანაც  
გულშემატკივრად, ალალ მეგობრად,  
სრულად გაიმბობ თუ რა გადამხდა  
და აღსარებად ესეც მეყოფა.

579

ასე ხუთიოდ თვის წინა ალბათ,  
როცა ნაპირზე ვცხოვრობდი მშვიდად,  
თევზის კლიენტებს გაზეთი დარჩათ  
და გადავაგლე თვალი გულგრილად.

580

ერთმა სტატიათ მიიპყრო მყისვე  
ჩემი განწყობა მაშინ უცბისად,  
წერდნენ – ღურმიშხან სავარგელიძე  
ერკინებაო ღუმმანს უშიშრად.

581

მონახლისეთა პოლკის თავკაცმა  
გაარღვიაო მომხვედურის ალყა,  
არ უწერია ქართულ ჯილაგსა  
მტრის წინაშეო თავის ბრმად დახრა.

582

სამაგალითო გმირობას იჩენს  
იგი თავისი მცირე რაზმითო,  
მაძულისათვის გული თუ გიძვერთ  
უნდა დავუდგეთ მებრძოლთ გვერდითო.

583

საქმე ის არის, რომ მსგავს რამეებს  
ხშირად ვისმენდით მაშინ და ახლაც,  
არ ვიჯერებდი ამის მსგავს ამბებს,  
რადგან ვამჩნევდი სიყალბის დამდას.

584

ის წერილი კი გაფაციცებით,  
რომ ჩავიკითხე წუთში ბოლომდე,  
თითქოს შემერყა არსი ძირძველი  
და ლავა ნთქავდა ურწყავ ჭოროხებს.



585

ეს ღურმიშხანი ის იყო ვინაც,  
ცოლად შეირთო ჩემი ნარგიზა,  
ენით უთქმელმა შეგრძნებამ მოხლიშა  
და გულის ძარღვის სიმი ჩამიწყდა.

586

დიღხანს ვიყავი გაოგნებული,  
თავს ვერ ვუყრიდი უაზრო ფიქრებს,  
დავაბოტებდი ასე ვნებული,  
ქაოსის რისხვამ შემიპყრო ისევ.

587

მოლანდებათა შავი ლაშქარი  
დათარეშობდა გრძნობის გარშემო,  
ღამენათევი ცდომილთა კვარი  
არ ასხივებდა ნათელს საჩემოს.

588

კაცს დალაგებულს აუშლის რიხრახს  
მოულოდნელი ცდუნების თქეში,  
თვალი გარემოს ველარ აღიქვამს  
და არ მოუხმობს სნეული ექიმს.

589

დანაწევრდება წლობით ნაძერწი  
გაშიშვლებული თვითმყოფადობა,  
გადუნახიათ ჭინკებს თავკერძი,  
აგულიანებს დემონს გართობა.

590

სახელაჟღაჟა თვალთმაქცთა დასი  
ისეთნაირად ხატავდა სურათს,  
ღვთიური მრწამსის დაეცა ფასი,  
სისხლი მიღუღდა ბობოქარ ღურაკს.

591

როცა გონების კონტროლი იკლებს,  
უმსგავსოება კბილებს ილესავს,  
განხეთქილება მომხრეებს იკრებს,  
სულის განგაშის წივის სირენა.

592

და როგორც კაცი საკანში მყოფი  
ხშირად ბოლთას ცემს, გადი-გამოდის,  
ვძრწოდი ამგვარად, ვაფრქვიე ოფლი,  
საკუთარ თავის ლანდთან ვღავობდი.

593

განსხეულებამ ვერ გაიმარჯვა,  
ვერ დავიოკე ვნება ოხერი,  
თვალცრემლიანი სივრცის ტიხართან  
ჩამწკრივებულან ანგელოზები.

594

განსჯის უნარი დამიქვეითდა,  
თვალებს უჭირდა ფერთა გარჩევა,  
თავს ვიტეხდი, რომ მემცნო იჩქითად,  
რას მიმზადებდა ჟამი სასჯელად.

595

ეჰ, უდრტვინველი ცხოვრების ფონზე,  
როცა იფეთქებს სევდის მაშხალა,  
უმწიფარ თავთავს გრიგალი მოსწყვეტს,  
სატანა მოკვდავს გესლით დაშხამავს.

596

გულს ვერ ვუღებდი შეჩვეულ საქმეს,  
ანკესი მალე გვერდზე მივაგდე,  
ხილულ უკუნის მოღუშულ სახეს  
ვერ აშიშვლებდა მთვარის სინათლე.

597

ველარ ვუძლებდი მდინარის ხმაურს,  
ადარ შემეძლო ტალღების ცქერა,  
ურჩხული ხვრეპდა სიზმარში ზღვაურს  
და მიაფრენდა ფერია მერანს.

598

ამეკვიატა მხოლოდ ერთი რამ,  
ომში წასვლაზე განვეწყვე სრულად,  
გამეცნო იგი ამ ჩემდა ჭირად,  
ვისიც ქუბებდმა მაქცია კრულად.

599

ვერანაირად ველარ დავძლიე,  
მოვლინებული ფიქრი მტანჯველი,  
აღტკინებულმა შტაბში გავწიე  
და ერთ კვირაში მწყობრში ჩავდექი.

600

როცა მივედით ბრძოლის ადგილზე,  
მოხალისენი გამოგვეყვოს ცალკე,  
სავარგელიძის პოლკში ჩაგვრიცხეს,  
მწვანე ფარაჯა მოვირგე ტანზე.

601

ეს ყოველივე ძალზე მიმძიმდა,  
გავხდი პირქუში, გულჩათხრობილი,  
მიმაჩნდა, თითქოს კაცი სიფრიფა  
გველეშაპს ვიყავ გადაჭდობილი.

602

უშრეტი წყაროს ყოფილ მშვიდ ხიზანს  
მაცოდველებდა ჯარის რეჟიმი,  
თვალს ვარიდებდი უფროსებს ცივად,  
მიფითრდებოდა სახე შეშლილი.

603

საყოველთაო ზემდგომთ ნაბრძანებს  
ძლივს ვასრულებდი ზანტად, უსიტყვოდ,  
ცოდვილი ამდენს როცა ვქაქანებ –  
რას არ დაიტევს სივრცე უძირო.

604

ნუ დაიჩემებს ნურვინ ამ ქვეყნად,  
რომ ის თავის თავს სრულად განაგებს,  
წარმოსახვათა ციმ-ციმ ჩაკვნეტა  
გონის უჯრედებს უცვლის სანახებს.

605

ყოვლისმომცველი უზესთაესი  
განაპირობებს მიმართულებას,  
შესუდრულია შავად ნავესი  
და განზრახულის ჭირს შესრულება.

606

ეშმა კი ამ დროს თავის ქაქანით  
ამოქმედებს სულპილწ ნაბიჯებს,  
გუშინ განკიცხულს კაცი ავთვალი  
ხვალ შეაქებს და გვერდით დაიჯენს.

607

სადაც არ უნდა მოხვდეს მოკვდავი,  
ალბათ იქაურ სამოსს მოირგებს,  
ვერ ვითვისებდი ბრიყვი ბეჩავი  
თვალთმაქცობას და მაცდურ ოინებს.

608

ეს ის დრო იყო, როცა ჯალაბნი  
ტოვებდნენ ცეცხლში გახვეულ სოხუმს,  
პოლკის მებრძოლნი ვიყავთ მამაცნი  
და შეუპოვრად ვხვდებოდით მომხვდურთ.

609

საშინელება სუფევდა რადგან  
ამ გააფთრებულ ორივე მხარეს,  
დააბოტებდა სიკვდილის მახრა,  
ცხელოდა, სუნი დაჰკრავდა გვამებს.

610

რადგანაც დროზე მათი დამარხვა  
არ ხერხდებოდა ხშირად ადვილად,  
ღმობიერების შემკრთალი განცდა  
მუხანათობის ძალით გაწბილდა.

611

ზოგს სამშვიდობოს რომ გაეტანათ,  
მიცვალებული ახლობლის გვაში,  
ზურგით მიჰქონდათ ვაი-ვაგლახად,  
პატიოსნად რომ მიეგოთ ვალი.

612

ტოვებდა ხალხი ავლადიდებას,  
ყველაფერს სძლევადა სიკვდილის შიში,  
იყო რბევა და იყო წამება,  
რომ დაეთრგუნათ ქართული ჯიში.

613

იყო შემთხვევა, როცა მშობელმა  
ორი ვაჟი რომ მოკლული ჰპოვა,  
სასოწარკვეთამ ისე მოცელა  
ყუმბარით ხელში შეაკვდა ხროვას.

614

თავსაფრიანთა გლოვა, გოდება  
ღამის ხეთქავდა ყურის ბარაბანს;  
სისხისმწოველთა ბრბოს აზვირთება  
კვლავ ამჯობინებს ქრისტეს ბარაბას.

615

ფესვგადგმულია ძალა რომელიც  
კაცობრიობას აჩაჩანაკებს;  
მარადიორთა მზაკვრული ხელი  
არ ინდობდა თვით ლტოლვილთ ბანაკებს.

616

დაცლილ ქალაქში მაშინ ეგრევე  
ამ ჩვენი პოლკის ცუხი ბიჭები,  
მდიდრულად მორთულ სახლებს ეძგერენ  
და არ დატოვეს შიგ სერვიზებიც.

617

ბინების ძარცვა გადიქცა რადგან  
თითქოს საბრძოლო დანიშნულებად,  
სინდისის ძარღვის უჯრედი ჩაკვდა,  
ველარ უძლებდა ბევრი ცდუნებას.

618

ანარქია რომ სუფევდა ჯარში,  
ეს ყოველივე მიტო ხდებოდა,  
არ იყო მყარი მთავარი შტაბი,  
ყველა თავისას ერეკებოდა.

619

ბევრი ხარობდა ძვირფას ნადავლით,  
გუნდრუკს უკმევდა დამღრძალ სატანას,  
ძალზე დავვოსდი, ძლიერ გაეშმაგდი,  
შემცბარს მიჭირდა ამის ატანა.

620

და გამოპარვაც კი ვცადე თანაც,  
მაგრამ მალევე გადავიფიქრე,  
ეს უმსგავსობა სანამ გასტანდა,  
მოელებოდა ბოლო სიმდიდრეს.

621

ღურმიშხანს თავი ისე ეჭირა,  
ვით აბრაამის უმწიკვლო ბატკანს,  
წვრილმან რამეში ხელს არ ისვრიდა,  
თავის ჯამათს ანდობდა ჩახმანს.

622

რომ არ ვიყავი ცუდის ამყოლი,  
როცა შეიტყო სავარგელიძემ,  
მითხრა – ყმაწვილო შტაბში გადმოდი,  
შენს უკეთესო აქ ვის შევიძენთ.

623

გამონაკლისი არა ვყოფილვარ,  
ბევრი არ ცდილა რამეს მოხვეჭას,  
მაგრამ თითქოსდა არჩევანი მხვდა,  
აღბათ განგებამ თბილად მომხედა.

624

ჩემმა უფროსმა აბა რა იცის,  
რომ მისი ცოლი მიყვარდა ერთ ღროს,  
არ შევხვედრივართ ჩვენ არსად მიწყევ,  
მას ჩემი მტრობა გულში არ ელო.



625

მე კი შინაგან ბოლმის წყალობით,  
მასზე კარგზე მეტს ცუდსა ვფიქრობდი,  
ჩემს არსებაში დუღდა საგმობი  
შურისძიების ბილწი სინდრომი.

626

მართალია, რომ მას ჩემს წინაშე  
არ მიუძღოდა დანაშაული,  
მაგრამ რადგანაც მე დავიჩაგრე,  
მწამდა დიდება ღვთის საზღაურის.

627

ხელდახელ მწადდა იმასთან შებმა  
და არა ისე მუხანათურად,  
შევაკვდებოდი ალაღად, ცეტად,  
ან მიუჩინდი მუდმივ სასთუმალს.

628

ამ უსუსური განზრახვის განცდა,  
ტანჯვას საშინლად მიორკეცებდა,  
საღერღელს უშლის უბირ კაცს რადგან  
წარმოსახვათა მცდარი შეგრძნება.

629

ძარცვის მაზანდამ იკლო, განელდა,  
რადგან შემცირდა დასატაცები,  
ალბათ სხვა ომშიც ზედმეტ-ნაკლებად  
ჩატარდებოდა მსგავსი აქტები.

630

რადგან ცხოველურ ახორხოცების  
შინაგან მრწამსს ვერ შეცვლის ფერები,  
თუ ძალისხმევა ღვთიური მცნების  
არ დაინერგა მმართველ წრეებში.

631

შემდეგ დაიწყო ფრონტზე მყოფ ძალთა  
ერთად თავმოყრა, მობილიზება,  
დიდ შეტაკების ჟამი რომ დადგა,  
აღარ უნდოდა ბევრი მტკიცება.

632

თავაზიანი ქცევისა გამო  
მოვშინაურდი უფროსთა თვალში,  
სავარგელიძე ნიადაგ მწყალობს,  
ვცდილობ, როგორმე არ დავრჩე ვალში.

633

სულაც არ ჩანდა იგი ისეთი,  
როგორიც ადრე წარმომედგინა,  
მასში სჭარბობდა სხივი სიკეთის  
თანამდებობრივ შეუვალ წყვდიადს.

634

ღროებით ჩაცხრა განწყობა შლეგი,  
ერთი ტყვიაც კი არ გავარდნილა,  
ისე ჩანდა რომ მხარე არც ერთი,  
აღარ დათმობდა სოხუმს ადვილად.

635

რადგანაც ჩვენი მოპირდაპირე  
არანაკლებად ემზადებოდა,  
მოკამკამე ზღვის წყნარი ნაპირი  
სისხლის ღვარების ტალღებს ელოდა.

636

ყოფა გადიქცა კუნაპეტ ჟამად,  
ყველა აქ მყოფი ზედმეტ-ნაკლებად,  
გრძნობდა სიცოცხლის სიკვდილთან თამაშს,  
ან გამარჯვება, ანდა დაცემა.

637

რადგანაც ქვეყნის თავკერძ მსახურებს  
ძარცვა-გლეჯისკენ ეჭირათ თვალი,  
მრავალის აზრით – არ იმსახურებს  
მხარდაჭერასო ასეთი ჯარი.

638

მაგრამ მე მათ ვერ დავეთანხმები,  
რადგან საქმე რომ საქმეზე მივა,  
კაცი რომ ხდება ტყვიის თანხვედრი,  
მას ხომ მამულზე გული შესტკივა.

639

და არც ერთს ვინაც ფრონტზე დაეცა,  
ამ ქვეყნის ვალი არ გაჰყოლია,  
სული ამოდის და ერთვის ზეცას,  
მიწას კი რჩება თავის დოლია.

640

ეჰ, ვინაც თავის თავზე მიიღებს  
ცეცხლის წვიმების საშინელ გრგვინვას,  
თუ რა ყოფილა მაშინ გაიგებს –  
უფლისმიერი გამოცდის დილა.

641

ვინც გადარჩება შეიცვლის ზნეს და  
ძალდომირობას შეამატრახებს,  
სასწაულების რწმენასთან შერწყმა  
შეამსუბუქებს ცოდვის განაჩენს.

642

ბევრი ლოდინი ქანცვამცლელია,  
ბოლოს და ბოლოს დადგა ის ჟამი,  
სამსალა მიწყვი ჩასაცლელია,  
მოვიწესრიგოთ ყველამო თავი.

643

განუსაზღვრელი დუხით აღვივსეთ,  
უნდა გავწმინდოთ მტრისგან ქალაქი,  
დავინაწილეთ, დავახარისხეთ  
სადღელამისო ტყვიის მარაგი.

644

გათენდა, ატყდა ბათქა-ბუთქუნი,  
მტერი დააფრთხო ჩვენმა შეტევამ,  
ისმის გმინვა და ისმის გრუხუნი,  
ღრუბლებს ფანტავდა ღენთის შეგრძნება.

645

მორაკრაკებდა ბინული სისხლის,  
რომლითაც ეშმა სასმისს ავსებდა,  
კვალდაკვალ სდევდა ლანდი სიკვდილის,  
შიშით დათრგუნულ გვერდზე გამხედავს.

646

დაუნდობელი ბრძოლის სამზერი  
რადგან ჩვენს მხარეს გადმოიხარა,  
დაფეთებული გარბოდა მტერი,  
არც კი მოჩანდა ბულში გზა-შარა.

647

სიტყვა გაისმა ისეთი მწველი,  
რამაც შეწყვიტა წინსვლა უცბისად,  
გვამცნესო, აფხაზთ ჯარის მაშველი  
მოგვადგებაო მალე ზურგიდან.

648

საჭირო არის დახევა უკან,  
უნდა დავთმოთო ეხლა ქალაქი,  
მერე როს ძალებს მოვიკრებთ სრულად,  
სისხლისმსმელებსო ბუნდლას გავაცლით.

649

სავარგელიძემ თქვა ცივი უარი,  
გაქცევას სჯობსო აქვე შევაკვდეთ,  
არ დაუჭირა არავინ მხარი –  
ერთი ღლით არა წყდებაო საქმე.

650

ცოტა შეეჩერდით, მალევე მართლაც  
გამოჩნდა დიდი დამხმარე ჯარი,  
ძლივს გავარღვიეთ მტარვალთა ალყა  
და ქართულ სოფლებს ვაფარეთ თავი.

651

მიმოიქსაქსა ლაშქარი ჩვენი,  
უზნეობანიც მალე განახლდა,  
უთავკაცობის ვიწვნიეთ წვენი,  
თანდათან ჩაცხრა ბრძოლის მაზანდა.

652

გვიანდებოდა ერთ მუშტად შეკვრა,  
მებრძოლიც აღარ გვემატებოდა,  
ზღვისპირეთს შავი ძაძები ეცვა  
და დაგვიჩხაოდნენ ყვავნი ზემოდან.

653

ასეთ ომის დროს რაც იკარგება,  
კვლავ დაბრუნება ძალზე ძნელია,  
ანგელოზს თვალზე ცრემლი აღგება,  
მარცხის მეუფე ბელზებელია.

654

ჩვენი მომხვედურნი ძალებს იკრებდნენ,  
არ სჯერდებოდნენ მიღწეულს რადგან,  
კვლავ შეტევებზე გადმოდიოდნენ  
და ოსტატურად გვიგებდნენ საფანჯს.

655

ჰოდა არ უნდა ბევრი ქაქანი,  
მარჯვე რუსული ჯარის წყალობით,  
გააქტიურდნენ ძლიერ აფხაზნი,  
ქართულ სისხლს სვამდა თეთრი ციკლოპი.

656

მუხანათ ღუშმანთ ყველაზე მეტად  
ჩენი ნაწილი თავზარსა სცემდა,  
უფროსი გვერდით არ მიშორებდა,  
რადგან მივაჩნდი მარჯვენა ხელად.

657

გააფთრებული ვიბრძოდით ერთ დღეს,  
მედგრად ვიცავდით სოფელ ცაგერას,  
სავარგელიძე ტაქტს ფლობდა შემტევს,  
ის წარმატებებს ხშირად აღწევდა.

658

შუა ბრძოლაში რატომღაც მტერმა,  
ცეცხლი შეწყვიტა, უკან გასწიეს,  
ღურმიშხანმა თქვა – დავსჭექოთ ერთხმად,  
მოუხდებოა წინსვლა სარბიელს.

659

მართლაც მივდიეთ და მტერი როცა  
თავს აფარებდა ფიჭვნარს და ნაძვნარს,  
უცებ ნაღმებმა იფეთქეს ოხრად  
და გულწასული დავეგდე დაბლა.

660

გონს რომ მოვედი ლაზარეთს ვიყავ,  
ირგვლივ დაჭრილთა ისმოდა კვნესა,  
მუხლს ქვევით ფეხი მეკიდა ძლივსდა,  
სულ დაეჩენჩხა ასკოლკთა წყებას.

661

დილაზე ერთმა დაჭრილმა მითხრა –  
გადაგვარჩინა ძმაო ღმერთმაო,  
სავარგელიძე ჩემს გვერდით იწვა,  
გულმკერდში დაჭრილს დღე წაერთვაო.

662

გული ანაზდად შემიღონდა და  
რომ გამოვკეთდი წამილო ფიქრმა,  
მისი სიკვდილი მეწყინა ნაღდად,  
გრძნობები გლეჯდა სულიერ შირმას.

663

ასეა, კაცი ხარ და ჩაქრები,  
დანაკარგით ხომ რაღაც გვაკლდება,  
მზეზე თბებოდნენ ქერუბიმები  
და აპირებდნენ ღრუბლის დაწნესას.

664

არ შემიძლია აღვწერო ზუსტად  
იმ პერიოდში განცდილი ურვა,  
ეს ჩემეული სულეთის კრუნჩხვა  
დაემორჩილა ზნეობრივ წურვას.



665

და ნარგიზა რომ მახსენდებოდა,  
თავს წამოყოფდა სინდისის ქენჯნა,  
ვბორგავდი მწარედ, კოშმარი მფლობდა,  
რადგანაც თავქვემ ეშმაკი მეჯდა.

666

ამქვეყნიური მცდარ ნაბიჯების  
გარღუვალობა ვისიგრძეგანე,  
სისხლდათხეული ღონეს ვიკრებდი,  
რომ განმერჩია ბნელში სინათლე.

667

წამოტივტივდა წმინდა ღინებად  
ღვთის შემეცნების მართებულობა,  
სასწაულების წარმოჩინებას  
თან სდევს შფოთი და არეულობა.

668

აკვიატებულ აზრის ნაყოფი  
გაბერილია ხშირად ვით ტიკი,  
ღროის წკვარამში ფეხის ჩაყოფით  
მოუთმენლობის საზღაურს ვიმკით.

669

აურა ტატნობს კულულებს ვარცხნის,  
მუხლს ქვევით მერქნის ფეხი მომარგეს,  
ეჰ, რაც არ უნდა ერიდოს კაცი,  
მოსახდენს ღმერთი მაინც მოახდენს.

670

გადარცულია ვნების სალარო,  
გაუფერულდა ხიბლი ცთომილთა,  
თავი შეგნებით უნდა დაეხარო,  
რადგან წარსულში ქექვა მომინდა.

671

ისე ოხრავენ ქარში ვერხვები,  
ააშკარავენს გული ხვაშიადს,  
ფრთებმოღალანე დილის მერცხლები  
შორით უვლიან სივრცის აშრიალს.

672

ბოლო დროს მესმის, რომ ბრძოლის ველი  
სულ მთლად დატოვეს ჩვენმა ჯარებმა,  
ვერვინ შეიძლო ერთობის მჩენი  
მობილიზება და გამაგრება.

673

ამ ჩვენ მცირე ერს ალბათ ყოველთვის  
ლუპავს ქიშპი და ერთურთ ღალატი,  
პირველობისთვის ბრძოლის მომენტი  
ბევრ სასიცოცხლო ძარღვებს გადაჭრის.

674

როდესაც ვხედავთ მტარვალს და ღვთის მემობს,  
რომ განვერიდოთ მას – კი არ ვცდილობთ,  
არამედ საკვებს მივაწვდით მიტო –  
ჩაყლაპვის შიში რომ ავიცილოთ.

675

ვინაც განასკვა ყოფის სიმები,  
იმიტომ ცდილობს იგი მოხვეჭას,  
რადგან არა აქვს ზვალის იმედი,  
არ იცის, როდის თუ რა მოხდება.

676

ამოდ ისჯება დაბალი ფენა,  
დახარბებია მასა ლუკმა-პურს,  
უშინაარსო მომავლის ცქერა  
შთამომავლობას გახდის უმაღურს.

677

ამიტომ დიდხანს გადაიდება  
ფასდაუდებელ ტილოთა შექმნა,  
გამორჩეული სახეცვლილება  
გენიოსების სარდაფებს შერჩათ.

678

ორი კვირაა რაც ხეიბარი  
კვლავ შევეხიზნე მდინარის ნაპირს,  
მივაწყვე-მოვაწყვე ჩემი ქონ-კარი,  
შევიმსუბუქე თითქოსდა დარდი.

679

ნაცნობ თოლიამ მიქო სახლობა,  
მას თავი ისევ მკვირცხლად უჭირავს,  
ერთ დროს ვის ლუკმად მსურდა გახდომა,  
მას შევექცევი დღესაც გულმშვიდად.

680

რაც სრულფასოვნად რატომღაც ვერ ვთქვი,  
ეს თვისობრივად არ საგმობია,  
მიმოვაბნიე კალოზე ფეტვი,  
აბიბინდება მწვანე მოლია

681

შორით მდგომარე ასწლიან მუხებს  
ფესვებს უმაგრებს გახრწნილი ლეში;  
ყარბს გამვლელი მოსავალს უქებს,  
ბალახს მოთიბავს მხცოვანი მწყემსი.

682

სხვადასხვაობა დროის ფაქტორით  
და განზავებით შემოიფარგლა,  
კაცობრიობა შრომის განვრცობით  
მიწიდან იღებს დღიურ სალაფავს.

683

საყოველთაო რწმენა ის არის,  
რომ ზეცა გვქონდეს კვლავ საფიცარი,  
ძნელად იქცევა ცხადად სიზმარი,  
იმარადისებს კუბოს ფიცარი.

684

უკვე აღვილად შევეგუები  
არსებობისთვის უმწეო ბრძოლას,  
აღარ მაშფოთებს ავი ფიქრები,  
არარად ვაგდებ ეშმას ზეწოლას.

685

იმედია, რომ კვლავ ძველებურად  
სანაპიროზე ხშირად შევხვდებით,

ნამუსის ქუდი მყარად მახურავს  
და მიწინამძღვრებს მადლი შემთხვევის.“

686

იმ დღეს იონა შემორჩა ჩემთან,  
ვიპურმარილეთ, ბევრი ვილაყბეთ,  
როცა სიკეთეს ვადიდებთ ერთხმად,  
მოკვდავი მრწამსის ფესვებს იმაგრებს.

687

კაცი როდესაც სულს გადაგიშლის  
და ჩაგიკაკლავს მომხდარს გულწრფელად,  
ხან სასიამოდ, ხანაც კი სიმწრით  
განაზოგადებს ნების უფლებას.

688

დრო მიდიოდა, ვერკინებოდი  
ქარტეხილების ცვალებადობას,  
მრავლისმეტყველი ზეცის ტატნობი  
უფალმა მადლით დაამწყალობა.

689

გადაუფრინა ნიმფების გუნდმა  
გესლით აღსავსე ზვიად კომპურებს,  
მოჭირნახულე არსების სუნთქვა  
ვერ ეგუება ფლიდს და მოშურნეს.

690

წაიფორხილა ვარსკვლავთ მარულამ,  
ციურ ოფსილამ იხვნეშა ამ დროს;  
როცა არ ვიცით, ვაკეთოდ თუ რა,  
ლაციცი ციმ-ციმ აბრმავებს აწმყოს.

## კ ა რ ი მ ე ო თ ხ ე

691

ოსტატს შეგირდი თილისმას ჰპარავს,  
ისეთ თილისმას რაც არ ჩანს თვალით,  
უნგარო რომ რამეს დაჰკარგავს,  
არ შფოთავს, მზერას მიაპყრობს არილს.

692

ვნება როცა სიმახინჯეს ბაღებს,  
ალბათ სული უძღურია მაშინ,  
დააცეცებს ირგვლივ კაცი თვალებს,  
სურს წააწყდეს დიდ საქნიან კავშირს.

693

ვინ ისმენს ქვეყნის ურვას, გოდებას,  
ვისა აქვს განხნილ იარის ღარდი,  
სამარადისოდ იგი ცხონდება,  
კურთხეულია ვინც ღვთიურ მადლით.

694

ვინც ხმას არ უწყობს მტარვალთა ღირას,  
არ შეუშინდა ჯალათის რისხვას,  
ვინც სასიკეთოდ თავი გასწირა,  
ვისიც სიკვდილი სიცოცხლედ იშვა.

695

ვინაც უღელი ისე ატარა,  
არ გადააწვა მხრებზე უპოვართ,  
ვინაც რომ ჯილაგს ოქრო კი არა  
მძლავრი მამული მწედ დაუტოვა.

696

დრო შეფასების ჭანჭიკს რომ მოშლის,  
დაგვიანდება მოხმობა უფლის,  
ღევანდულობის ქიშპი და შფოთი  
წარმავალობას პარაკლისს უხდის.

697

ცულის ზმანება ავის მაცნეა,  
როგორ ბლაოდა წუხელ პილატე,  
ზოგჯერ სიმკაცრის იმიტაცია  
უხერხულობის ზღვართან მიმაგლებს.

698

შეკავშირება დამძიმებული  
გულზვიდობის ტყვედ თუ ითვლება,  
თუ შინაგანად ვარ სარკაზმული  
ამაოდ შემძრა მიტო ფიქრებმა.

699

თუ მოვიშორე დროზე საცდური,  
მერე დავლანდავ სულთა გასაღებს;  
ოფლში ნაწრთობი თეთრი აგური  
ფასადს უმშვენებს მზიურ სასახლეს.

700

თუ ვესადაგე ღირსეულ სიკვდილს,  
ცაბაოთ უფლის ფერხულს აყვებები;  
მოკვდავი კრძალვით საყდარში მიდის,  
აკურთხებიინოს უნდა აკვნები.

701

როგორ მაღლიდან მოსჩქეფს ჩანჩქერი  
და ისვრის შხეფებს დაუსაბამოდ,  
იმის ქვეშ წამი ვერც კი გავძელი,  
დაცემის ძალამ განზე გამაგლო.

702

შორიდან მაინც ვეთამაშები,  
გულის ჭიას ხომ ასეც ვახარებ,  
ციო დანაკურთხი ციცქნა წვეთები  
ჯერ არსაცნაურ სახეს სახავენ.

703

იდუმალეობამ ამაცახცახა,  
ჩამოიღვენთა ჭუჭყის ლაქები,  
თუ არხილულის ხილვა გაცხადდა,  
მტვერით შობილი ფერფლად ჩავქრები.

704

წელათრეული კვლავ ქაოსიდან  
ვუჭვრებ სულების განზომილებას,  
ცას მეწამული ფერი მოსცილდა,  
მზე დაღლილ ტალღებს ეხმატებილება.

705

დაისმა ზარი ააწკარუნა,  
ფიქრდაშრეტილი ავიბარგები,  
სივრცეში უკვე გადახარშულან  
დალდადებული ბაირალები.



706

მეუცნაურა ხარის ზმუილი,  
რაღაც მოხდება ალბათ ამაღამ,  
დაბნელდა, ელვას მოჰყვა ქუხილი,  
მეხი ეზოში ზათქით დავარდა.

707

გავხედე, სავსე ნალია იწვის,  
წლის მოსავალი გამინახევრდა,  
ნიკორას თვალში ჩაესო ზიწვი,  
არ გამოდგება იგი სახედნად.

708

მწუნარებისგან გავშრი, გავქვავდი,  
გალიგვებული ბუნარს შევეყურებ,  
ეჰ, სილატაკეკ – გდიო სადამდი,  
რა ჩავასესხო გულღრძო მეპურეს!

709

უნუგეშობამ დახრა ნერვები,  
არ ვიცი ვის რა პასუხი გავცე,  
ფეხქვეშ ვერავის ვერ გავეგები,  
თუგინდ ლაჟვარდი დამემხოს თავზე.

. . .

710

საკუთრება საყრდენია კაცის,  
ეხ, რამდენი ოფლი დანთხეულა,  
გაჭირვება აღმძვრელია მადის,  
გაიელვა ეშმას ორეულმა.

711

გაიელვა და დატოვა გულში  
საცდურეთის უსაშველო რისხვა,  
ხეში მატლებს მოძრაობა უჭირთ,  
ძლივსლა ღრღნიან საარსებო მისხალს.

712

ჩვეულების მიმობლილულ არეს  
უამრავი სული ეკედლება,  
ბინდი კურნავს ზოგჯერ შეშლილ თვალებს,  
ზოგჯერ შიშიც შეუმჩნევლად ქრება.

713

რადგან ხორცის საყრდენია მიწა,  
რადგან სული ეშურება ცისკენ,  
უნდა შევძლო იმ სამანთან მისვლა,  
სადაც ელვა განსასჯელად მიწვევს.

714

თუკი მსჯელობა იქითკენ მიდის,  
სადაც სიმართლის ძაფი იბმება,  
მაშინ სასწორი იშლება ფლიდის,  
მიმოეხდება ფარდა კირთებას.

715

კავშირის სიმი ჩაწყდა ადვილად,  
კამათი ასცდა თავის კალაპოტს,  
ცთომილნი ცაზე სრულად წაშლილან,  
ღრუბელმა ცივრცე თავქვე გააპო.

716

რადგან ამ უკუნ ღამეში კაცი  
კვლავ ისევ სანთლით საძებარია,  
უნდა გამოჩნდეს იესოს ლანდი,  
მაშხალა უნდა მისწვდეს დარიალს.

717

დამკვიდრებულმა სახეცვლილებამ  
დაამახინჯა გულის ფიცარი;  
ყამირი მიწის აღორძინებას  
საშვილიშვილო შუქს ჰფენს ცისკარი.

718

ცნობიერება ცდილობს ბოლომდე  
დააბლანსოს ნამოქმედარი;  
დაუფარიათ ველი ჭოროხებს,  
წაქცეულია ძველი კედარი.

719

გააჩანაგა ყოფის საუფლო  
აღვირახსნილთა აცანცარებამ,  
ციური ხმები უნდა გვეუწყოს,  
რომ მოღალატის შევძლოთ მხილება.

720

თორემ რად მინდა, იმ სამოთხეში  
იმ უკვდავების ადაპტირება,  
თუ ამქვეყნიურ სიმწუხარეში  
ვერ მივანიშნე გზები დილეტანტს.

. . .

721

შხეფები ზერელედ ეპკურა  
მოწყენილ გვირილებს,  
ნანატრი ელემი არა ჩანს,  
გულს წვიმით ვიგრილებ.

722

ბუჟბუჟებს მისნური მალამო  
პირსისველ იარის,  
აქროლდა ქართული გარემოს  
თანხვედრი ნიავი.

723

ოსტატმა ხელები ჩასჭიდა  
ჟანგიან კენეტარას,  
შეჯავშნულ ხლართების გაწყვეტას  
ამაოდ ეცადა.

724

წყალობის ნილაბი მოირგო  
ფრთამრუდე სიხარბემ,  
მღევრებმა უბარგო კარეტა  
ჭენჭეხში მიაგდეს.

725

მავანი თითქოსდა აშენებს  
მარადმდგრად კოშკურას,  
ხელობის უბრალო ნიმუშის  
ქების დრო მოსულა.

726

აწყვეტილ ამირანს სიზმარში  
ცრემლიანს ვხედავდი,  
მოცურდა მოსი პულ ქარაფზე  
დაჭრილი კენტავრი.

727

ბულრაობს მაძლარი მარტორქა  
გაჩეხილ იფნარში,  
ქარბუქი ვნიასებს, ცახცახებს  
ტოტწკაპი ჩინარი.

728

მომძიმო უღელში აბლავლდა  
ცალთვალა ცანკვილი,  
შოლტების ტკაცუნმა დაღალა  
სულპილწი აჩრდილი.

729

გაუსხლტდა ყმაწვილკაცს ნამგალი  
მოღლილი ხელიდან,  
თაფლისგან ნაწყენი ძუ დათვი  
ბეჩოში შევიდა.

730

მოისძის წინაპართ ღალადი  
ერთობის ვედრებად,  
სინარბით პირადი კინკლავი  
მუხთლობას ედრება.

731

მოძმეზე შემართულ მარჯვენამ  
როგორღა ივარგოს,  
აეწვა გულღვიძლი გაკოჭილ,  
ლაფდასხმულ მიზანთროპს.

732

არ ცხრება ჯაჭვების მორეველი  
მიზრწნილი ქოფაკი,  
მიმქრალა ნაკურთხი სანთელი,  
ფეხს იღვამს მყოფადი,

733

ვაებამ არმია წარმართა  
მთავართა სათელად,  
ბრძოლის ველს გაქცეულ სარდალმა  
გულნაკლულ გახედა.

734

აკუწა ყარიბმა მოსისხლე  
მისივე დანითა,  
ლაზერის წამიერ ნათებამ  
ჯავშანი დაფლითა.

735

გეენამ გვამები დაფერფლა  
ბალაგნის ნანგრევში,  
ევროპის გაღებულ სარკმელთან  
მაშვრალნი გავჩერდით.

736

ღვარცოფმა ჭაობში მიძალა  
მარწუხი ჯალათის,  
მოირგო ტანსრულმა ვაჭარმა  
სპარსული ხალათი.

737

განგების ღვთიური ტრიალი  
საწაულს ინდომებს,  
ბორკილის ნამსხვრევი ესობა  
ჭეშმარიტ სტრიქონებს.

738

ღივდება ნანატრი იდეა  
ქართველთა დარაზმვით,  
არც ისე შორიდან ვივრძენი  
სურნელი ზამბახის.

739

ირღვევა ფიქალი, შენდება  
ტადარი ფილაქვით,  
ცით მოსულ იესოს პასექი  
გუმბათზე მივართვით.

740

იფრქვევა კამკამა სხივები  
შევერცხლილ ცისკრიდან,  
მამული საუკვარ მიზნების  
სამანთან მივიდა.

741

ჩაბჟირდა ხავხავა ღრუბელი,  
აეწვა ქუთუთო,  
სადღაა ღაღადი სულგრძელი,  
უმწიკვლო, უმუხთლო.

742

დასჭექა ნაპირმა იხვების  
ავეია ხორხოცი,  
ამ ბულში, კაცი ვით მიხვდება  
ვინ როგორ მოცოხნის.

743

ღუმილი როდესაც განივთდა  
ვერ ზეობს განწყობა,  
ცრემლები გამოკრთა ხატიდან  
ღვთის მრწამსის საცნობად.

744

როს ვერ ვწყვეტ აქოჩრილ ბაღნარში  
ვარდების სინაზეს,  
ჩაშმორილ სამსალის ნახარში  
იფუკლებს დილაძდე.

745

ადგილზე დანდგარი არ კმარა,  
ხვაშიადს ვემღური,  
რადგანაც დულს სისხლი ანკარა  
იხუკლებს მხედრული.



746

იმგვარად დამფრთხალი დავხოხავ  
ტრამალის ნაპირზე,  
უწრთობი განწყობის საოხრავს  
ტატნობზე ვაფიცხებ.

. . .

747

სანაპიროსკენ გავწიე ერთ ღლეს,  
გულმხიარულად დამხვდა ხიზანი,  
ახარისხებდა ეული თევზებს,  
შევეუპიწკინეთ ციმორებს კანი.

748

იონამ მითხრა: „სიონში გახლდი,  
მეფეთკურთხევის ზეიმზე ვიყავ,  
ბაქარს გვირგვინი დაადგეს რაკი —  
ხალხი ალაგზნო ხელმწიფის ფიცმა.

749

თქვა — რადგან ერმა ამირჩიაო,  
ქვეყნისთვის თავს არ დავიშურებო,  
ჩვენი ერთობა განმტკიცდებო,  
სოხუმს და ცხინვალს დავიბრუნებთო...

750

ეჰ, ამას ალბათ საქმე გვიჩვენებს,  
მხოლოდ ერთი რამ მგონი ცხადია,  
რომ იმპერიამ დათმო სიმხნევე,  
ზოგს დელგმა ზარავს, ზოგს კი ღარია.

751

მგონი დამთავრდა მარიონეტთა  
ტახტის გარშემო აყალ-მაყალი,  
იქნებ დაჩქარდეს უფლის შეწევნა  
და გავიკვლიოთ წინსვლის გზა-კვალი.

752

ვარდ-ყვავილების მძაფრი სურნელი  
როს შეატოკებს ხრიოკ ნაპირებს,  
იბრწყინებს, ენით გამოუთქმელი  
ჟამი უებრო და სასაკვირვე.

753

ცოტაოდ ხნის წინ ტერორისტებმა  
როცა უმოკლეს ბევრს ყოფა სრულად,  
ვიფიქრე, ნეტა ღვთიური ნება  
როდის განკვეთსთქო ზემდგომთა ბურანს;

754

რომ ამ გატანჯულ მიწის გარემომ  
თავისუფლების შეიგრძნოს ფასი,  
ყველამ თავისი საქმე აკეთოს,  
ივსოს ბადაგით მშვიდობის თასი.

755

ეჰ, მაგრამ ხშირად ამგვარი ნატვრა  
უტოპიური რჩება ბოლომდე,  
მშფოთვარ მასების მოთხოვნა რადგან  
აღიზიანებთ მდიდარ ბოროტებს.

756

ნეტა ბაქარმა მალე ბოლომდე  
თავი გაართვას საქმეს კაცურად,  
იქნებ აღკვეთოს ქიშპი როგორმე,  
ვიყოთ უშიშრად და სტაბილურად.

757

იქნებ საგრძნობლად გავილამაზოთ  
ბინძური ყოფის შემოგარენი,  
როს იმართება ტაძრის ხარაჩო –  
ფესვგადგმულია სულის საყრდენი.

758

თუ ნაზამთრალი ბუღბუღლის ჰანგი  
საჩვენოშიაც ახმიანდება,  
არწივი ყორანს ნაქურდალს წაჰკვრის,  
დაგვაფრთიანებს უფლის ხატება.“

759

ვუსმენდი და თან თამამად ვიტყვი,  
ოპტიმისტურად განეწყო კაცი,  
რომლის ცხოვრების უმწეო რიტმი  
გათასმულია ნაპირზე ბაწრით.

760

მისი თვალების მკვეთრი ციალი  
ისახებოდა იმედის სხივად,  
თითქოს წამალი ჰპოვა იარის  
და ეზიარა ღვთაებრივ დილას.

761

მის არსში მკრთალად გამოსჭვიოდა  
რაღაც იდეის ჩანასახები,  
ის წუთისოფლის ხრიკს უჩიოდა,  
სურდა სიმშვიდე გასახარები.

762

უშფოთველობა თითქოს არ აკლდა,  
განდევილივით ცხოვრობდა მისთვის,  
ცდილობდა თვისი ვიწრო შარავზა —  
გაეპწკიალა მომავლის წინსვლით.

763

რადგან პირველი სიტყვა იყო და  
იქნება კიდევ სამარადისოდ,  
ურთიერთობის დიად სინდრომად  
ძეგლი პარნასზე მიტომ აიგო.

764

ნათუქსუსარნი, თანაც უძღებნი  
უნდა აორთქლდნენ ისე დროულად,  
რომ ყვავილების წმინდა სურნელი  
არ შეილახოს ანაზღეულად.

765

საჭირბოროტო საზრიანობა  
მოითხოვს მსხვერპლს და მოითხოვს გარჯას.  
ზოგჯერ ამართლებს მიმტევებლობა,  
ზოგჯერ კი შედეგს იძლევა დასჯა.

766

დემოკრატიის დროშის ფრიალი  
ხშირად ხელს აძლევთ ავანტურისტებს,  
უფასურდება სიმართლის ქნარი,  
აეწეწება ფარდა კულისებს.

767

ძლიერი ხელი უნდა აღზევდეს,  
საკუთარ თავზე მიიღოს დარტყმა,  
ყოფიერების დახშულ სარეწებს  
უნგარობა გადასწმენდს ლაქას.

768

ზოგჯერ ხდება, რომ მოჩვენებითი  
წონასწორობა დაისადგურებს,  
წუწკი სატანა ქვესკნელეთში ზის  
და ავარვარაბს აღზე შამფურებს.

769

არ მიზიდავს და არც არად მინდა  
პოლიტიკური თამაშობანი,  
წამოწყებათა განხილვის მიმართ  
გულგრილი არის ჩემი გრძნობანი.

770

რადგანაც მოკვდავს, თუგინდ ცალსახად  
დიდხანს არ ტოვებს ურვა აროდეს,  
არ გადიქცევა ქვიშა აღმასად,  
არ დაეხსნება თავკი თაროებს.

. . .

771

სიასამურის დაჰბერა სიომ,  
ვარ გატრუნული, ვცრი სულის ღიოფს;  
წუთით გვაკვირვებს ღუმილის ეშხი,  
ზოგჯერ გამპირებს სარკაზმი შეშლით.

772

ვერ ვეგუები საწუთროს ქირქილს,  
მელაძუების ცანცქარებს ნიხრი;  
როდემდე უნდა ვიმტვრიო ცხვირი,  
საღერღელს ბურღავს თავკერძა გზირი.

773

შიშმა გაქარწყლა მსაჯულთა ფიცი,  
მუღრეგ საფართან ჯალათი იცდის;  
ავფეთქდე ღამის, ჩამიქრა კვართი,  
ღრუბელი ღამის სონატას ბარდნის.

774

ადევნებია მწყემსს ქარბორბალა,  
სუსხი ვნებიან ჟინს გამომძალავს;  
დემონი ნაჯაფ ცდომილებს ითვლის,  
მზემ მიმოხაზა ოსტატის ნიხრი.

## კ ა რ ი მ ე ხ უ თ ე

775

ნიჭი გარჯის ნაყოფს  
შემეცნებად აქცევს,  
შთაგონება გვამცნობს  
საუკუნის სახეს.

776

გაიძარცვა მამული  
გავერანდა მიწა,  
გველეშაპი ზრდასრული  
არხეინად იწვა.

777

ბედკრული კუტკალია  
დეღემის დროს დამხრჩვალა,  
გაფხორვა უსწავლია  
უმწეო კიბორჩხალას.

778

ო, ეს დემონები  
როგორ მშვიდად დაჰქრიან,  
ბოროტება ცხოვრების  
ფუმფულა მატლია.

779

ქარბორბალამ ტრამალზე  
მარწია და მატარა,  
ნაჯახირებ ანამღერს  
მას მაინც არ გავატან.

780

ბალახს ნისლის ფთილები  
დაჰფენია სუდარად,  
მიმოჩნაპნა ტიტრები  
მზიანეთის მუდარამ.

781

შხუის თავსხმა თახსირი,  
აბობოქრდა სტიქია,  
მწყემსები და ნახირი  
სამშვიდობოს მიჰქრიან.

782

კაცი ბაღნარს რომ ვერ ვამკობ,  
მიმოვხეხე ხრიოკი,  
ცის კაბადონს უნდა ვამცნო  
ვნების უხმო წიოკი.

783

ბრმა სულები საჭილყვად  
შორი-ახლოს მივლიან,  
ეს ოხრები – სათითაოდ  
ეშმას გამოზრდილია.

784

წავბორძიკდი, ციმ-ციმ ტორი  
დავაბჯინე დაღმართს,  
ვაი, თუ ეს ჩემი მძორი  
ძერის წერა გახდა.



785

თუკი დროზე გავცდები  
სახიფათო ბილიკებს,  
ნათელ ფიქრის ლანდები  
ბნელეთს სახეს არიდებს.

786

ბევრი რამ აქვს საგმობი  
წუთისოფლის გალიას,  
სიბრძნე კაცის ზნეობის  
და მეობის ფარია.

. . .

787

რიტმები უნდა ჩავსხეპო,  
ჰანგი ვერ ვსახე ლოცვებად;  
ახალთახალი სამსხვერპლო  
უნდა აავოს სოფელმა.

788

ერთ დროს ეს ხოდაბუნები  
გაუხეშდება მოცვლება,  
დახუნძლულია ცოდვები  
ვაი-ვიშად და გოღებად.

789

სანამ ყამირი მიწები  
არ გადიქცევა ბორცვებად,  
ეს მოდგმა ფუჭი ფიქრებით  
ალბათ კარგა ხანს მოცდება.

790

კაცი ჯერ არა – ბუნება  
ყოველ წელიწადს ცოცხლდება,  
დაამუხრუჭებს ცდუნება  
ჩვენს აუხდენელ ოცნებას.

791

რადგან არ მწყალობს განგება  
ჭირს უხიფათოდ გაძლება,  
ვინც კი სიმწარე მაგემა –  
ღრომ გაიხადა სახედნად.

792

ვინც კი მოკეთე მეგონა,  
როს საქმე საქმეზე მიდგა,  
გააცამტვერა მან ნდობა –  
დასანახავად ვერ მიტანს.

793

ძალღუმადურად ვერვევი  
ჭმუნვას და უხერხულობას,  
მრწამსი შეხედულებების  
თვითდაჯერებულობაა.

794

ოპტიმიზმის ნაპერწკალი  
ხშირად თუ აინთება,  
გადაესხას წმინდა წყალი  
სასწაულის მიგნებას.

795

სიაკაკის აღტკინება  
თუ ვერ გაბატონდება,  
უპოვართა სადიდებლად  
გაბრწყინდება გონება.

796

სიძულვილის დამკვიდრება  
თუ გაცხადდა მონობად,  
საწიერი ებადრება  
ღლეგრძელ თანასწორობას.

797

მაგრამ პეწი არ ექნება  
ერთფეროვან მშვენებას,  
ალბათ მიტომ გვეძნელება  
სიახლეთა შენება.

798

იარლიყად დამეფარა  
საცოდვილო მანტია,  
რადგან ვდავობ წარამარა –  
ნაადრევად დამსჯიან.

799

როცა სხეული ფითრდება  
სული იწყებს გაცხარებას,  
ამ დროს უებრო თვისებად  
ერთგულება გაცხადდება.

800

მიმანია, მაინც კენტად  
რჩება ნაღდი ფემომენი,  
ვერ ითრთოლებს ბევრი ერთად,  
ვითარც რიგი და ნომერი.

801

კაცს ნერვები ჩაუცლია  
ამოუცნობ საუფლოში,  
დროს სანდალი ჩაუცვია,  
ბარაქას კი ოქროს ქოში.

802

იღიალურ შეთანხმების  
ნაყოფს ძნელად თუ ვიხილავთ,  
გარკვეულ ჟამს წინსვლის ფრთები  
ერთმანეთის ჩრდილებს ჩრდილავს.

803

ერის მიმართ საქები  
პირობა თუ ირღვევა,  
მაშინ ყალბი აზრები  
მოსჩქეფს ცალყბა სიტყვებად.

804

მაშინ როცა კერებად  
შხამი გადმოიცრება,  
ცხადის არდაჯერება  
მოგვედება სიზმრებად.

805

ავსებულა მამული  
დამთხვეული ჩაფრებით,  
უგზო-უკვლოდ დაძრული  
უდროო დროს ჩაკვრები.

806

ოლონდ სანამ ვიქნები,  
ფიქრით მაინც ვიომებ,  
გაუხემდნენ რიტმები,  
უნდა ვეძმო დიოგენს.

807

გული აღმურით სავსეა,  
დრო მატერიის არსია,  
ამ ობოლ ჭიამაიას  
პერანგი თავქვე აცვია.

808

გუშინდელ შვლის ნუკრს ფეხები  
რა უშნოდ გაუჩაჩხია,  
კოდალას ნამოქმედები  
მუხას სვასტიკად აჩნია.

. . .

809

სინანულის ჰანგი ესმა  
გასაძლისის მთა-გორებს,  
გაშიშვლებულ კაკლის ხესთან  
ბატი ნამჯას აგროვებს.

810

ხელი მზისკენ გავიშვირე,  
გულს დაელო შავი ლაქა,  
თავი ისე ავიტკივე –  
შევეწირო უნდა ქაქანს.

811

რადგან სალათას ძილი  
არ განმიცდია აროდეს,  
ემმაკეული ძალის  
ნაკლებად უნდა მჯეროდეს.

812

სამაგიეროდ ღვთიურ  
შემეცნებათა ძალა,  
ამ ყოველღლიურ ვარამს  
სათნოებაში მალავს.

813

რადგან იღუმალეზას  
კრძალვით ვეპაექრები,  
ბინდის განზომილებას  
მოვუჩნრიკე ფესვები.

814

რადგან მკვეთრად ჩამესმა  
ტანჯულ ლანდთა ქოთქოთი,  
ჯოჯოხეთის კარებთან  
დემონს სჭედენ ოქროთი.

815

რადგან ველარ ველირსე  
სულის გასათუთებას,  
სასმისს ეშმა შემივსებს,  
რისხვა დასაბუთდება.

816

ჯურღმულეთის შადრევანს  
დაუვსია კერია,  
ცისკენ გზები მაჩვენა  
მადლმოსილმა ფერიაჲ.

817

ჩამითრია ტიალი  
უმრეტ წყაროს დინებამ,  
შეშლილ სახით ყიალი  
აღარ მეთაკილება.

818

თუკი არის მთლიანი,  
რაც ორიდან ერთია –  
სიბრძნე არს მადლიანი,  
პოეზია ღმერთია.

819

აქოჩრილია კენწერო  
გადაბელილი იფნის,  
ხელგაშვერილი ვერ ზეობს,  
ჩასუქებულებს ითვლის.

820

ვარაზისხევის კალთიდან  
დავხედე გმირთა მოედანს  
და ზოოპარკის კიდიდან  
ლომის ბლავილი მომესმა.

821

აწყდება ცირკის დარაბას  
წამოჩნტულთა წყება,  
ჭრელ აფიშაზე მასხარას  
გადატვლეპია კეფა.

822

ეშინაურა სიმყრალე  
დეზერტირების ბაზარს,  
მევახმეს ლარი მივგვარე,  
ვჩქარობ მეტროში ჩასვლას.

823

სიცხეში ვინ არ დამტკბარა  
გრილი ნიავის მადლით;  
დენი რომ სადღაც ჩამდნარა –  
ჩამოწვა ღამის კადრი.

824

ექსკალატორზე ქოშინი  
ქვესკნელის ექოდ იქცა,  
მაფიოზური დოპინგი  
დაამუხრუჭებს წინსვლას.



825

მოზღვავებულა ერთობ  
ავტომობილთა ტალღა,  
ვამუხრუჭებ და ვყბედობ,  
ჭირს ნებიერად გავლა.

826

ორთაჭალის ყვავილებს  
შეპარვიათ სიფითრე,  
მეტეხია სამიზნე,  
აბა, ვინ რას იშიშვლებს!

827

იყო საოცნებარი  
ნარიყალის აღდგენა,  
სიზმრის საოცრებანი  
ნაწილობრივ ახდება.

828

თვალი შევაგლე ანაზდად  
ქარვასლის მისადგომებს,  
მექორწილეთა მაზანდა  
განცხრომას ისახსლოვრებს.

829

დაღლილს მეუცნაურა  
შეკივლება ელმავლის,  
გაცვდა ქარის აურა,  
ღამოშმინდა კედარი.

830

მივაშტერდი გრანელის  
პირველყოფილ საფლავს;  
ემსუბუქა სარჩელი  
მწუნარების ამაგს.

831

გზა განვაგრძე, შევცქერი  
მიმოფენილ ხალიჩებს;  
ეს ქოფაკი, ეს შლეგი  
აგერ-აგერ აიშვებს.

832

მოვუკელი ნაბიჯებს,  
შევისვენე მდელოზე;  
ნესტი უღრღნის ლავიწებს  
უხარისხო შენობებს.

833

როცა გონის უჯრედი  
სივიწროვეს განიცდის,  
მაშინ კაცი მუდრეგი  
სალაყბოდაც მოიცლის.

834

მიუყვები ქამაც-ქამაც  
ასფალტნარევ შარავზას,  
რალაც უცნოდ შემაქანა  
ფიქრის დავიდარაბამ.

835

რადგან ხშირად გაწბილდება  
შინაგანი განგაში,  
გული ისე მიმძიმდება,  
ვით ვირს ტვირთი ტალახში.

836

უკვე ვუახლოვდები  
თავშესაფრის ორღობეს,  
სიმწრით დანაოსები  
მივეფერე ჟოლოებს.

837

ხელცარიელს აღმაცერად  
შემომხედეს შვილებმა;  
რწმენამ სული აამღერა  
მოთმინების იმედად.

838

ბინდს გადაირბენს მალე  
ძილისპირულის ჟამი,  
დაღვრემილ არემარეს  
აეხილება თვალი.

. . .

839

იფერებს პეწი უსათუო  
თანხვედრის წუთებს,  
ოცნებებს ქნარი საჯიუტო  
განწყობას უქებს.

840

ქარმა ამრია, ვერ მოვთოკე  
ვნების სადავე,  
ცას შეჰხარიან, საორლობე  
მეჯლისს მართავენ.

841

მზემ დაამთქნარა – როს ზღაპრიდან  
გამოვიპარე,  
არ ვიშლი წანწალს, დეზებს ვკვირტავ  
ყოველ ცისმარე.

842

ვითარც ქორბუდა, გაყურსული  
ტრამალს გავცქერი,  
ჰოდა მომწყურდა ასანთლული  
სულის ნამქერი.

## ს ა რ მ მ ლ ა

### კ ა რ ი პ ი რ ვ ე ლ ი

843

ნაგვემი თავის გაბრუება რადგან მეწადა,  
სახელდახელოდ მოვიძიე ღვინის ხელადა;  
ნაბახუსევი ვეპოტინე აზრის გასაღებს,  
ქვეცნობიერის მოციქული ვსახე სახატედ.

844

სულ თავდაყირა დავაყენე ავი სულები,  
არსთა განმრიგეს უთავბოლოდ ვედიდგულები,  
შუაღამისას შემახსენა თავი შაკიკმა  
და გულსაკლავად ის წყეული ჭოტიც აკივლდა.

845

გამთენიისას თავს დამატყდა შლეგი ზმანება,  
თითქოს საყდარი დაინგრაო მამცნო ზარებმა,  
ვიწექი თავქვე ნანგრევებში მიუსაფარი,  
სულს მიფერფლავდა მოსარკული ზეცის ლამპარი.

846

გამომეღვიბა გულარეულს, თავს ზევით ვერ ვწევ,  
უზარმაზარი ლოდი მაწევს თითქოსდა მხრებზე,  
გონებას მიმღვრევს ქაოსური, მცდარი აზრები,  
აღბათ კარგა ხანს ამ დონეზე აღარ დავთვრები.

847

როგორ მალ-მალე მაცოდვილებს ფილენჯის ქარი,  
ჩემს განკურნებას ვერ კისრულობს თვით ჯადოქარი,  
ამაოდ ვიხმე ნათლმოსილი ანგელოზებიც,  
არ დამამადლეს, შემაწიეს წმინდა ლოცვები.

848

ბობოქარ სულში გართხმულია სფინქსის ზმანება,  
ვერ ვეგუები ხალას განცდის გარდაცვალებას,  
მფრინავმა თეფშმა ჩაამსხვრია კოშკის სარკმელი,  
საკანში უცხოდ შემოიჭრა სუნი საკმეველის.

849

თავს არ მოვუხრი არასოდეს მაცდურ ქიმერას,  
განგებამ მარტო ხეტიალი გამომიწერა,  
თავსხმა წვიმაა, მაგრამ მაინც გარეთ მივდივარ,  
რადგან დემონმა დააბრუნა წინსვლის ფირფიტა.

. . .

850

შიშის მეუფე პირველ რიგში წამოსკუბდება,  
რადგან ხმელეთის ბედს განაგებს ერთი ღილაკი;  
დაყოფილია ვარსკვლავეთის ჯარი გუნდებად,  
ხანგრძლივ საავდროდ მოიღრუბლა სივრცის მირაჟი.

851

მოჩვენებებმა ვერ დამატკბო ლამაზ ტყუილით,  
აღარ ვისურვე სხივმაცდური სცენის ყურება,  
როგორ თანდათან ძლიერდება მგლების ყმუილი,  
ზარნაშოც ლამის სიმფონიას ეხმაურება.

852

რა გამაჩერებს მშვიდად საჯიხვეების მზვერავს,  
რა დააწყნარებს ამ სულს როცა მეწყერი შხუის,  
უსაფრთხოების ნიშანს ვერ მივაკვლიეთ ჯერაც,  
რადგან სამყაროს გულში შეღწეულია შური.

853

რადგან საზღვარი არ აქვს კარაბინების გრიალს,  
ცხოველმა შიშის საუფლოს სირბილით ისე სძლია,  
რომ უბობოქრეს ტაღლებს მსხვერპლი უფსკრულში მიაქვს,  
ბერები ნარჩენ ნამჯას საგულდაგულოდ სცრიან.

854

ბრბო გასასტიკდა, მალე გადითქარუნებს ტრამაღს,  
დააძაბუნებს სხეულს ამბოხებული ვნება,  
აწმყო უნიღბო სახეს საგულდაგულოდ მალავს,  
ცოტა შერჩება სულეთს, ბევრი უკვალოდ ქრება.

. . .

855

ფეხათრეული ისევ ამ ხევში ვბუდარობ,  
აღარ მშორდება თვალმოტყაული ლანდი,  
აქ სიღარიბეს კენჭი კრძალვით უნდა ვუყარო,  
იქნებ მოვისხა თავნება არსის მადლი.

856

უნდა ვუცვალო ჩვეული გეზი ბუმერანგს,  
თხილის ფოთლები მიწას ჩაბარდა ბურნუთად,  
ეს სიამაყე როგორ უბრად მეჯაჯგურება,  
უნდა დავჯერდე აღრენილი მწარე ულუფას.

857

ახია ჩემზე, რომ ავეყვი ისევ ცდუნებას,  
რა ღამიკარგავს, რას დავეძებ ამ ტალღებს მიღმა,  
რადგან ელამი ბოროტება შხამავს გუნებას,  
მისაცოდავებს განსაცდელებს განგების რისხვა.

858

შემოჩენილი თვალთმაქცებიც აღარ მიდიან,  
ამაღამ ღრუბლებს შევუკვეთავ ქარის ხომალდებს,  
თუ ხასიათში უმთავრესი გულის სიმია –  
სულიერებას მრწამსი ძნელად განაზოგადებს.

859

გახლართულია გასასხლავად ვაშლის ტოტები,  
ხელი დროულად უნდა მისწვდეს თავთავს მოცელილს,  
არ დავუშინოთ შერისხულებს ქვა და ლოდები,  
არვინ არ ვიცით მოგზაურებს სად რა მოგველის.

860

ერთი ცხადია, ზოგჯერ ისევ უკან ვბრუნდებით,  
რომ განვაახლოთ ძველისძველი თავშესაფარი,  
რომ მოვიძიოთ მიგდებული ხოდაბუნები,  
სიძინდი მაინც რომ დავთესოთ ნავენახარში.

861

თუ განიკურნა სნეულება სიტყვის ნახარშით,  
სულის წიაღში თუ ჩავაცხრეთ ტალღა გრძნობების,  
არსებობისთვის ხელს თუ არ ვყოფთ ლომის ხახაში –  
საუკუნეებს მაგალითად ვესახსოვრებით.



862

განათოშარ თითებში ვაწრიალე კალამი,  
პოეტური ნილაბი ნიშნებაა ხიფათის,  
მინდა გადმოვაფრქვიო სნეულ გულის ვარამი,  
მივაშტერდი მყინვარწვერს დაღვრემილი სიფათით.

863

რადგან უკვე პირლიაა უახლესი წკვარამი,  
გზაწვრილს ეძებს სინანული დაგუბებულ წყალივით,  
აქაფებულ ნიაღვარში ჩამივარდა ფარანი,  
ამ დაწყევლილ ლაბირინთს დაჩოქილი გავივლი.

864

რომ ბუნების სასწაულთა საწყისები ვეძებო,  
წავიკითხო ქარაფებზე წაწერილი კაფია,  
მომეხმარეთ არწივებო, მომეხმარეთ ქედებო,  
რომ უფალმა სასუფევლის მამცნოს ეპიტაფია!

865

გადაშენდება უღრან ტყეში ირმების ჯოგი,  
მშიერი მგლები ახლო-მახლო თუ არ ყმუიან;  
განწყობილება კუს ნაბიჯით შორიდან მოლის,  
ხანდახან მაინც თვალს შეგავლებ სცენას უხიაგს.

866

როგორ უნიღბოდ თამაშობენ დღეს ბერიკები,  
თანაც მალიმალ მიირთმევენ ღვინოს სისხლისფერს,  
გასასვლელ კართან ავიტუხე, ოფლად ვიღვრები,  
ასე მგონია, წინამძღოლი ხანჯალს იშიშვლებს.

867

შეჯავშნულია მარადიულ შიშის საუფლო,  
როგორ არბილებს ხორციელი ცვარი ჭალარას,  
დარბაზს წამყვანმა შედეგები უნდა აუწყოს,  
კარებში მტრედმა დილიჟანის მოსვლა მახარა.

868

აღარ დავუცდი ამ დარჩენილ გაწამაწიას,  
ამქვეყნიური მობეზრების ძალამ დამთრგუნა,  
ჯადოსნურ დილას ვარსკვლავეთი განუძარცვია,  
ოფლიან შუბლზე სიო ნაზად მომესალბუნა.

869

დღეს სამართალმა იარაღი რადგან დაჰყარა,  
როგორ ამოდ იმარხულა მგლების საკბილომ,  
ზარბაზნის ლულას ემგვანება მგონი სამყარო,  
მზემ უნაყოფო ადგილები უნდა დაცხრილოს.

870

შეხიზნულია უპოვარი ღარიბ ფუნდუკში,  
ჯახირობს იმად, ლუკმა არმად რომ არ მიიღოს,  
უხმო ჯოხივით მიუგდიათ მტვერში დუღუკი,  
მოურწყავ ბაღში ცრემლი მოსდის ეულ დიდილოს.

871

დაკარგულია შენების და ლხინის ხალისი,  
რადგანაც მხოლოდ არსებობის გამო ვჯახირობთ,  
ბრბოს შეძახილი ღია ცის ქვეშ ცალყბად გაისმის —  
ზეთისხილს წვენი მერამდენედ გამოვადინოთ!

872

როგორმე უნდა შევურყიოთ ძირი ემაფოტს,  
ჯალათს ხელები გაუშემდეს უნდა დასჯის დროს,  
ყოფიერ მითოსს სასწაული რომ შეემატოს,  
ერთეულებმა თავი კვლავაც უნდა გავწიროთ.

873

განწყობილებამ მომიშხამა მაშინ გუნება,  
როცა კვარცხლბეკზე უღირსოთა სახე ვიხილე,  
გულადულებულს მათი მზერა მენამუშება,  
ამ წუთისოფლის სიაკვარვე გამოვიტირე.

874

სახელდახელოდ ვუხმე დამზრალ გამჭრიახობას  
და შეკითხვებზე ასკილივით მხოლოდ თავს ვაქნევ,  
მიმოქარწყლება უწერია ამგვარ ლაყბობას,  
ნაყოფს კეროდეს გამოიღებს ასეთი საქმე.

875

როგორ დამცინის შორეთიდან ჩემი ვარსკვლავი,  
მის მყარ განზრახვას თუ ამაო ფიქრებს შევასლი,  
დასაკარგავში გამეთხრება ალბათ საფლავი,  
ღუმიღის სიბრძნის გამარჯვებას აღარ შევნატრი.

876

ყალბი არშინით იზომება კაცის სიმაღლე,  
არ შევარჩინეთ სარკეები უფლის დარბაზებს,  
განკითხვის ზარი, რომ ჩამოჰკრავს მაშინ ვინანებთ,  
რამეთუ ყველა ცოდვილნი ვართ ამ ქვეყანაზე.

877

ხშირად იცვლება დასამკვიდრებ დროშების ფერი,  
არასმაქნისი, გაბლენძილი ჯგუფი ჯგუფს ქირდავს,  
ბოლო დროს როგორ იქედნურად დაგვცინის მტერი,  
აღბათ კარგა ხანს ვერ ჩამოვხსნით რენეგატს ნილაბს.

878

როგორ უდროოდ დავსნეულდი, დავჩანაკდი,  
ასე უეცრად რამ შეცვალა ეს მაჯისცემა,  
შეხიზნულია ტაფობებზე ლტოლვილთ ბანაკი,  
ამაღამ ვერცხლი ტერასებზე გადაიცვლება.

879

ჩამოიშალა ვერანდაზე შავი ფარდები,  
დროულ როიალს ჩაუვარდა სუსტი კლავიში,  
ამ ქაოსიდან უეჭველად ავიბარებები,  
ვერ გამოგია შეთანხმება მზის და ქარიშხლის.

880

ჩახერგილია წუთისოფლის ლაბირინთები,  
თავგზაბნეულს მელანდება სხივი ლაზერის,  
ნაორჭოფალი წუთით მაცდურ ვნებით ვინთები,  
თითქოს ტორტმანებს ზეციური წმინდა საცერი.

881

შეიფრთხილა მუხის ტოტზე ციცქნა ბელურამ,  
მიმოავლიჯა მას ბუმბული ქარმა თავნებამ,  
ხის კენწეროზე შემოსკუპდა ქორი შლეგურად,  
მინდა შევძახო, მაგრამ წუთით ენა დამება.

882

ელდადანაკრავს შუბლს მიგრილებს წვიმის შხეფები,  
მოულოდნელად ცისარტყელამ გამოანათა,  
მღელვარ მღელვოზე გაღიმებულ სოკოს ვეხები,  
რძისფერი ცრემლი დაეპკურა წნელის კალათას.

883

იფანტებიან ხილვადობის თეთრი ფანტელნი,  
ეწირებიან მარადიულ უსასრულობას,  
ჯვარი ეწეროს სასოებას ფეხქვეშ გათელილს,  
გამეფებულა სიძულვილი და უგულობა.

884

გადაჰგლესია არემარეს ჭუჭყი დლიური,  
აშარი ქარი გამოქვაბულს პირში ეჩრება,  
რადგანაც ძლივსლა შეიმჩნევა მცნება ღვთიური,  
გაურკვევლობა უფსკრულეთის ფსკერზე ეშვება.

885

რიჟრაჟის სხივმა გაანათა ლურჯი ცის თალი,  
მაჩვი აქოჩრილ ყანის ღობეს ეჩხიკინება,  
ეპოტინება ეკლის ფოთლებს სამგლე თიკანი,  
ბარე სამას წელს არ მოიშლის ყვავი გინებას.

886

ქელს არ მოიხრის ზამთრის შიშით ჯმუხი ბერძუხა,  
დაღად დააჩნდა საუკუნეს ჟამი ცღუნების,  
ჭეშმარიტებამ სათნოება გადმოაშუქა,  
ავსებულია სასაფლაო ბებერ მღგმურებით.

887

მოჩვენებათა იმ ლაბირინთს უნდა მივადგე,  
სადაც დაივლის სულის მძაფრი გამოძახილი,  
თვალდახუჭული შევეგებე სიმწრის სინათლეს,  
რადგან განცხრომამ დამიბინდა თვალის არილი.

888

რადგან კოსმიურ შემოგარენს ისე შევყურებ,  
ვით ქინძისთავი ჩაეყლაპოს პალტოს საყელოს,  
თითქოს მთვარეზე დაუდგია ფენი ჰერკულესს,  
ღროა, იესომ ზეციური რაში გახედნოს.

889

ღროა, შორიდან მივანიშნო ორეულს ჩემსას,  
რომელიც მგონი აედევნა საშიშ კომეტას,  
უცხო პლანეტელს დაელოდოს ჯადოსნურ ხესთან  
და მზის ალმურში გადაადნოს ქვრივის მონეტა.

890

განსხეულებამ გამიღიმა შორიდან ცალყბად,  
თავზე წაუკრავთ მყინვარმწვერებს ზეცის მანდილი,  
მკრთალი მთიების ათინათი ეთერმა შთანთქა,  
სულს ასულდგმულებს მარადისად ყოფნის წადილი.

891

მოსაღამოვდა, ძლივს არ დასცდა მელას ხავილი,  
თოვლის ფანტელი არემარეს აცრემლიანებს,  
ციცაბო ბილიკს გაჭირვებით როცა ჩავივლი,  
ვაგულიანებ ჩემებრ ტანჯულ ადამიანებს.

892

გამაცამტვერა ცისქვეშეთის დავიდარაბამ,  
თმაგაწეწილი ლანდი მიქნევს ხელებს შორიდან,  
სხვა რა ჩარაა, უნდა მივყვე ქარბუქს ამაღამ,  
გამოქვაბულის მონატრების ჟამი მოვიდა.

893

ზეშთაგონება გვემულ სულში დაეძებს ადგილს,  
გაელვარება გადარჩენის ჟრუანტელია,  
დაუნდობელი ქარაშოტი ნამქერებს მაყრის  
და ეს ოხერი კვესაბედიც შემომელია.

894

გზაჯვარედინზე შევეჩეხე დილიჟანს უთვლოს,  
თავშეფარებულს, განაწამებს რული მედება,  
ცივი გონების ალტკინებას სიზმარეთს ვუთმობ,  
გამომადვიდა ირიალურ შემოთენებაძ.

895

საამურია გასხლულ ვაზის შემოტირება,  
ტოტოდან ტოტზე გაიჭიმა სხივის სიმები,  
სიო ღიმილით ტყემლის კვირტებს ებოდიშება,  
ტყის მუსიკოსებს ბერმუხასთან ვეპატიჟები.

896

რაც რომ ყოფილა და შემორჩა საკვირველებად,  
მარადისობის ცხოველყოფას ეზიარება,  
სანაქებოა შეწყვეტილი გზის გაგრძელება,  
ხმა იღუმალი ქაოსიდან მეხმიანება.

897

ცრუ მეცნიერი აფხვიერებს მარჩენალ მიწას  
და თითქოს ესმის ქვესკნელეთის აურზაური,  
უმწეოდ გასცრა თვალთმაქცობამ ლაციცა სიტყვა,  
მიმზიდველია შთაგონება ვერ საცნაური.

898

ბიბლიამ შუბლი შეუსურა შაოსან რაინდს,  
რომელმაც შუბი გვერდზე მიაგლო ცივად,  
მას ამ ყიამეთს გააცილებს ღვთიური ქნარი  
და სამსჯავროზე წარბშეუსრელი მივა.

899

ხელმოცარულ კაცს ჰგონია, რომ ალლომ უმტყუნა,  
სინამდვილეში ვერ მოერგო განზომილებას,  
თვალს და ხელს შუა მიმოენგრა თავის ხუხულა,  
დაოსებული საშინელმა შესძრა კირთებამ.

900

როგორ ამაოდ ვუმზერ ხოლმე ერთ მბჟუტავ წერტილს,  
საკუთარ თავის მორჩილება უფლის ნებაა,  
მოწყვეტილ სხეულს ვერ მიიბამს ბებერი გველი,  
სიახლის ხილვა ასულდგმულებს ცნობიერებას.

901

გარეულ ტახის ეშვი გდია ბილიკის მიღმა,  
უკვალოდ მაინც არ გამქრალა ლომის წილხვედრი,  
ცხოველის პოვნის წადილია გრძნობას რომ მიხრავს,  
ვით მონადირე ბევრს ვერაფერს ვერ დავიკვებნი.



902

გაითავისეს გორმახებმა ღრიალი დათვის,  
ნისლმა და ქარმა შემიფერხა წინსვლა სავსებით,  
დღეს დაკარგულად ბოლობოლო მაშინდა ჩავთვლი,  
თოფის გასროლის გაეშხებით თუ ვერ დავტკბები.

903

გადაეკიდნენ კრაზანები ფოლიოს ყვავილს,  
რას ვიზამ, უნდა განვერიდო ამ სუსტ მკბენარებს,  
მათი ნექტარის გადამკიდე ხარიც კი ბლავის,  
ხის ძირას მგონი არტემიდეს ლანდი მთვლემარებს.

904

ჯერ საიდუმლოს არ გამანდობს მუხის ფულურო,  
დაღამებამდე არ მოიცლის არც ეს კოდალა,  
აქ ყოველივეს შორიახლო უნდა ვუყურო,  
რადგან ჩვენს შორის შეთანხმება ჯერ არ მომხდარა.

905

დაუდევრობას უკვე ველარ მივათრევ ზურგით,  
ზეშთაგონებამ არტახები მიმოიქნია,  
ჩარაზულ საყდარს რახანია გარშემო ვუვლი,  
თეთრი ფასადი დროს უღმობლად დაუთითხნია.

906

შინაგანი ხმის შეძახილი მეუცხოვება,  
რა უნებლიედ ამივსია პეშვი კენჭებით,  
სულთა უჩინარ სიფუსფუსეს ვუთვლი ცხონებას,  
დამიღამდა და ავითრიე ფეხი ჭენჭენში.

907

ასე მგონია, გზას მინათებს რალაც ღვთაება,  
ალბათ ის არის სიზმარში რომ ცხადად ვიხილე,  
ჩელტების ხიდზე წარმოსახა მან ნეტარება,  
ფერიამ ცრემლი დააფრქვია იმის სიცილზე.

908

უეცრად ჩაქრა მოციმციმე ცის ნათურები,  
როცა დაიწყო ქარიშხალის აბობოქრება,  
ირგვლივ მყოფ საგნებს ახლა უფრო ვესათუეთები,  
კურთხეულია ვინც იღვრება წმინდა ლოცვებად.

909

დღეს უგერგილოდ გადავფურცლე ჩემი ფსალმუნი,  
წითელი ხაზი მიმოვაველე შავ-შავ წერტილებს,  
ნიმფებმა გარეთ გამიტყუეს ეფენის ჟღარუნით,  
სამყაროს ფრთების ნაპრალებში გამოვეჩხირე.

910

ქარმა ადვილად მომახვია თავზე ნისლები,  
სიჩქარის ძალის ამბოხებას ვუსასტიკელები,  
არ მასვენებენ ქაოსიდან შეძახილები,  
მარადიული ნათლის წყაროს კვესავს წინწკლები.

911

რა უნებურად შეეჩვია თვალი უკუნეთს,  
ლანდების ფერებს ერთურთისგან ველარ ვასხვავებ,  
სიკვდილის ეტლი მისტერიას მოაგუგუნებს,  
გალაკტიონის „მესაფლავე“ დამასაფლავებს.

912

ღამეულ ფიქრებს მოეძალა მყინვარის ხედი,  
აღგზნების მყისვე ღამედარა წყაროსთან გედი,  
უებრო ღიმილს მოუმწიფდა ღულუნი მტრედის,  
სიზმარი ყივის, ჩამომდინდა სისხამის ცრემლი.

913

ვარდის სურნელი ჩაეწვეთა კანკალა უჯრედს,  
ამოუთქმელი შემეცნება ვარსკვლავეთს უბღვერს,  
აჰა, მერცხალმა ფრთა შეისხა შორ-შორს საფრენად,  
მზეს მიეწაფა, გაიეშა ცხვირის აწევა.

914

ნაცად სისუსტემ გამინათა მრწამსის სარკმელი,  
ისე ვიყუჩე, საფიცართან ვთვრები საკმევლით,  
ალალი იყოს ჩემი სუნთქვის ჩაწიწმატება,  
განგება მიხმობს, გიშრის ფუნჯი ამიშხათდება.

## კ ა რ ი მ ე ო რ ე

915

გაცვეთილი ფუნჯით ვხატავ  
გადატრუსულ ტრამალს,  
რადგან წუთით ვრჩები სახტად –  
გვამი მომელანდა.

916

ჯერ არ ველი დასამიწებ  
აგონიის ხილვას,  
უკუვაგდებ ღუხჭირ ფიქრებს,  
ელდანაკრავს მცივა.

917

დავემობ სიზმრის აუგიან  
აზრის გაელვებას,  
როგორ ფარსად დაუყრია  
თესლი სარეველას.

918

ზამთრის სუსხმა აათრთოლა  
ნეკერჩხალი დილით,  
ვერ აუწყო ხმა ტოროლამ  
მთაში შველის ტირილს.

919

უმოწყალო ქარაშოტმა  
გული დააბერა,  
თავს დააცხრა ჩიტბატონას  
დამშეული ძერა.

920

ავის ხილვით თვალი მტარვალს  
უბნელდება წამით,  
ვერ ახამებს ღიმილს დარდთან  
შერცხვენილი თავი.

921

განგების ცრუ მოციქულთან  
რა აზრი აქვს დავას,  
გადახნულზე ეკალ-ბარდა  
გაიხარებს კვლავაც.

922

შუალამეა კივის ტურა,  
ტივი ტალღებს სერავს,  
წვიმს, ყარიბი პერანგს წურავს,  
ლაქვარდს შესთხოვს შველას.

923

შინ მისულმა უგდო ყური  
ლამურების სიცილს,  
რა ქნას, მარცხმა ზოგჯერ ფიცის  
გაქარწყლება იცის.

924

პირმშო წამწამს ახამხამებს,  
ნაწნავებს შლის ღვთაება,  
ქარიშხალი ხსნის არტახებს  
ვნების ანეტარებას.

925

ჭიატობდა გადახვნამდე  
ალაგ-ალაგ გლერტა,  
გვირილების სინარნარე  
მდელოს ამშვენებდა.

926

გაათმაგდა ბირკა, ნარი,  
სულს ძლივს ითქვამს ენძელა;  
ისადგურებს შიშის ზარი,  
მრევლს მართლის თქმა ეძნელა.

927

რა უმწეოდ გაყვავილდა  
მონაყინი ჭერამი,  
რაც უფალმა დაამკვიდრა  
მორჩილნი ვართ ყველანი.

928

კოხის რისხვამ ჩააბნელა  
ციცქნა ციცინათელა,  
ტირის ვაზი, იკრებს ძალას  
სამდურავის სათქმელად.

929

დელგმამ უღვთოდ შეიწირა  
საალერსო ყაყაჩო,  
ასე წაწკაპ ნულარ გვცხრილავ  
ზეციურო სახადო!

930

ზესკნელეთში უფალს შესთხოვს  
ცოდვა-მადლის საუფლო,  
რომ შვიდფერი ფრთა გაშალოს,  
ავდარს წესი აუგოს.

931

მეუფლება სითვალთმაქცის  
მიტევების განწყობა,  
მოვახურე მტირალს შარფი,  
მხრებმა ტვირთი აწონა.

932

იგვიანებს აღსარება,  
ბრიყვმა ცოდვა დამალა,  
ზესხმა წვიმის ზიარება  
ერწყმის ცრემლის კამარას.

933

სურვეულების სიხალვათე  
გრძნობამ განაპირობა,  
სახიფათო ელის საქმე  
ზემორალურ გმირობას.

934

ვერ შევეწყვე, იმ როლს როცა  
სევდის ბაღში მტირალი,  
ღია ცის ქვეშ ისე ვხონავ  
ვით საკანში ფირალი.

935

მივაღეჭი უცხო წისქვილს  
და შევალე კარები,  
მოვიძიე რამე ფქვილი,  
ბინძურ ქსელში გავები.

936

შარიშურობს ყანის ჭლექი,  
იკლაკნება ხვიარა,  
შეეწონა წვიმის თქეში  
ნათესების იარას.

. . .

937

აივანზე ვარ ერთ სისხამ დილით,  
ხარბად ვისუნთქავ ნოტიო ჰავას,  
კაცი გამოჩნდა, მოდის ტაატით  
იონა არის, ჩასცქერის შარას.

938

ამოიხედა, რომ დამინახა  
სიხარულისგან ეცვალა სახე,  
ვერძნობდი, მეტყოდა რაიმე ახალს,  
საქმიან იერს ღიმილი ამხელს.

939

მითხრა: „სახლიდან რომ არ გაგესწრო,  
მიტომ გეახლე ასე აღრიან,  
როს კაცს სიამის კვართი ჩაეჭრო,  
მისთვის თანდგომა დიდი მადლია.



940

თითქმისდა უკვე სამი თვე ხდება,  
არ შევხვედრივართ, არ გვილაყბია,  
შენ კარგად იცი, როცა რომ გხედავ,  
მიმსუბუქდება ვადადარია.

941

მოგეხსენება, ხუთ წელმა განვლო,  
ომიდან მოველ ფეხათრეული,  
ჩემი არსება ვერაფრით ხარობს,  
განკაცებისთვის ვარ კურთხეული.

942

მოჩვენებითი სიმშვიდე არის  
და საარსებო წყარო არ მიჭირს,  
მაგრამ თავს მესხმის ცდუნების ჯარი,  
რაც წამდაუწუმ საღერღელს მიღრღნის.

943

ბევრი დაგმობის მიუხედავად,  
ვერ დავალწიე ვერასდილებით  
თავი იმ აზრს, რომ ნარგიზას ნახვას  
ვეშურები და ვემაგნიტები.

944

ვერ გამიბედავს თავად რომ ვნახო,  
ვაი თუ ცივად შემხვდეს ხეიბარს,  
ათიოდ წელი გავიდა კაცო –  
არ მომიკითხავს არანაირად.

945

არ მინდა მისი გამინდეს ხილვა –  
ჩემის ნაბიჯით დასანანები,  
რომ არ ჩამაგდოს არარად იმან,  
ვერძნობ, მოსალოდნელ ბოლმას გავყვები.

946

ორი კვირის წინ შემთხვევით შემხვდა  
ჩვენი სოფლელი კაცი – მაუწყა,  
ვსტუმრობდი გუშინ ნარგიზას ჭერს და  
შეძეგებაო იგი ჩაუქად.

947

საბრალო ქვრივსო დიდი ქონება  
დარჩა ქმრისგანო, ღმერთმა მისცესო,  
ფული მასესხა, მარგუნა შვება,  
ნახეო, გული როგორ გიძლებსო.

948

იმ კაცს ჩავკითხე რაც წიო-წიოდ,  
უმნიშვნელოა, თქმადაც არა ღირს,  
მთავარია, რომ რამეს ვეწიო,  
დავიშოშმონო სული საპყარი.

949

ვშფოთავ ამ ოხერ გულის საცდურად,  
ჰოდა მომხედე კიდევ ამჯერად,  
უნდა დამიდგე გვერდში კაცურად,  
აღარა ძალმიძს მეტის გაძლება.

950

უნდა მიხვიდე ჩემს გულის მწველთან,  
უნდა აუწყო, ისე ზოგადად,  
რომ მისი ხილვა სასწაულ შემძრავს,  
რომ უბედური – გრძნობის მონა ვარ.

951

ეს ყოველივე ისე შეფარვით  
და ოსტატურად უნდა დახატო,  
რომ არ იფიქროს ვეძებდე აწი –  
ამქვეყნიური ყოფის ავგაროზს.

952

თუ ღამდებ პატივს და დამთანხმდები,  
შენ უკეთ იცი სად რა უნდა თქვა,  
რადგან უბრალოდ არ ჩაიჭრები,  
თვით ცისარტყელად აქცევ ურაგანს.

953

ჩემთვის იქნება უსაზღვრო მადლი,  
რომ ის ხანდახან თუგინდ ვიხილო,  
თავს უაღრესად კმაყოფილს ჩავთვლი,  
წარსული უნდა გამოვიტირო.

954

თუ ვისიაშე ჩემი ოცნებით  
და ის ჩემდამი არ არს გულგრილი,  
სახელდახელოდ შევიმოსები  
მებრძოლი აზრის მბრწყინავ მუნდირით.

955

დრო და განწყობა მამცმობს შემდეგში  
ჩარხის ახლებურ დატრიალებას,  
უსათუთესი გრძნობის შეძენით  
მოკვდავის სული დაფრთიანდება.

956

გახლისდება შუაგულ მარტივით  
უინტერესო სახეცვლილება,  
სხივებს მომაფრქვევს ანდამატივით  
მწველი ოცნების ადაპტირება.

957

ეხ, სატანჯველი უფრო იქნების  
აუხდენელი სიზმრის გაძლება,  
მაგრამ უხიაგ არას ქმედების  
დარდი საფლავში აღარ ჩამყვება.

958

მთავარია, რომ ჩემს შემართებას,  
რალაც სტიმული აამოძრავებს,  
ცნობიერების გარსის ნათება  
აგულიანებს არსთან მოდავეს.

959

დასაეჭვებელ აზრის განხილვა  
დროებით საზღვრის მიღმა გადავდლოთ,  
კაცს თუ განგება მთლად არ გასწირავს  
შეემზადება იგი საზამთროდ.

960

დღევანდელი დღის მარცვლის ხარისხი  
ხვალინდულობის თავთავს ეტყობა,  
ამ წუთისოფლის ვაზავე ღვითქი,  
მაგრამ კვლავ მიჭირს თავის შეცნობა.

961

რადგან ყოველგვარ ახლებურ ნაბიჯს  
ცვალებადობის დამლა ედება,  
ხან შემართება არაქათს მაცლის,  
ხან კი მაშფოთებს უმოქმედება.“

962

მშფოთვარ ხიზანმა შეწყვიტა სიტყვა,  
ამოიხვნეშა გულსევდიანად,  
მისი თვალების ხშირმა ციმციმმა  
გაუკრიალა გრძნობის ფიალა.

963

მისი შინაგან გულისთქმის ჩამწვდომს  
გამოსაკითხი არარა მქონდა,  
მაგრამ უეცარ განცდათა გამო  
შევფიქრიანდი, დავეჭვდი ოდნავ.

964

შევატყვე ჩემი სახის მიმიკა  
აღვზნებულ სტუმარს არ ეჭაშნიკა,  
გააპირქუშა ბუნდოვან ფიქრმა,  
თითქოსდა მხარზე დააჯდა ჭინკა.

965

ლიძილითა და თან გულიანად  
მას მოვუწონე იმის განზრახვა,  
რომ მან მომავლის პეწი გასანთლა  
და გადაწყვიტა ნარგიზას ნახვა.

966

ყოფილების ორომტრიალში  
მოკვდავი რას არ მოიმოქმედებს,  
ზოგს უვარდება კოვზი ნაცარში,  
ზოგი მისწვდება ფრთებით ევერესტს.

967

ზოგს ჰგონია, რომ ცხოვრების დვრიტა  
თან სდევს პროგრესს და თან სდევს განცხრომას,  
ზოგი მოაქცევს ნაჭუჭში მის თავს  
და აღარ ცდილობს სიახლის ხმობას.

968

ზოგჯერ კაცს მკვეთრად უმძაფრებს ურვას  
ორჭოფულობა და გაორება,  
ის ვერ განაგებს კონტროლის უნარს  
და ემონება გარემოებას.

969

მაცდური ბიძგი როცა იწრთობა,  
წარმმართველ ძალად წარმოისახა,  
რაც ამოდრავებს კაცობრიობას  
და ქვეცნობიერს შეიქმს მისაბაძს.

970

იონა ახლა ისეთ დღეშია,  
თითქოს ბრუნდება უკან ოცი წლით;  
სივრცეს ღრუბელი დაუგეშია,  
მზის სხივი მისთვის ჯერ ვერ მოიცილის.

971

უნდა ვთქვა, რადგან საქმემ ინება,  
ან თანხმობა და ან კი უარი,  
ამ დროს ჭემმარიტ განზომილებას  
დასკვნას ზოგადად უთხზავს გუმანი.

972

და ჰა, როდესაც თამამად ვამცნე,  
რომ მის მოთხოვნას შევასრულებდი,  
ცხრამაგად წელში გასწორდა კაცი  
და შეზრიალდა თითქოს სულეთი.

973

მითხრა: „არ ვიცი როგორ გაუწყო  
უპირველესი სამადლობელი,  
გამორჩეული ყოფის საუფლო  
უანგარობის არის მხმობელი.

974

კმაყოფილების კეთილთვისება  
უზენაესის მაღლით ირთვება,  
უსუსურობის მიჭირს მხილება,  
დაიხატება ცხადი სიზმრებად.

975

გაურკვეველი აზრის წინაშე  
ჭიანურდება მხარის მოღრეკა,  
თუ შეუქცევად ზღუდეს მთარღვევ,  
განზომილების თარგი სწორდება.

976

და მოქმედება განაპირობებს  
საასპარეზო აღფრთოვანებას,  
იმ სახვალთა დღისთვის ვილოცებ,  
რომ განმიმტკიცოს რწმენა სამებად.

977

შეგუებული მარცხის დაძლევა  
გასამარჯვებელ თამაშს ედრება,  
ბედის ღიოფი როცა დაცხრება,  
ის გარდაუვალ ზღვართან ჩერდება.

978

ეჰ, ამ ცხოვრების ჩემეულ განსჯით  
შევეპაექრე თუკი ქიმერას,  
თავს საბოლოოდ იმიტომ დავსჯი,  
რომ გრძნობა აღარ მემორჩილება.

979

იქნება დავტკბე ამქვეყნიური  
ცვალებალობის შერწყმის სიამით,  
გზას გამინათებს სხივი ციური,  
გამომაფხიზლებს შხეფი იაზმის.“



. . .

980

სახის იერის უტყუარ კრედოდ  
დახვეწილობა დაეტყო ხიზანს,  
შემთხვევითობის გავლენის სფერო  
ზოგჯერ უმძიმეს დატვირთვას იტანს.

981

დამემშვიდობა, ოდნავ შემცბარი,  
მადლიერებით აღსავსე კაცი,  
გონებამ განსჯას აუბა მხარი,  
გამოიკვეთა სიცხადე აზრის.

982

გაწყვეტილ სიმის გამოთლიანება  
ვერ ახმიანებს საკრავს ჯეროვნად,  
ნასკვი ცალ მხარეს რომ ექაჩება,  
ველარ ჟღერს ჰანგი კვლავ ჰაეროვნად.

983

მაესტრო არის თავი და თავი,  
განსაზღვრულ ნიხრით დიდ როლს თამაშობს,  
უნდა შემზადდეს დროზე მოკვდავი  
საგაზაფხულო ღრუბლის საავდროდ.

984

იმ ხვალინდელ დღის გემის ქანდარას  
დღევანდელობის ქაჩავს ზამბარა,  
მიწიურობამ გული ჩაღარა,  
მსუნავი გზირი დაძრწის ავთვალად.

985

რასაც რომ ჩაეწვდი და განვიცადე,  
მიჩნეულია რწმენის ტოლფასად,  
კვამლის ღრუბელი აიჭრა ცაზე,  
მზემ გალაქტიკას ჯადო წარსტაცა.

986

ჯადო წამიერ შემწყნარებელი,  
ჯადო სიცოცხლის შენარჩუნების;  
გავხდი ზედმეტად მიმტვევებელი,  
რადგან დიდებას არ ვეშურები.

987

რადგან დავცხრილე ვნების საკირე,  
რადგან ვუკმე გუნდრუკი ურვას,  
თავი იმიტომ უნდა გავწირო,  
რომ მივუშვირო მაშხალა ბურანს.

988

რომ მივაკვლიო იმ შემეცნებას,  
რაიც არ აძლევს რწმენას დასაბამს,  
რასაც რომ ფარდა არ აეხდება,  
კაცობრიობას მარად დატანჯავს.

989

დაღარულია შარა ღვარცოფით,  
მივესამძიმრე მუხას გაპობილს,  
რადგან ვერ ვხედავ სახეს კმაყოფილს,  
არც სათნოების არ ჩანს ნაყოფი.

990

თუ სიტყვიერი შემოქმედების  
ყავლი ჯერ სულმთლად არ გარდასულა,  
მინდა, რომ ჩემი კურცხალი გზნებით  
მიმოვაფრქვიო ირგვლივ ძალუმად.

991

მინდა, რომ წმინდა გონის ფუსფუსი  
მიმოეფინოს ცოდვილ ათასებს,  
შეუბღალავი სიბრძნის შურდული  
შეუვალ ციხის თაღებს გადასწვდეს.

992

თუ არ მოაკლდა ღვთიური მადლი  
ოცნებით ნაკვებ ზეშთაგონებას,  
დაიხვეწება როდესაც მრწამსი  
სული ხორცს აღარ დაემონება.

. . .

993

შემცბარ სიმარტოვეს წავუმღერე,  
სიმწრის გაელვება მესხვაფერა,  
ფოთლის გადაცხრილულ კარუსელზე  
პეპლებს წამწამები დაუსველდათ.

994

ვეპებ არსებობის გამართლებას,  
არ ჩანს სიაგვარგის საგანძური,  
ვებრძვი ყოველდღიურ დამარცხებას,  
ელდის სიძლიერით დავძაბუნდი.

995

რადგან ეს მაცდური მღელვარება  
ისევ მომანატრებს სიმარტოვეს,  
უცხო ანგელოზის შეყვარებას  
ბარე ათწლეულსაც მოვანდომებ.

996

ჯარგვალს როცა ოდა ვამჯობინე,  
ძლივსლა დავიოკე შემართება;  
ბევრი ვერაფერი გვაგრძნობინეს,  
ცისკენ აფრენილმა ხომალდებმა.

997

რადგან ყოველგვარი გამტყუნების  
ალი შინაგანად ანთებულა,  
ღმერთმა გამართლების განჩინების  
ასლი არ განავრცო შეგნებულად.

998

ვცანი სინანულის გაელვება,  
მიწყვივ განვერიდე ტირანიას,  
მაფრთხობს მოჩვენების შეჩვენება,  
ჰიპოტეზა სულის სპირალია.

. . .

999

ვერ ჩამოქნის უგუნური წმინდა სანთელს,  
შორს ვერ წავა მოთარეშე ბეხრეკ რაშით,  
გასაჭირი ვერ წაახდენს მაშინ ქართველს,  
ღირსებას რომ თავის დროზე დავდლოთ ფასი.

1000

მოკვდავთ წინსვლას როს განაგებს უნიჭობა,  
გრძნობის ტალღებს მოსიპული გზა ეთმობა,  
ჭირთა თმენა ხელს უმართავს სულის წრთობას,  
კაცი ბრძენი სხვის სამსახურს ვერ ეწყობა.

1001

სახელდახელოდ რომ შევისხა შევარდნის ფრთები,  
მიუეხლოვდე თუგინდ ვარსკვლავებს,  
რა შეიცვლება – სამარეში მაინც ჩავწვები,  
წარმავალთაგან რა განმასხვავებს?!

1002

ვინ მოაშუშებს ჩემგან გახსნილ სივრცის იარებს,  
თუ განიცადა სიტყვამ ობლობა,  
შავეთის გზაზე გადანახულ განძს ვინ მიაგნებს,  
ქსელი უწყვეტი თუ ქმნა ობობამ!

1003

თუ ყოველივე წარმავალი არის სულერთი,  
მაინც არ ვიცით რისთვისღა ვწვალობთ,  
მიუსაფარი, მიგდებული რჩება სულეთი,  
რომელსაც ზოგჯერ დემონიც სწყალობს.

1004

ღრუბლის ფთილებით დახუნძლული ზეცა გაკერპდა,  
სისხლი ამემღვრა, წნევამ ამიწია,  
ძალაუფლების ცნობიერებაში ღრმად ჩახედვა  
მარცხიან ძალადობის საწყისია.

. . .

1005

ო, ეს აურა არაოდეს არ განქარდება,  
არსაცნაურად ამაბოლებს ზნე უკარება,  
ყოველ ცისმარე ვასაყდრისე თითო კურცხალი,  
გულის ვიწამე, ვისაგ ზლისე წრფელი უსტარი.

1006

ეს თვალის ბინდი, განშტოების ზემოქმედება,  
ბოლომდე ვიცდი, ამ ტბორებში თუ მედგომება,  
თუ სანუკვარი ჩამოკვესავს არგაწბილება,  
სიმწრის ნუგბარი ტლუ ოხრებსაც ეცვარტკბილებად.

## კ ა რ ი მ ე ს ა მ ე

1007

ბოროტების უარმყოფი  
ჯაჭვის ჰერანგს იცვამს,  
მძლავრობს მაცდურ შენამკობი  
უგვირგვინო რისხვა.

1008

წუთიერი აცრემლება  
ვერ აყუჩებს წყენას,  
იშვიათად აფრქვევს შვებას  
ძოლუშული ზენა.

1009

ვით სატანა, ისე თესავს  
სარეველა ცოდვებს,  
ამდენ გვალვის გაჯიქება  
ჯეჯილს დააღონებს.

1010

ველარსადლა გავექეცი  
მოსისინე ბგერებს,  
ღრაკონივით თუ გავცეცხლდი  
რალა შემაჩერებს.

1011

მაშინ ვინ არ გაიგონებს  
შერკინების ექოს...  
შავი ღლისთვის ვზოგავ ღონეს,  
რწმენას უნდა ვენდო.

1012

დამარცხება არ ამცდება  
თვით საკუთარ თავთან,  
ერთხელ მაინც კვლავ გავჭედავ  
ახლებურად ფარ-ხმალს.

1013

თავს ვერ ვალწევ უარყოფის  
უსასტიკეს განცდას,  
საწუთროსგან დასაგმობი  
მახვილი არ ამცდა.

1014

დაჭრილს მიმძიმს ყურის გდება  
უთაებოლო ყიჟინის,  
ტკივილი რომ ჩაყურდება  
გულუბრყვილოდ ვიცინი.

1015

დაჩორიკობს შურთან ერთად  
იჭვის უფრთო ქაოსი,  
აკაკანდნენ, თითქოს ერთხმად  
გელი და ორფეოსი.

1016

როს გამძაფრდა განსაცდელი  
გაიტრუნა ფერია,  
აირია მონასტერი,  
საოცარი ხმებია.



1017

ზენამ ისე მიმოფხრიწა  
კოსმიური ქარია,  
ვაი, თუ ამ ცოდვილ მიწას  
სენმა ხელი დარია!

1018

სასიკეთო შემართება  
ასამარებს ხვართქლას,  
თაკარა მზის ელვარება  
დააჩქარებს დაღლას.

1019

ბრმა თამაშით უხილავი  
იხლართება ქსელი,  
ცოდვა-მადლის ფრთები იწვის,  
მესია ვერ შველის.

1020

მიწიერთა დასაქმების  
მოციქული ფლიდობს,  
მოვხსნათ სარკმელს დარაბები,  
ბრბოში გავითქვიფოთ.

1021

აციმციმებს ნუკრი თვალებს,  
წერო წყალზე დახრილა,  
შეაჭრელა არემარე  
მოლჟღაჟე აპრილმა.

1022

აუარა გვერდი რემამ  
ჭაობების სანახებს,  
მხედრიონის შლეგ აღრევას  
დროის ჩარხი განაგებს.

1023

ოი, რამდენ აუგს ამხელს  
გამორჩენის წუთები,  
წუთისოფლის სივაგლახე  
არ დარჩება უთქმელი.

1024

გამოჩნდება თეთრი ნიმიფა,  
მადლს დააფრქვევს ტრამალებს  
და მოკვდავი წმინდა ჭიდან  
ამოხაპავს საწადელს.

1025

ღრუბლიანი ღამის წყვდიადს  
მთვარე ვერ ხსნის ფარდებად,  
ძილგამკრთალი ველი დიად  
ფერთა ათინათებას.

1026

მზესუმზირის მაწუნარას  
ნამგლის წვერი ედება,  
უტიფარი კელაპტარა  
დილის ცვარს ღვრის ცრემლებად.

. . .

1027

აღმაშენებლის ხუთის მიჯნაზე  
კარი ფერმკრთალმა მღვდრმა გამიღო,  
ნარგიზას ნახვა მინდათქო ვამცნე,  
მითხრა, რომ სახლში ჯერ არ არისო.

1028

დაელოდეთ, მოვაო მალე,  
თვალი შევაველე სასტუმრო დარბაზს,  
მდიდრულად მორთულ ვრცელ არემარეს  
ბნელ სიმყუდროვის ელფერი დაჰკრავს.

1029

სამხრეებიან კაცის სურათი  
თითქოსდა მწყრალად მიმზერს კედლიდან,  
ღურმიშხანია, ვიგრძნე გუმანით,  
საბრალოს შვილიც კი არ ეღირსა.

1030

ათიოდ წუთი გავიდა, მართლაც  
შემოაბიჯა ოთახში ქალმა,  
მას ტანზე შავი ემოსა კაბა,  
სახე შეუკრთო ღვთაებრივ ალმა.

1031

შეუკრთო მიტო, რომ დაჩვეული  
არ იყო ალბათ უცხოს სტუმრობას,  
მომესალმა და ჟესტით გრძნეულით  
მცისვე დასძლია უხერხულობა.

1032

მარტოობას და სიმრავლეს წელთა  
ვერ დაუკლია მისთვის ბევრი რამ,  
თითქოს მზის სხივის სილუეტს კვეთდა,  
მომაჯადოებს ჰგავდა ფერიას.

1033

მოვუბოდიშე კრძალვის მეობით,  
რომ ვესტუმრე და რომ შევაწუხე,  
ვუთხარი: „თქვენი სიყრმის მეგობრის  
გარშემო ცოტას წავისაუბრებთ.

1034

დიდი ხანია, არ შეგხვედრიათ  
ჯაყელი, თქვენი თანაკლასელი,  
ვერ დაგივიწყათ, რჩეულთ ხვედრია,  
არ მოკლებია მას სატანჯველი.

1035

იცით, მშობლები დაკარგა ადრე,  
დარჩა ეული, მიუსაფარი,  
ერკინებოდა ის ყოფით დარდებს,  
ვერ გაინათა წინსვლის ლამპარი.

1036

შეეხიზნა რა მდინარის ნაპირს,  
ამქვეყნიური ცღუნების მიღმა,  
თავს განწირულად არამც და არ თვლის,  
სიკვდილის მხმობი მის მემობლად იქცა.

1037

ვით ცხონებული მეუღლე თქვენი  
ისიც იბრძოდა იმ ომში მაშინ,  
სადაც დაჰკარგა მარჯვენა ფეხი  
და გაათკეცდა ვარამი კაცის.

1038

ბოლო ღროს ვამჩნევ, თქვენთან შეხვედრის  
სურვილი თითქმის აღარ ასვენებს,  
ჯადოსნურია ჟამთასვლის კვერთხი,  
ძველს გაანახლებს, ახალს აძველებს.

1039

გთხოვთ მომიტევეთ, ასე თამამად  
და გულახდილად რომ ვამბობ სათქმელს;  
სატანის დასის ფარსი ჩაფლავდა  
და დაებრიცათ მაცდურებს სახე.

1040

ქვეცნობიერად ზიზანის ვნება  
შეპყრობილია იმგვარი განცდით,  
რომ თქვენი ხილვა მოუვლენს შვებას  
და მიეცემა მის ყოფას აზრი.

1041

ჩემი აქ მოსვლის მიზეზის არსი  
არის სიკეთის დანიშნულება,  
საბედნიეროდ ღვთიური მრწამსი  
გასავრცელებლიდ კვლავ იმუხტება.

1042

საოცნებოს და საჭირბოროტოს  
რა გამოუღვეს ადამის მოდემას,  
წამხედურობის ძალა ბობოქრობს,  
იშვიათია საცდურის გმობა.

1043

თუ სათნოება თავისთავადობს  
უახლოვდება ჭეშმარიტებას;  
დემონი არჩევს ღრებელს საავდროს,  
განსასჯელს უმძიმს თავის მხილება.

1044

განუსაზღვრელი ყოფითი მადლი  
დანაკარგს ძნელად ინაზღაურებს,  
კაცი უმწეოდ თავს თუ არ ჩათვლის,  
უნდა განავრცოს სული საუნჯედ.“

. . .

1045

წარმოსახვათა მრავალფერებით  
ნარგიზას ფიქრის მწაღდა შეცნობა,  
ის ღრმად ჩაეფლო მოგონებებში,  
გონის წიაღი წარსულს ეთმობა.

1046

მას უკვე გამჩნევ, რომ შინაგანად  
აფორიაქდა მრავლისმეტყველად,  
როს წამოვდექი მითხრა ალაღად:  
„გულწრფელად ცდილობთ მოყვასის შველას.

1047

მადლობას გიხდით აქ რომ მობრძნდით  
და უერთგულეთ ჩემს ძველ მეგობარს,  
არარად მიღირს აწი მყოფადი,  
გული შემთხვევას ძნელად ენდობა.

1048

მწამს მიმიხვდებით, კონკრეტულ რამეს  
მე დღესდღეობით, რომ ვერ გაუწყებთ,  
იმედი არის ნდობით აღსავსე,  
ხიზანი ვარამს კიდევ გაუძლებს.

1049

სულსწრაფობითა და ამნატებით  
ჩაიფერებება კაცი ადვილად,  
უფლისმიერი წმინდა ვედრებით  
მადლი ჭაობის ლაფსაც გაწმინდავს.“

. . .

1050

დამემშვიდობა ტურფა ღიაცი,  
ლანდად გამომყვა იმედის სხივი;  
ხალხმრავალ ქუჩის გნიას-გნიასი  
მიორკეცებდა ყურების წივილს.

1051

ქვეცნობიერად ვგრძნობდი, ჩემს ნაბიჯს  
შედეგიანი რამ მოჰყვებოდა,  
თავს ვაჯერებდი და თან ვღელავდი,  
ცარგვალზე ვარდი იხატებოდა.

1052

ემმას საუფლო, ჩანდა დღედადღე  
ქაოსის ბულით ველარ მხნეობდა;  
მოკვდავს განწყობას გაუსპეტაკებს  
ღვთივკურთხეული სულის ზეობა.

1053

იმღლესვე ხიზანს გამოვუარე,  
მელოდა იგი გულგასენილი,  
დამინახა და ეცვალა სახე,  
კრძალვით დახურა საღვთო წერილი.

1054

ვაუწყე: „ძმაო, ნაღდად საბაბი  
გქონია ხშირად დამწუხრებისა,  
მართლაცდა ბრწყინავს შენი სარანგი,  
ღირსია მარად უხვ შექებისა.

1055

სულ მალე, შენი ბედის ვარსკვლავი  
სხივებს მოაფენს მოკირწყლულ შარას,  
გეყო ამდენი დარდი მჭვალავი,  
მთაშავის სერზე გარეკავ ფარას.“

1056

მითხრა: „მიაბე უფრო გახსნილად,  
თუ მეღირსება მე მისი ხილვა,  
იქნებდა მართლაც მიმიღოს თბილად,  
იქნებ ვიგემო წყალობა ციდან.“



1057

ვამცნე: „ასეა, მგონია ცხადად,  
რომ იგი თავად მოგინახულებს,  
დაჯერებულად შემოგითვალა,  
რომ დაიჭიო გული საგულეს.

1058

თუ ვერ მოითმენ და ეახლები,  
მიგიღებს მშვიდად, როგორც ახლობელს,  
მაგრამ სჯობია თავშეკავებით,  
დედაკაცს მამრი რომ არ ჩამორჩეს.

1059

ჩემი ასეთი ვარაუდები  
მისი მოქცევის არის სახება,  
იმის მზერაში ჩანდა ულევო  
შენდამი გრძნობის გამოვლინება.

1060

ასე რომ გირჩევ, მშვიდად იყავი  
და დაელოდე ღვთიურ განთიადს,  
ხილულ სამოთხის მყიფე ფიქალი  
ღროს საგანგებოდ გაუწაღდია.“

1061

ეამა ხიზანს რაც რომ ვუთხარი  
და თან მხურვალედ გადამეხვია,  
ჩამოუგორდა ღაწვზე კურცხალი,  
აუციმციმდა თვალი ღღემზიანს.

1062

თქვა: „თუ ასრულდა ეს ყოველივე,  
მაშინ ხელახლა დავიბადები,  
გარდაიქმნება სივრცის კარიბჭე,  
ცის კაბადონის აფრას ავწვდები.“

1063

დავიშოშმინებ ხეიბარ სხეულს,  
გასათუთდება სუნთქვის სიამე,  
ავედევნები სასურველ რჩეულს,  
ეშმა თვალს ველარ ამომიღამებს.

1064

იქნებ შევეწყო ნატიფ ნარგიზას  
და სიახლოვის მაღლი მარგუნოს,  
თუ მისი გული მთლად არ გაცვივდა,  
იგი სასწაულს გახდის სარწმუნოს.

1065

თუ დაგვირგვინდა იმგვარად საქმე,  
ვით გავიაზრე და როგორც მინდა,  
სამარადისო ლოცვას აღვაკლენ,  
უფლისძიერი აღდგომის მიმართ.“

1066

უიშვიათეს რწმენის შეგრძნება  
სჭვალავს იონას მდინარის პირას,  
მოკვდავს შეგნება ჰმატებს შეძლებას,  
კოშკის სილუეტს ალვის ხე ჩრდილავს.

1067

დანატრულია კაცი სიხარულს,  
ათრთოლებია გულის სიმები;  
არწივი შეწვდა ზეცის იარუსს  
და უსახსოვრა ნიმფას იები.

1068

ღრუბელმა მოსრა ნისლის ბაფთები,  
თვალი ჩაუკრა ელვის ნაპერწკალს,  
მომავლის თეთრი ბაირალები  
წარსულის ლანდმა ბრჭყალით გაკენწლა.

. . .

1069

რადგან შთაგონებამ მწვერვალს მიაღწია,  
რადგან ვეუფლები ღვთიურ შემეცნებას,  
რადგან სიყვარული სუნთქვად მიმაჩნია,  
მრწამსი არასოდეს აღარ შემეცვლება.

1070

რადგან სიცოცხლესთან ვრჩები წილნაყარი,  
რადგან ბოროტება ვეღარ მანადგურებს,  
რადგან თვალწინ ღვანან დიდი წინაპარნი,  
რადგან შემოქმედთან მარად ვიმსახურებ.

1071

რადგან უსასრულო სივრცეს ვეუფლებით,  
წალკოტს გავაშენებთ ქვეყნის კიდით-კიდე,  
აღარ შეგვაწუხებს გმინვა შეუძლებლის,  
რადგან ძმობის დროშას ცაზე ჩამოვკიდებთ.

1072

რადგან არ იქნება ტაბუდადებული  
კაშკაშა მომავლის მრავალფეროვნება,  
მაშინ ზენაარის მიერ ბოძებული  
მრწამსი ასულდგმულებს ყველა ეროვნებას.

. . .

1073

როგორც ვერთერი, ვნებით გართული  
შევუერთდები აისის ნიავს,  
ცრემლი შეერწყა სპეტაკ სასთუმლის  
ყელმოღერებულ ნაზ იდილიას.

1074

ვეძებ სიყვარულს ბუნების მაყარს,  
იასამანმა დაძაბა სმენა,  
სიმი აკვნესდა, ელვამ დაკვესა,  
სულს ღვთაებრივი სურს აღმაფრენა.

1075

ნაპირს მოაწყდა ზვავის ნამქერი,  
შიშს მგვრის დამღლელი ტალღა და ჩქერი,  
მუხლებს ბანს ქარაფს შლეგი ჩანჩქერი,  
ნავი დავაბი, ტრამალს გავცქერი.

1076

ვლოცულობ, ჯეჯილი ბიბინებს,  
მივდივარ ლასლასით,  
დამღალა სათქმელის სიმძიმემ,  
ღუმილთან დავზავდი.

1077

ვხედავ, რომ ვარვარებს ლაჟვარდი,  
მეტეორს თავს ვუხრი,  
ვკანკალებ, მუხლებზე დავვარდი,  
დააცხრა ჟამს მწუხრი.

1078

რატომღაც ცხადად ვგრძნობ, სულ ახლოს  
ურჩხული ბინადრობს,  
ჯანდაბას, ღვთის რისხვამ დალაზვროს,  
მწადია მივაგნო.

1079

განწირულს ვიხსენებ, რომელსაც  
მოჰკვეთეს მარჯვენა,  
– შეჩერდი, ძალზე ყრუდ მომესმა  
და მეხი ვარდება.

1080

ბილიკის დასასრულს ვიხილე  
სულს დაფავს ავსული,  
ტანჯული ცხოვრების სიმკვირცხლე  
სხივია წარსულის.

. . .

1081

ცის ტალავრის ქვეშ კარავი,  
რომ აიშენა ბრძენმა,  
გაითავისა მზარავი  
ამქვეყნიური გვემა.

1082

იწყო ცთომილთა ნაქნარ –  
ნაცოდვილარის ხატვა  
და ფერთა ნარნარ ნაზავს  
ქაოსში ნიავს ატანს.

1083

ო, რარიგ შესაბრალია  
უძლეველობის მნდომი,  
კედელზე მცოცავ კალიას  
ობობა თვალთ წონის.

1084

ოდესმე თუკი მართლდება  
ესქატოლოგის აზრები,  
რა საშინელი იქნება  
ფინიში ცაში ასწრების.

1085

რა საოცარი იქნება  
რევა ზღვისა და ხმელეთის,  
კაცი ღვთივ ჩაესვენება  
ზეაპყრობილი ხელებით.

1086

დამუნჯებულ ხევის მიღმა  
ჭყავის ყვავის ბახალა,  
მწირი ყოფნის დაგესლილმა  
სივავლახემ დაღალა.

1087

ვერ განუდგა მაცდურ კერებს,  
სულს ვერ უნთო სანთელი,  
ეჰ, ამდენი ცოდვის მერე  
ვით განქარვოს ნალველი!

1088

თუ სიცოცხლის მოძულება  
ასპეტაკებს ყოფით არსს,  
სიკვდილის გადამღერება  
უკვდავება ყოფილა.

1089

თავთაუნაყარ ყანაში  
სარეველა ბიბინებს,  
საკლავს ვიძენ და ნადი  
ხვალისთვის დავიპირე.

1090

ამ სამყაროს უძირო ზღვას  
არ სჩვევია დაშრობა,  
წუთისოფლის ნათელხილვამ  
ცაში უფროთოდ დამტოვა.

1091

ძალას ვიკრებ, რომ გავუძლო  
გაწბილების სატკვარს,  
შევემზადე სამარტვილოდ,  
რეტლასხმული დავდივარ.

1092

ავდრობედით ცდომას ვარქმევ  
ძალდანატან წილისყრას,  
თაობებმა ვერ მიაგნეს  
საარაკო თილისმას.

1093

დამკვიდრებულ შიშით კრთომას  
ვერ მივაწერთ ღვთის რისხვას,  
კოსმიური სიოს ქროლვა  
შეიფერა თბილისმა.

1094

ღრღნის იონჯას გულის ფიცარს  
უსახური აბრეშუმა,  
დამშეული ანცი კვიცი  
სათიბისკენ გაეშურა.

1095

როგორ დაობლდა ძველი შიში  
კენტად დარჩენის,  
ბირკავას ქირქილს მუხის შრდილში  
ვერც კი ვამჩნევდი.

1096

შეჩვენებული ავსულები  
მარტო როდია,  
გამოქვაბულში ღამურები  
მიდი-მოდიან.



1097

ტრამალს ნაადრევ შემოდგომის  
ფერი ეღება,  
კერ ზეობს ელდით შენაკრობი  
ცნობიერება.

1098

პირი შეუკრავს განგებასთან  
გვალვას მგონია,  
დათვის წუხელ ხარი ნალიასთან  
დაუტორია.

1099

წამოვიმართე ვით მოჩვენება  
წაშლილ საზღვრიდან,  
უსულგულობის მავნე სნება  
საყრდენს მაცლიდა.

1100

რატომღაც ბოლოს კერ ვიწამებ  
უებრო ბედის  
და მზამზარეულ მცდარ სიამეს  
გავუნაწყენდი.

1101

უნამსი ჭერი მართლაც დროზე  
დასანგრევია,  
ძირძველ ჯარგვალში ამაბოდებს  
ტლუ მისტერია.

1102

ახალი ფერი ასაკლისა  
ფუნჯმა ქაოსებს,  
უცხო მტრედებმა მზის ჩასვლისას  
ფუძე დალოცეს.

1103

ქვეცნობიერად აფიქსირებს  
დაისი სათქმელს,  
კაცობრიობა ვერ ივიწყებს  
იესოს სახეს.

1104

ეჰ, ჩამეძინა, სილუეტმა  
იცვალა ფერი,  
ღამე მეტკინა, იმუშებდა  
იარას მგელი.

1105

თითქოს ჩამესმა, საწინსვლო  
გამოძახილი,  
იქნებ ოდესღაც ვაჯილდაო  
პეწი მანდილის.

1106

როცა სათქმელის განშტოება  
ასე ძნელია,  
ფიქრით დაღლილი ნება-ნება  
ვსტუმრობ ლელთანს.

## კ ა რ ი მ ე ო თ ხ ე

1107

მარადისობის ისმის ხარხარი,  
ჯერ არაფერი არ ჩანს ახალი,  
არა ჩანს აზრი სათაყვანები,  
დანატრულია ნადურს ყანები.

1108

დაბლილულია რადგან სახლ-კარი,  
უნდა ვეძიო სულ სხვა სახსარი.  
გარემო ასცრა დილის ნიაჰმა,  
მტვერმა შეავსო ფოთლის იარა.

1109

მერცხლების ჭიკჭიკს ხმა შევაწონე,  
ცხარობს ბულბული ამის გამგონე;  
შენიღბულია სივრცის საუნჯე,  
ჩავკიდე ხელი ვერხვის კარუსელს.

1110

ვერ გავექეცი მაშინ ცდუნებას,  
როცა ის ვარამს ესალბუნება,  
რატომღაც მაინც ველტვი იმ წუთებს,  
სულს რომ მინათებს, გულს რომ მიწუნებს.

1111

იმ სამყაროში ხდება გადასვლა,  
იდუმალებას მზე რომ გადაჰკრავს,  
განსაცვიფრებელ ენამზეობას  
საყოველთაო უხმობს ზეობა.

1112

ოდესმე მარგებს მე ის გამოცდა,  
თუ შესაშური რამე წამომცდა,  
ვიცი, სრულყოფა არ მეღირსება,  
რადგან ნამგლები ვსახე ისრებად.

1113

შური შფოფია ნაკლისა გამო,  
ამიტალახდა ზიარი კალო,  
დილით მებაჟე კარზე მომადგა,  
საჩქაროდ ვუხმობ ზვარში მონაგარს.

1114

ოჯახი ეს ის ქარტეხილია  
პირადობა რომ დასეტყვილია;  
დაუღევრობა ღრღნის სიჩაუქეს,  
გული ვნებების თასმებს აუშვებს.

1115

საქმენი ისე ველარ წარვმართე,  
რომ არ შევთხოვო რამე წარმართებს,  
რადგან კერპები აღარ მასვენებს,  
მყარი საყრდენი არ აქვს საშენებს.

1116

რადგან სიმართლე ლაფში გასვრილა,  
ნაადრევია თავის განწირვა;  
უნდა ვეცადო სულით ხორცამდე,  
ავის ხელქვევით რომ არ ვხონხავდე.

. . .

1117

ფოსტალიონი მესტუმრა იმ დღეს  
და მოსაწვევი მომცა ბარათი,  
აღმაშენებლის ხუთში ქორწილზე  
მიწვეული ვარ მთელი ჯალაბით.

1118

იონამ შესვა ვნების ზღვაური,  
ფრთები შეასხა ნანატრ საწადელს,  
სათნოების და შვების აღმური  
გაასულგრძელებს და გაალალებს.

1119

მის ყოფას აღარ დაემუქრება  
სიდუხჭირე და ხვედრი ნიზანის,  
ეჰ, მაგრამ ზოგჯერ ბედნიერებას  
ვერ მოგვანიჭებს სრულქმნა მიზანის.

1120

ეს წყვილი მართლაც სამაგალითო  
იქნება ხვედრთა სიმძაფრის გამო,  
ღვთიური მაღლით უნდა აღივსონ,  
მათმა ღრუბლებმაც უნდა იდარონ.

1121

და საუცხოვო შეხმატკბილებით  
მოხერხებულად გასწევენ ჭაპანს;  
ცას მეწამული ედება ფერი,  
ბრმა გულიანად აჟღერებს არღანს.

1122

კარგა ხანია აღარ ვყოფილვარ  
საინტერესო ლხინის სუფრაზე,  
უკვე მზადა ვარ, უკვე მივდივარ,  
ქარი თანდათან ზუზუნს უმატებს.

1123

დათქმულზე ადრე მომიხდა მისვლა,  
მიმიხაროდა გულით რადგანაც,  
მივულოცე და ვუსურვე წინსვლა  
დაფრთიანებულ სიძე-პატარძალს.

1124

იონამ უთხრა ჩემზე მეუღლეს:  
„ამისგან შემძრია სული გატანჯულს,  
ნეტავი ასე ვინ მიერთგულებს,  
შეწევნით ვიმკით ყოფით გაზაფხულს.“

1125

და ეს იქნება ჩვენი ოჯახის  
უპირველესი უახლოესი,  
დაე, უფალმა ამკოს მყოფადი,  
გვამცნოს, გვასმინოს სუნთქვა შორეთის.“

1126

ანაზდეულად თავი დავხარე,  
სიმორცხვე წამით წამომეპარა,  
ვთქვი – არვინ ვარ თქო, ვიცით ყველაფერს,  
უზენაესის განაგებს ძალა!

1127

სტუმრებმა მოსვლა დროულად იწყეს,  
თავს იტვირთავდნენ კეკლუცი სარჯით,  
გამაცნეს ნუგზარ სავარგელიძე,  
თავის მეუღლით და ორი ვაჟით.

1128

არ აკლდა სუფრას ალბათ ჩიტის რძეც,  
ორმოციოდე ვიჯექით კაცი,  
ბრწყინავს ნარგიზა, ვით სავსე მთვარე,  
თამადა ითხოვს ჯიხვის რქის სასმისს.

1129

მოართვეს ნუგზარს ყანწი როს ზორბა,  
წამოდგა იგი სახენათელი,  
თქვა: „გაუძარჯოს სიძე-დედოფალს,  
იყვნენ დღეგრძელნი, იყვნენ ჯანმრთელნი.

1130

და მომავალი მათი ცხოვრება  
შეივსონ ერთუერთ სრულყოფილებით,  
გაბადრულია ბედის ცხონება,  
შემოჯარულან ირგვლივ მთიები.“

1131

ყველამ დავლოცეთ აღფრთოვანებით  
დამორცხვებულად მდგომარე წყვილი,  
ზოგმა თითქოსდა დითირამბებიც  
კი მიაყოლეს შინაგან ქირქილს.

1132

სამ სადღეგრძელოს შემდეგ თამადამ  
კვლავ მოისურვა იგივე ყანწი,  
მას წუთით თვალი აუწყლიანდა  
და ჩააჩერდა პირსავსე სასმისს.

1133

ამოიხვნეშა, მძიმედ გვაუწყა:  
„ახლა ხსოვნისა შევსვათ ჩემი ძმის,  
სამარადისო დიდება ვუთხრათ,  
უიმისობას მძაფრად განვიცდით.

1134

ეჰ, ღურმიშხანი იყო ისეთი,  
უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა,  
უკუღმართია ყოფითი ჟეთქი,  
სიცოცხლე სიკვდილს მიტო დანებდა.

1135

რიჟრაჟს განუდგა იუპიტერი,  
ბებერ ქარაფებს მოელო ხავსი,  
მოგონებებში ჩავიწრიტებით,  
ღმერთი სულია უმწიკვლო მრწამსის.“

1136

ამ სასმისმა და თქმულმა სიტყვებმა  
წუთით შეცვალა სუფრის განწყობა,  
მაგრამ სულ მალე ლხინის დინებამ  
სიმხიარულე დაამწყალობა.



1137

სიძე ბატონმა შუა ქეიფში  
სადღეგრძელოს თქმა სთხოვა თამადას,  
წამოდგა, თასი აიღო ხელში,  
მიმოიხედა და განაცხადა:

1138

„ზედაშით სავსე თიხის ფიალით  
უნდა დავლოცო კაცი კაცური,  
ის განირჩევა ბედის ტრიალით,  
მას ვერ ამჩატებს ვნება მაცლური.

1139

მას ამუხრუჭებს ნიჭი გრძნეული,  
მედიდურობის გვირგვინს არ ეძებს,  
შორიდან უმზერს გარინდებული  
მედროვეების მრუდე განედებს.

1140

სიკეთის მარცვალს თესავს გარშემო,  
კმაყოფილდება თავად მცირედით,  
მან მომავალი უნდა აშენოს,  
მას შეიყვარებს ხალხი მილეთის.

1141

ეჰ, მაგრამ ბევრჯერ წაიფორხილებს  
და ესტუმრება მელანქოლია,  
ის მაინც დასწყვეტს ბოლოს ბორკილებს,  
დაემსგავსება სულით გოლიათს.

1142

შეტრიალდება ჟამი ტიალი,  
ავაბრღვევით ბნელეთს ნათურით,  
ზედაშით სავსე ძველი ფიალით  
უნდა დავლოცო კაცი კაცური.“

1143

სუფრის წევრებზე იონას თქმულმა  
კი მოახდინა შთაბეჭდილება,  
რადგან მსმენელნი განეწყვნენ უბრად,  
შეხმიანება არვინ ინება.

1144

ჩემს ახლოს ისხდნენ ვაჟნი ნუგზარის,  
ერთი რომელიც უმცროსი ჩანდა,  
იყურებოდა ვითარცა მწყრალი,  
სასმელს მალ-მალე უაზროდ სვამდა.

1145

იმას სახელად გენადი ერქვა,  
თვრამეტიოდე წლის იქნებოდა;  
შეთვრნენ და ხმაურს უმატეს ერთხმად,  
ბახუსის ხვითო არა ცხრებოდა.

1146

წამოდგა უცებ ეს ყმაწვილი და  
მხიარულ სიძეს გასძახა გეზად:  
„შენ სათევზაოდ როდის წაგვიყვან,  
მინდა, რომ ბაღე გავაბათ ერთად.

1147

საინტერესო კია ჯიგარო  
აქეთ რომელმა ვარსკვლავმა გტყორცნა,  
ჩემს თვალში ნაღდად გაგხარ ფიგაროს,  
აწი კი ალბათ აღავლენ ლოცვას.“

1148

არ აჩერებდა არავინ რადგან,  
ვუთხარ: „ჭირიძე ნუ ღელავთ, მშვიდათ,  
ზომაზე მეტი დალიეთ ალბათ,  
თქვენგან უხეში სიტყვები სცვივა.“

1149

ეს რა ისმინა შეძახა მწყრალად:  
„ვის დაეკარგე, ენა ჩაიგდე,  
თორემ ამ ჩემი მუსკულის ძალას  
ყბამინგრეული მალე გაიგებ!“

1150

თამადამ მყისვე შეკრა წარბები,  
დაუცაცხანა – შვილო გაჩერდი...  
გენაღს მისმა ძმამ ჩასჭიდა ხელი  
და გაიყვანა გვერდზე თავხედი.

1151

მოიბოდიშა ნუგზარის ცოლმა,  
უგანაჩენოდ დათვრაო ბავშვი;  
სიძეს გავხედე, მას სიმწრის ოფლმა  
დაასხა, ურვამ გაკენწლა თავში.

1152

სულ მალე ისევ სიყრიამულემ  
და ღვინის ეშხმა დაისადგურა,  
ქართული სუფრის ნაცად სირთულეს  
ფხიზელი თვალი უთხზავს სამღურავს.

1153

შეთვრა ბევრი და წავიდა ზოგი,  
მეც წამოვდექი, იქ მყოფთ მივმართე:  
„უნდა დაგტოვოთ, დრო არის მგონი,  
კარგად მენახეთ, და გაიხარეთ!“

1154

თამადამ მითხრა: „როგორაც ვიცი,  
გარეუბანში ცხოვრობთ კეთილო,  
რადგან ტრანსპორტი აქ არა გიცდის,  
ტაქსი რატომღა უნდა ეძიოთ.

1155

სულ მალე შევსვამ აწ ყოვლაწმინდას,  
ჩვენი მანქანით მიგიყვანთ სახლში,  
ერთადერთი ხაროთ თქვენ სიძის მხრიდან,  
პატივი უნდა მოგაგოთ აწი!“

1156

უარი ვერ ვკადრე რამე მიზეზით  
და მერსედესში მოვიკალათე,  
სალონში სამი კაცი ვისხედით,  
საჭეს მართავდა მძღოლი მანასე.

1157

წვიმა დაიწყო რადგან ანაზღად,  
მანქანა ნელა მისრიალებდა,  
ნუგზარი ჩემსკენ შემოტრიალდა,  
მითხრა: „აუგი გკადრა თავხედმა.

1158

განსაკუთრებით მას ღურმიშხანი  
უყვარდა, რადგან ხუთიოდ წლიდან,  
მასთან რჩებოდა ის კარგახანი,  
ნარგიზაც ვით შვილს ისე უვლიდა.

1159

ნაღდად ვერავის წარმოგვედგინა,  
ჩემი რძალი თუ გათხოვდებოდა,  
მაგრამ რადგანაც ეს გადაწყვიტა,  
მას წინ აბა ვინ აღუდგებოდა.

1160

არ ჩავერიეთ მიტო არავინ  
მისი განზრახვის განსაქარწყლებლად,  
ჩემი ძმის მიერ დანატოვარი  
შვილიშვილებსას უხვად გასწვდებათ.

1161

ველარ მოზომა ბალანამ მთვრალმა,  
მწყრალად შეხედა ბიძის მაგიერს,  
იგი მას თვლიდა მეორე მამად,  
ეჰ, მეც ზომაზე მეტი დავლიე.

1162

თქვენ შეგნებული კაცი ხართ გატყობ  
და გულში აუგს არა ჩაიღებ,  
იქნებ სიძესაც აუხსნა კარგო,  
რომ გადალახოს წყენის კარიბჭე.“

1163

მიუუგე: „ღიახ, მსგავსი ამბები  
რადგან ამქვეყნად მრავალჯერ ხდება,  
არ უნდა იშვას მუხტი თანმდევი  
ურთიერთობად და შეჩვენებად.

1164

მარად ვიყავი და კვლავ ვიქნები  
თანაგრძნობის და თანხმობის მომხრე,  
კურთხეულია, ვინც რომ თვითგვემით  
შეაბერდება უხიაგ სოფელს.“

1165

გამოჩნდა ჩემი თავშესაფარი,  
ვემშვიდობები მადლობით ნუგზარს,  
მიმოვსებულა ფოთლით წინკარი,  
ქარი წივის და ყვავილებს სუსხავს.

1166

არ მწამს წყალობა აღზევებულის,  
აკვალანებს გრძნობები ცოდვებს,  
ხშირად ვყოფილვარ გაოგნებული  
მონად ქცეული კი არასოდეს.

1167

ველარ ვივიწყებ წარსულის ბრჭყალებს  
ცრემლნათხევი და დაოსებული,  
ოცნება უბრად აცეცებს თვალებს,  
ციმ-ციმ მომძლავრდა ღრუბელთ კრებული.

1168

რადგან ამ თახსირ დღევანდელობას  
ვერ გავეუსწორე თვალი ადვილად,  
ეს მიწიური უსაშველობა  
დაუძლეველობის ფარგლებს გასცილდა.

1169

არ ავედევნე სატანის ქროლვას,  
არ მინატრია დაფნის გვირგვინი,  
ძნელად დაძრული ძნელადვე მოვა,  
მომავლის სხივი ცალყბად მიცინის.

1170

მლიქვნელი არის ტლუ გაიძვერა,  
ადვილად არ ყრის აროდეს ფარხმალს;  
გრძნობამ რაღაც თუ ამოიჩემა,  
ზოგჯერ თანდგომის შეგრძნებას კარგავს.

1171

რაც უფრო ღრმაა მეხსიერება  
და წარმოსახვის განსჯის უნარი,  
გამოცდილების ურყევი ნება  
რჩება მყარი და გაუხუნარი.

1172

რაც უფრო მხიბლავს სიმრავლე ფერთა,  
მიადვილდება სიახლის ძერწვა,  
რაც უფრო ახლოს მივდივარ ღმერთთან,  
ნაბიჯს თამამად ვერა და ვერ ვდგამ.

1173

კაცი სიმდიდრის რომ იწყებს ათვლას,  
ცდუნების გზაზე დგება კიდევაც,  
წამხედურობის ფარგლებს თუ გასცდა,  
მიუღწეველის ცდილობს მიღწევას.

1174

მაგრამ როგორც კი წაიფორხილებს  
და იგრძნობს წინსვლის უშედეგობას,  
თავს მაშინ ძნელად დაიმორჩილებს  
და ზურგს შეაქცევს თანხვედრ ყბელობას.

1175

მას არად უღირს ყალბი ხარისხი,  
უკან დახევაც ერთიერება  
და შინაგანად მწვავედ განიცდის  
თვითნებურობის იმიტირებას.

1176

აშინებს რადგან შიში სიკვდილის,  
არ დააჩქარებს ბრძოლის დაწყებას,  
მისასჯელს მართლაც სჯობნის მისჯილი,  
ჯიუტის ქნარი თრთის უკარებად.



1177

როცა ხელს აძლევს ძალმომრეობას  
განუკითხავი აყალ-მაყალი,  
დაძლეულია მასის მხნეობა  
გაყურსულია ზეცის თავანი.

1178

როცა თვალთმაქცი ავაზაკები  
მოერგებიან საჭის სახელურს,  
მიეხურება საყდარს კარები  
და გადალექავს დელგმა საცეცხლურს.

1179

როცა ატყევეებს ბრბოს გამიზნული  
მოჩვენებითი წესრიგის ნიბლი,  
არ დააყოვნებს ძილისპირული,  
მისანი ახალ ცდომილებს ითვლის.

1180

ტანჯულ სახეებს აბა რა დალევს,  
ზოგი თვის ყოფას ბუნდოვნად აღწერს,  
ახლა კი დროა მივხედო საქმეს,  
რამეთუ სისხლი ამოჰყვა ნახველს.

1181

მძიმედ მივდევი თავი ბალიშზე,  
ვწრიალებ, რადგან არ ჩამეძინა,  
უკმაყოფილო გრძნობით ავივსე,  
სულს უჩინარი ტვირთი ემძიმა.

. . .

1182

გაუშრა ნერწყვი გაშეშებულ,  
თაჳჩარგულ ეშმას,  
ეკლის გვირგვინი უფსკრულისკენ  
წაიღო თქეშმა.

1183

შემოფართხუნდა ღამურების  
გუნდი გოდებით,  
ჭირისუფალი დაითენთა  
მომსვლელთ ბოდვებით.

1184

იდუმალ დადვა ტატრევანზე  
მესვეტემ გლერტა,  
მამალი ყივის, შაბაშს ითხოვს  
მზაკვართა ჯგლეთა.

1185

ბოლო ეღება ღამით ნაკვებ  
ბრმა მისტერიას,  
რიჳრაჳის მაცნე ფერიები  
უცხოდ მღერიან.

1186

უხამს სიზმარში გააკვებულ  
შერისხულს ვგავდი,  
უფასურდება ნაჩქარებად  
განსჯილი მადლი.

1187

ცხადს დაეკისრა შეაგუოს  
დარდი სიამეს,  
ბორძიკ-ბორძიკით ბეწვის ხიდი  
გადავიარე.

1188

თვალს მჭრის ვერცხლისფრად მოსარკული  
ტაძრის გუმბათი,  
ფრესკების ნიბლმა გამოკვეთა  
ლანდი სულმნათი.

1189

კანკალებს კოჭლი ფანტაზიის  
ბედკრული ჩონჩხი,  
ვუახლოვდები საკურთხეველს  
მუხლებზე ხოსვით.

1190

საკმეველის ბოლი ნაზად არხევს  
სულის მანტიას,  
გასაკურნავად ცრემლებს ვწირავ  
შობის განთიადს.

1191

გახუნაბია ანაფორა  
ავ-კარგის მაცნეს,  
ეკლიან ბილიკს უგზო ტყეში  
როგორღა ავცდე.

1192

ღრუბლის ფთილები შეეცადა  
შვიდფერთან შერწყმას,  
ღარის მეუფემ ანგელოზი  
პარნასზე შესვა.

1193

ტრამალს ღროებით გაემიჯნა  
სიმწრის ვაება,  
პარაკლისს ვუხდი ძველი სიზმრის  
გარდაცვალებას.

1194

ხრიალა მოვსპე, ორლობეში  
დავღვარე ოფლი,  
ღამის ქარაგმის დავრდომილი  
მეზობტბე ცოფს ყრის.

1195

თუკი აღვიქვი ირგვლივ მყოფი  
საგნების არსი,  
იდუმალეა წარმოსახვის  
ფიალას ჩაცლის.

1196

ვერა და ვერა, ვერ შეეწყო  
ალტრუიზმს კაცი,  
რადგან უპოვარს მომხვეჭელი  
საყრდენებს აცლის.

1197

ჟამთა ტრიალში ვიწროვდება  
რკალი ცდუნების...  
და უჩინმაჩინ კუბოს ფიცარს  
ვეორგულები.

1198

მზის ნაბოძები ნაპერწკალი  
გულს ესარკება,  
დავიღვენთები ტკივილიან  
ფიფქის ლაქებად.

1199

მკათა თვეა და საფრთხობელა  
დახავსებულა,  
ამბიონისკენ ნაბიჯს ითვლის  
მონა მეფურად.

1200

ამაოების მეგზური ყეფს და  
გველი სისინებს,  
ფიქრის თარეშით გახურდა კეფა,  
ვერ ვგრძნობ სიცივეს.

1201

დემონმა კარი დაალუსკუმა,  
შხამი შემასვა,  
ის გაძვირებულ ნილაბს დარავჯობს,  
ელის ზეასვლას.

1202

კვლავ დაგესლილი სიმარტოვე  
მივიღე მღვმურად,  
ყრუ სარკოფაგის სიმყუდროვე  
მეუბედურა.

1203

მეზმანა, როგორ ვეურჩებოდი  
ღმერთების შვილებს,  
ამ გოლგოთიდან იესოს ხმობით  
ვცნობ სიღუხჭირეს.

1204

ისე ხალვათად ავუყევი  
ამ მთაგრეხილებს,  
მუხლი ჩაქანდა, თავთუხები  
ქარს ვაწეწინე.

1205

მიმოიფანტა კვამლის ბული –  
კიდით-კიდემდე,  
ყინვამ იმატა, მნათე უფლის  
კალთას მივენდე.

1206

ო, აღარ ცხრება საცოდვილო  
სიამის ქნარი,  
ჰოდა განგებავ, საჩოთირო  
მაყარე ჯავრი!

## კ ა რ ი მ ე ხ უ თ ე

1207

როცა გაჭირდება  
ყოფის შეგუება,  
კაცი განსაცდელს  
აღარ ეპუება.

1208

როცა საფრთხეა და  
როცა ღალატია,  
თავზე დამნათია  
სიმშვიდის გარანტია.

1209

ცოდვა განუსჯელი  
სანამ იტრიალებს,  
გაფრთხილების მჩენი  
ბჟუტავს სიდიადე.

1210

ზოგჯერ ქაცაქუცა  
გზების ლაბირინთებს  
ჩემდა უნებურად  
მყისვე ავითვისებ.

1211

ხან კი კუს ნაბიჯი  
ისე ხანგრძლივდება,  
ველარ ჩამოვცილდი  
შურს და გაწბილებას.

1212

ზოგჯერ მოქმედების  
სივრცის განედებით  
მოკვდავს ერთგულების  
ალად ავენთები

1213

ხან კი ისე გაკრთა  
მთვარის შარავანდი,  
ძლივსლა გაიბადრა  
ტაძრის გალავანი.

1214

ცაზე განზე გამდგარ  
ვარსკვლავს ელიმება,  
უკვე თენდება და  
მე კი მეძინება.

1215

ველზე მირაკრაკებს  
ოფლის ნაკადული,  
ბელტებს აქუცმაცებს  
კაცი დაზაფრული.

1216

კრუხი დაქოთქოთებს  
ციცქნა წიწილებთან,  
წვიმს და ღრუბლის კბოდე  
წყალში იძირება.



. . .

1217

უმეცრება მოკვდავთა  
მოარული სენია,  
სიბოროტე მოზღვაავდა,  
ძლივსლა ბჟუტავს კერია.

1218

გაოგნებულ მოციქულს  
წუთით ენა დაება,  
ამკობს სულის ჭირნახულს  
საუფლისო სამება.

1219

შეცბუნებულ კაცმა რადგან  
ვერ შეიცნო მრწამსი ღვთის,  
ციმციმ ალაპლაპა  
ფანტაზიის სასმისი.

1220

მწამს, რომ უფალს არასოდეს  
სიახლე არ მოსწყინდება,  
ოდითგანვე ასე მოგვდევს –  
გვასულდგმულებს ქორწინება.

1221

რახანია წყვილებს ნატრობს  
უნაყოფო მთა და ველი,  
კაკალ გულში ბაღღმად სახლობს  
განწირული საწადელი.

1222

რახანია გამქცევია  
ჯურღმულს ჩამსვლელს თვალი ცისკენ,  
ბევრი ცუდი დამცდენია,  
სიტყვის ჯარი ელვას მისდევს.

1223

რადგან მყარად ჩავეჭიდე  
მოთმინების ფიალას,  
შევუხვიო უნდა ძვიდე  
დამზრალ სულის იარას.

1224

ხარბი კაცი ისე დაძრწის,  
ვით სნეული ფოცხვერი,  
ზოგჯერ იგი ნაცად ფანდით  
ირემსაც კი მოწველის.

1225

მაგრამ თუკი დაეჩვია  
ძალადობის გატანას,  
მისი მრწამსის ანემია  
ეტმასნება სატანას.

1226

იგი სოფლის სიაკარგეს  
ალმაცერად უყურებს,  
მიწყვიტ ბოღმა არ ასვენებს,  
როცა რამე უმტყუნებს.

1227

როს ვერ შეძლებს უძღურების  
ძლიერების დაძლევას,  
რაც არ უნდა შეკრას ძნები,  
მარცხი აღარ ასცდება.

. . .

1228

რადგან მიღება სამკალი,  
უნდა მოვიძიო ამქარი,  
როცა მოყვასი არ მინდობს,  
სოფელმა უნდა გამიგოს.

1229

რადგან ვერავის შევეწყვე,  
ვერ აღუდგები წინ მეწყერს,  
რადგან გავურბი განცხრომას,  
იკლო სიმწარემ საგრძნობლად.

1230

მაგრამ რას ვიზამ, მომხიბლა  
მიუწვდომელის ნაკვთებმა,  
ჩუმად დამცინის შორიდან  
საუკუნეთა გაძლება.

1231

ვერ განსაზღვრავს სულიერი  
ალექმული დღის მძვინვარებას;  
ითავმწონებს ობლის კვერი  
მტერს რომ მტერი ეყვარება.

1232

დახავსებულ აზრებს სათნო  
სიტყვა კალმით შეესია,  
იქნებ წვეთი შეემატოს  
მარადიულ პოეზიას!

1233

მდინარის ციციქნა სათავეს  
შევცქერი გაკვირვებული,  
რადგან ქვემორე მალ-მალე  
მოშხუის აზვირთებული.

1234

ვერ დავიტიე ამ გულში  
ურვა და ვადადარია;  
ზვავი ქარაფებს გადუმლის  
კარებდარაზულ დარიალს.

1235

დავითმა სტყორცნა შურდული  
და მოსახდენი მოხდა;  
მოძალადე და თუქსუსი  
გადაეგება ოხრად.

1236

უნამსობა რომ შეიპყრობს  
წყალწალებულს თუ ჯიშინს,  
მოვლენებს ძნელად შევიცნობთ –  
აწმყოს ღირსება ჩრდილშია.

1237

გაუფასურდა სინდისი  
მესტვირემ სტვენას უმატა,  
რა გულიანად იცინის  
აყალო მიწის ყულაბა.

1238

თუ არ ავყევი ფეხის ხმას  
გადამთელავენ მოგვები;  
თუ გაზაფხული მეღირსა  
სახნავში მივდგებ-მოვდგები.

1239

მივუთათუნე საწუთროს  
ჩაგვირისტებულ კულულებს,  
ეს გულბოროტი სატურნი  
კვლავ აღმაცერად გვიყურებს.

1240

რადგან ვერასდროს გავხდები  
მამა აბრამის ბატკანი,  
კუბოს კარამდე გამყვება  
ნაცოდვილარი საგზალი.

1241

ნაღდი ვაჭარი მალ-მალე  
გროშებს ოქროზე გადაცვლის,  
დიდ პოეტს ვერას დააკლებს  
ცვალებადობა ჟამთა სვლის.

1242

თავისუფლებას ნატრობენ  
ბუმბერაზიც და პატარაც,  
არადა მოკვდავს ამხნეებს  
დავიდარაბის ატანა.

1243

ერთ დროს ერთგული იობი  
საყოველთაოდ ეწამა,  
უმაღურობის ღიოფი  
გააჩანაგებს ქვეყანას.

1244

შემოდგომის სითეთრემ  
იფეთქა და ილზინა,  
თავშესაფარს იფერებს  
დღენაკლული ჭრიჭინა.

1245

ნიავს ფეხი ავუწყვე  
ფოთოლცვენის კვალდაკვალ,  
ყველაფერი დაიწყო,  
ყველაფერი დამთავრდა.

1246

მოერგო ღუხჭირ დროებას  
ფარისეველთა დასი,  
ამგვარი გარემოება  
მასას არაქათს აცლის.

1247

რადგან სვალინდელ ქათამს  
სჯობს დღევანდელი კვერცხი,  
სჯობს თავთავნაყარ ყანას  
მზამზარეული ვერცხლი.

1248

ოხრად დარჩება მოკვდავს  
ის დამარხული განძი,  
თუ შეჭირვებულ მოყვასს  
ლუკმა-პურსაც არ აწვდის.

1249

რადგან ღვარძლიან ხალხთან  
ვერ აღორძინებ საყდარს,  
სჯობს, რომ ილოცო წყნარად,  
ცხვარი დროულად დაკლა.

1250

ჩამიქნევია ხელი  
უმაღურობის გამო,  
ბლილმა დაცხრილა ძველი  
განზომილებების თარო.

1251

არ ჩაითვლება წინსვლად  
ცნობიერების სრბოლა,  
თუ გოლგოთასთან მისვლას  
ბრბო არ მოუშლის გმობას.

1252

თუ დაეკუროთხა ყოფას  
განუსაზღვრელი სიბლი,  
უსაფრთხოების გრძნობა  
ხმას სასიკეთოდ იცვლის.

1253

ვერც რა ძალა, ვერც რა ურვა  
ვერ გამაქრობს გულმდულარეს,  
რადგან მამულს ჩემი სუნთქვა  
საკენკივით დავუყარე.

1254

რადგან ქვეყნის შუბლი მეწვის,  
რადგან ჟამი კვლავაც შლეგობს,  
ლამის გაწყდეს ხიდი ბეწვის,  
ლამის ხრამში გადვიჩნოს.

1255

სააკარგო საგალობელს  
ამოგიფრენტ ზენა ქარი  
და შერისხულ მახარობლის  
გადარჩენის დაუკარით.

1256

რადგან მაინც აქვე ვრჩები  
ამ დაწყევლილ თემშარაზე,  
კვლავ შემთხვევას ვუსაფრდები,  
განცდები კვლავ შემზარავენ.



1257

კვლავ ავტენავ კორიანტელს  
საეჭვოს და სათაკილოს,  
იქნებ გვემამ საპიარე  
სასაკლავოს გამაცვილოს.

1258

იქნებ უცებ ცის თალიდან  
ჩამოშვებულ კიბეს მივწვდე  
და სამარხის გალაენიდან  
უკვდავებას გამოვიწვევ.

1259

პებლისათვის სანთლის ალი  
მანამ არის სანუკვარი,  
სანამ ახლოს მივიდოდეს,  
დაიწვოდეს სიმხურვალით.

1260

საქართველო, ღმერთმა ნუ ქმნას,  
რომ დაიყოს ნაწილებად,  
ეს ცდუნება ისე გვეუთქავს –  
მომავალი გაწბილდება!

1261

მაშინ როცა ცრემლის ფრქვევა  
მიმსუბუქებს წუთით ვარამს,  
შთაგონების ისევ მჯერა,  
ისევ ვიღებ ხელში კალამს.

1262

რადგან თითქოს სუნთქვა სიმწრის  
ეხიზნება ხის კენწეროს,  
დასასრულის დასაწყისი  
სისხლით უნდა დაიწეროს.

. . .

1263

შეაშრა სნეულ გულმკერდს  
ნაჯახირები ოფლი,  
მზის გაღიმება წილხვედრ  
წამოსადგომად მყოფნის.

1264

განკითხვის ჟამზე ვშიშობ,  
სინდისის ქენჯნას ვუფრთხი,  
შორს ნიაღვარი მიხმობს  
მიუსაფარი ქუჩის.

1265

უხსოვარ საფრის მიღმა  
ხრიოკის კვნესა ისმის,  
უსაშველობა იშვა  
არარაობის ნისლში.

1266

ცხადის ცლომილებს თრგუნავს  
სახე ახალი სიზმრის,  
რაც არ ითქმება სრულად,  
კვლავ შინაგანად იწვის.

1267

ნაბიჯს ვერ ვუწყობ ამ შარას,  
სერზე ნისლები წვება;  
ცოტა მკვიდრდება მთაშავას,  
ბევრი პარტახში რჩება.

1268

რაც საუფლისომ იტვირთა,  
გონება ძნელად ხარშავს,  
აგორებულა რიყის ქვა,  
გამოიპირა დაშნა.

1269

ამოუცნობმა ლანდმა  
გადაუფრინა ბექობს,  
გაზულუქებულ კასტას  
ლიუციფერი შეფობს.

1270

დემონი უღვაშს იგრესს  
დანაოჭებულ ცაზე,  
ჭინკა აცქმუტდა, მისებრ  
წამოიჭიმა სარზე.

1271

თვლემს უშედეგო გვემა,  
ხნულში ღვივდება თესლი,  
კუდწაწყვეტილმა გველმა  
ქვას მიანთხია გესლი.

1272

ქაოსში ფესვებს იდგამს  
ნაუცფათები განსჯა,  
გაცრეცილ ღრუბლის ფთილას  
ელვის წინწკლები ჩარჩა.

1273

გადმოიღვარა თამამად  
ციური ცვარის მადლი,  
მზემ უცხოდ გამოანათა,  
სივრცეს ჩამოსსნა ჩადრი.

1274

მერცხალმა სხივს მიაგება  
გალუმბული მკერდი,  
საგომანოდ იკვანწება  
ტერასაზე გელი.

1275

დაისის ქარს მიუშვირა  
სარეველამ ყლორტები,  
აზრი უსტარს გამოხშირავს  
განუსაზღვრელ ოცნებით.

1276

საუკუნო ურვა რჩება  
ღვთის და კაცის წინაშე,  
გულსაკლავად გათენდება  
ავონიის წინაღლე.

1277

არის ოდეს საზარი  
ემოცია ამგვარი,  
განიავლა საგზალი,  
დაისეტყვა სამკალი.

1278

ქვევრს ავხადე სარქველი,  
წლიდან წლამდე ნაფერი,  
ეს, ამდენი ნათრევი  
ერთი ხრიკით ჩავთვერი.

## პ ა რ ტ ა ხ ი

### კ ა რ ი პ ი რ ვ ე ლ ი

1279

დილამ იმძლავრა, მიწყევ სახლიდან  
საშოვარისკენ მივეშურები,  
უცებ იონა შემხვდა გზაში და  
გადავუშალეთ ერთურთს გულები.

1280

მითხრა: „თეონა რომ შემეძინა,  
მის მერე ჩემთან აღარ ყოფილხარ,  
მას შემდეგ ორი წელი დავიდა,  
მრავალი ჩიტი მიფრინ-მოფრინდა.

1281

შენი არ ვიცი ჩემო ძმობილო,  
მე კი მომწყურდა შენთან ბაასი,  
ბოლო დროს გულმა აღარ გამიძლო,  
გამოვეშურე აქეთ ტაატით.

1282

სიმართლეს გამცნობ, მდინარის პირას  
ანკესით ყოფნა მომინდა ძლიერ,  
იქ რომ ვიყავი, ჩვენ მაშინ ხშირად  
ვხვდებოდით და თან ბევრ რამეს ვძლიეთ.

1283

ვძლიეთ სიკვდილს და ვძლიეთ რას არა,  
გამიადვილდა დათრგუნვა შიშის,  
იქ შინაგანი ძალის ამარა  
ქედმოუღრეკელ მოკვდავად ვიშვი.

1284

თავს არ ვუხრიდი ვინმეს იმიტომ,  
რომ საკუთარ თავს ვიმორჩილებდი,  
ვერ მატყვევებდა ბეცი ცივი ღრო  
ამქვეყნიური ყოფის დილეპით.

1285

ღღეს მართალია, აღარ მაკლია  
სიმდიდრე და თან სითბო ოჯახის,  
მაგრამ სამყარო არის ავყია,  
შესამჩნევია ურვა მყოფადის,

1286

ჩვენი გოგონას შეძენა დიდად  
არ გაეხარდა ნუგზარის ჯალაბს,  
მათ ქონებაზე თვალი ეჭირათ  
და ეს იმედი გაქარწყლდა, გაქრა.

1287

თითქმის სრულიად გაწყვიტეს მათმა  
ჩვენთან კავშირი და სიანხლოვე,  
თუ ანგარების დვრიტა არ ჩაქრა,  
აღბათ ვარამიც არ მიგვატოვებს.

1288

მეზობლებიც კი აღივსნენ შურით,  
ჩვენს ცხოვრებას რომ აზრი მიეცა,  
ფარისევლების ცრუ ლაი-ლუი  
ამტკერიანებს ღროის საესავს.

1289

მინდა, რომ სადმე ღარიბულ ქოხში  
ვცხოვრობდე მშვიდად, ცოლ-შვილთან ერთად,  
არ გნიასებდეს ქალაქის შმორი,  
მანუგეშებდეს სიმრავლე ფერთა.

1290

აღარ მზვერავედეს ბოროტი თვალი,  
გულს არ მიღრღნიდეს შიშის შეგრძნება,  
საჭირნახულოდ გავმართო კავი,  
მივეაღერსო იას, ენძელას.

1291

როცა ვაუწყე ჩემს ცოლს განზრახვა,  
რომ სადმე სოფლად დაგველო ბინა,  
დაგვეწყო მშვიდად ცხოვრების ჩარხვა  
და თავი ოფლის ღვრით დაგვერჩინა.

1292

მისგან სასტიკი ვარი მივიღე,  
ვერ დავტოვებო მიჩვეულ კომფორტს,  
სიკეთეს ვთესავთ, ვიჩინთ სიფხიზლეს,  
რა აამხედრებს ჩვენზეო ბოროტს.



1293

კაცი თვის ოჯახს სრულად განაგებს,  
როცა თავად ქმნის ცხოვრების სახსარს,  
თუ ჩაჰკირკიტებს ქალი სანახებს,  
იგი თავისკენ გადახრის ჭაპანს,

1294

სიყვარულია არსის მშვენება,  
ის ასაზრდოებს თანხმობის ფესვებს,  
როცა გვლალატობს ზოგჯერ შეგრძნება,  
რაც თვალწინ გვიდგას შორეთში ვეძებთ.

1295

როდესაც აზრი არა აქვს კამათს,  
დამთმობი ურვას გულში ჩაიკლავს,  
როცა სიმართლეს სიყალბე სძალავს,  
ამოდ ყბედობს მაშინ კაი ყმა.

1296

არადა რაღაც ბრმა წინათგრძნობა  
არსაცნაურად მაფორიაქებს,  
ღმერთმა დალაზვროს მწუხრის განვრცობა,  
ვერ ვიმორჩილებ სულის სიავეს.

1297

ნათლად გამოკრთა ღლევეანდელობის,  
ცხოვრების რიტმი რომ გაუხეშდა,  
თვისებრ განკარგავს სახსრებს ზემდგომი,  
ათასები კი ოფლს ღვრიან თქეშად.

1298

თავიდან თითქოს დაიწყო მკაცრად  
ბაქარმა ქვეყნის ყოფის განკითხვა,  
მაგრამ მაფიურ კლანების ძალა  
ხელს არ უშვებდა კბილით საძიძგნავს.

1299

არ გამოდგება ხვალინდელ დღისთვის  
ხალხის ამგვარი დაბეჩავება,  
შეჭირვებული ლუკმაპურისთვის  
უღელში ლამის კისრით გაებას.

1300

მაცდური ძალა განაზოგადებს  
ბრბოს აზვირთებას, ყოფით გონშემლას,  
მომავლის სხივი გახდის შესამჩნევს  
ცეცხლის საწვიმრად დაძრულ კომეტას.

1301

განუკითხავი მასის მძლავრობა  
ჩაყლაპავს ოქროს, ჩაყლაპავს სინდისს,  
სამართლიანი უფლის მხედრობა  
მზის ჰემისფეროს სარკმელთან იცდის.

1302

დაიმორჩილებს ალბათ სიბეცე  
გაუსადლისის დავიდარაბას,  
მინდა, თანაბრად ინაწილებდეს  
კაცობრიობა დღიურ სალაფავს.“

1303

შეწყვიტა სიტყვა, თავჩალუნული  
ძღვს მოათრევა უხორცო კიღურს,  
სკვერში გაგჩერდით ფიქრით ვნებულნი,  
ჩიტი კორტნიდა არწივის ფიტულს.

1304

ვუთხარი: „რადგან ვერარას შეცვლი,  
უნდა მიენლო დროის დინებას,  
თუ ღრმად ჩაეფლო ნახნავში თესლი,  
გაუჭირდება ამობრწყინება.

1305

ასეა ძმაო, ბევრს არ უხარის  
კაცის წინსვლა და კეთილდღეობა,  
ააგემოვნე არსის ნუგბარი,  
ღმერთმა გიმრავლოთ თქვენი თეონა.

1306

რაც შეეხება, საქმე მეობას  
ხანდახან ისეთ ღლეში ჩააგდებს,  
დაწნეხილია სულის ზეობა  
და მოქმედებას გრძნობა განაგებს.

1307

ბუნებრივია, ოჯახში ყველგან  
ხშირად თავს იჩენს უთანხმოება,  
მადლის სიმებმა იჟღეროს ერთხმად,  
არ აჯირითოს ვნებამ გონება.

1308

სანამ ნათლად არ დაფიქსირდება  
საფუძვლიანი არგუმენტები,  
ჭირს ნააზრევის ადაპტირება,  
ვერ ვიახლოვებთ ვარსკვლავს ვედრებით.“

1309

გზა განვაგრძეთ და მივუახლოვდით  
იმ სანაპიროს სადაც იონამ,  
წლების მანძილზე მარტოსულობის  
მწუთხე რეცეპტი გამოიგონა.

1310

ნახევრად დაშლილ იქ მდგომ ფიცრულში  
შევიდა მისი ძველი მფლობელი,  
გამოიტანა მან მისეული  
ანკესი ნესტით შენაობები.

1311

გაშალა ძუა ჩვეულად, წყნარად,  
მდინარე არის მშვიდი, კამკამა,  
გასცქერის სივრცეს ჯაყელი ხარბად,  
ღუმბილმა დიდხანს აღარ გასტანა.

1312

თქვა: „მოლოდინის შეჩვევა მიჭირს,  
ერთ ღროს მუდამდღე აქ ვეგდე მარტო,  
ასე მგონია, არსობის ფითილს  
მაცოცხლებელი მზის სხივი აღნობს.

1313

ვეუცხოვები თოლიებს რადგან,  
შორიდან მჭკრეტენ დაფეთებულნი,  
როგორ საავდროდ გადაიხლართა  
ცის კაბადონზე ღრუბელთ კრებული.

1314

როგორ კანკალებს გაწვდილი ხელი,  
ეს ერთი მუხლიც მალე მელდება,  
ადრე გუჰმანით ვხვდებოდი შტერი  
თევზის ანკესთან შეთამაშებას.

1315

ისე ვქოშინებ და ისე ვვოხრავ,  
თითქოს ვუქნევდე სახრეს წიქარას,  
კაცთ მიერ დევნილ ცხოველთა მოდგმას  
ანგელოზების დასი იფარავს.“

1316

უეცრად ანკესს რაღაც მოედო  
და აიქნია იონამ ხელი,  
ვეებერთელა გამოჩნდა ლოქო,  
თვალმომჭრელია თვალთვალი მსხვერპლის.

1317

მისმა სიმძიმემ გაწყვიტა ძუა  
და თევზი წყალში ჩაეშვა მყისვე,  
სიმზიარულე შეცვალა ურვამ,  
ხიზანი თვალებს თითებით ისრესს.

1318

შემომამჩერდა და განაცხადა:  
„ნესტში რომ იღო ამდენი ხანი,  
იმიტომ გაწყდა ადვილად, თანაც  
საგულისხმოა ვერანას ჯანიც.“

1319

აქედან ძმაო ისე არ წავალ,  
ერთი რომ მაინც ვერ დავიჭირო,  
ხშირად ეშლება მეცხვარეს ფარა,  
ხშირად უსხლრება ჩიტი მიმინოს.“

1320

კარგა ხანია მზე გადიხარა,  
ანკესს არარა არ ეკარება,  
ასე მგონია, უხილავ ძალამ  
წყლის ბინადარნი შორს გადარეკა.

1321

მამჩნევს იონა, რომ მოლოდინით  
უგუნებოდ ვარ, ქანცი გამიწყდა,  
თქვა: „ვალიოფოთ მრწამსის ფითილი,  
ო, ეს რამდენი ხანი გავიდა.“

1322

„კარგი ბატონო“ – მივუგე, მშვიდად  
გადავაცქერდი მდორე მდინარეს,  
უცებ შეირხა ძუა და იმ წამს  
ზეალიმართა ხელი უმაღვე.

1323

თითის ოდენა უცხო ლიფსიტი  
ძალზე მსუბუქად ამოჰყვა ანკესს,  
ჯაყელი თითქოს სივრცეს მისტირის,  
სიფითრე დაჰკრავს მის დაღლილ სახეს.

1324

ამბობს: „ვა კაცო, ამისა გამო  
მოვცდით ორივე თითქმის მთელი დღე,  
ეს უსუსური როგორ გავსკვანჩო,  
მებრალეა და აჰა შევინდე.

1325

ამას ვადარებ ჩემს ციცქნა გოგოს,  
როცა აკვანში თითებს პარჭყავდა,  
დაე, იზარდოს და გაიხაროს,  
ღმერთმა აშოროს ცოცხლად ჩაყლაპვა.“

1326

იდგა სულიერ აღტკინებული,  
ლიფსიტი წყალში მშვიდად ჩაუშვა,  
უკან დავბრუნდით, მოშიებულნი  
რესტორნის კარებს ვაღებთ ჩაუქად.

1327

ჩემმა თანმხლებმა ისე იმდენი  
რამ შეუკვეთა, მიკვირს და ვთხოვე:  
„არ გინდა ძმაო, ეს რატომ ქენი,  
უსაზღვროება შვებას ვერ ჰპოვებს.“

1328

„რადგანაც ხშირად ჩვენ ველარ ვხვდებით,  
დღეს უნდა ვიყოთ მიტო მეფურად,  
ამ წუთისოფლის მდორე სეგემენტი  
აატორტმანა ტალღამ შლეგურად.

1329

ვერვინ შეიცნობს ზუსტად ვეროდეს,  
როგორ დაჰბერავს მომაველის სოი,  
კაცი ვერ საზღვრავს ზოგადად ოდეს,  
გაჰყვეს მოსეს თუ მიენდოს იობს.

1330

რწმენა თუ თავის კალაპოტს ითხოვს,  
ის გამორიცხავს ბრმა ფანტაზიას,  
შემოქმედება მიენდო მითოსს,  
წარმოსახვანი ცის თავანს სცრიან.“

1331

ჯაყელს უნდოდა ბევრი შეგვესვა,  
ზომაზე მეტი მე არ ვისურვე,  
ვიუარე რა ვისკის შეკვეთა,  
გასასვლელისკენ პირი ვიბრუნეთ.

1332

ო, როგორ გვთრგუნავს, გონებას ამღვრევს  
ამ მიწიერი ცხოვრების არსი,  
ზოგს სიღარიბე მხნეობას მატებს,  
ზოგს კი სიმდიდრე არაქათს აცლის.



1333

ბინდს ეფინება მთვარის კამკამი,  
ბახუსს შეერწყა ვარსკვლავთა ხიბლი,  
საყოველთაოდ ხარობს ცარგვალი,  
ცის დედოფალი პერანგებს იცვლის.

1334

ჩემს წინ უეცრად ვერტიკალურად  
ლამურამ უშნოდ გაიფრთხილა,  
წუთით სამყარო გაუფერულდა  
და მოუხშირა ფეთქვას იარამ.

1335

თავი ამტკივდა, დროგამოშვებით  
შაკიკი მძლავრობს მუხანათურად,  
თითქოს ტორტმანებს ზვიადი მთები,  
ქარი ატოკებს ქონის სახურავს.

1336

აძაგდაგებულს კერია მიხმობს,  
უნდა ვალვივო ბუხრის ღაღარი,  
თითებმა იგრძნო ნაკვერჩხლის სითბო  
და სააზროვნოდ გონი აღვძარი.

1337

მოვსულვარ მიტომ, რომ დღევანდელი  
დღე ზვალინდელის ღამეს შევწირო,  
მინდა, რომ სულის განწყობა ქველი  
მერიდიანებს მიმოეფინოს.

1338

ექ, მაგრამ რაც რომ მიზიდავს ხშირად,  
წარმოისახა მომავლის ჩრდილად,  
სარკმლიდან თრთოლვით გავხედე მირაჟს,  
მიწის აორტა ივსება ციდან.

1339

ამ ჩემს შინაგან ყრუ ანათემას  
სულის სიმტკიცე ფეხქვეშ ეგება,  
მთვარე ეცადა მზის დაბადებას  
და განიცადა უკუქმედება.

1340

გუშინდელი დღე რომ გავიაზრე,  
უფრო ბეჯითად შევები საქმეს,  
წარმავალობის მავნე სიანცე  
მანკიერ მხარეს იღუმალ ამხელს.

1341

რატომღაც აღარ მიადვილდება,  
მიღწეული რომ შევინარჩუნო,  
თუ კაცს სიკეთის სურს დამკვიდრება,  
უნდა დანერგოს მცნება სარწმუნო.

1342

სხეულს უმღერის მწველ ჩარირამას  
პაპანაქება ჟამის სხივები,  
მოკვდავი წელზე ფეხს დაიდგამს და  
უმაღური ყავს მაინც შვილები.

1343

ღვითქი გადამდის დაღარულ შუბლზე,  
ეკლიან ბილიკს მაინც მივყვები,  
სამყაროს უგრძობს სხეულებს ვუმზერ,  
დაჯირითობენ თავში ფიქრები.

1344

ერთი მითხარით, დასბამიდან  
ვინ არ დამარცხდა – როცა იომა,  
თვით ბაბილონი როგორ ჩამიწდა,  
მაინც არ ცხრება კაცობრიობა.

1345

შურისძიების გესლმა მოშხამა  
აღვირახსნილი დღევანდელობა,  
ამპარტავნობამ რწმენა მოშალა,  
ლამის დაჰკარგოს ერმა ერობა.

1346

პირველობისკენ სწრაფვის სურვილი  
აღარ ასვენებს დიდს თუ პატარას,  
არ გასკდეს გული საპნის ბუმტივით,  
არ დავრჩეთ ისევ ჯოხის ამარა.

1347

წუხელ სიზმარში ქერუბიმს შევხვდი,  
მსაჯულ მინოსთან ჰქონდა მიმოსვლა,  
მან ერთარსობის ცისფერი ლენტი  
მიწყივ ტარიგად გადმოგვილოცა.

1348

აღისფერ ტახტზე დაჯდა სატანა  
და უხმო თავის ქვეშევრდომ ჭინკებს,  
ღუმიღმა წუთი არც კი გასტანა,  
მაწაკი ცოდვის განხილვას იწყებს:

1349

„როცა შევსუდრეთ შავად გარემო,  
გაუწყალწყალეთ ტვინი რჩეულებს,  
კაცს თავის ხელით მახე დაეგო,  
ის თავის გამყვლეფს ირჩევს მეურვედ.

1350

ჩვენები იცავს კოშკის ქონგურებს,  
თვალებს აჭრელებს ყალბი ლოზუნგი,  
ერთეულებს კი სამტროდ მოსულებს,  
გათიშულობის ძალით მოვთურგნით.

1351

მაგრამ თუ საქმე გაჭირდა ძალზე  
და ჩაგვივარდა კოვზი ნაცარში,  
თუ ღვთისნიერი დასკუბდა სკამზე,  
არ გამოდგება ხერხი ნაცადი.

1352

მაშინ კი უნდა ვცვალოთ როლები,  
ვაქოთ, ვადიდოთ მტერი მოსისხლე,  
სიკეთე უნდა ვთესოთ ღროებით  
და საბოლოო თამაშს მოვიგებთ.“

1353

რეგულირდება ქვესკნელთა ტალღა,  
ძვალშიც კი ატანს თებერვლის ქარი,  
გაინავარდა ბოსტანში მახრამ,  
გაყურსულია სამხრის ბაზარი.

1354

სიძულვილი ხომ მახეა სულის,  
აბურდულია გარემოება,  
ნასიცხარ თვალებს მოედო რული,  
განწყობილება შურს ემონება.

1355

თუ უსუსური წარმოსახვანი  
გაუცხოვების ჩრდილში დარჩება,  
მაშინ ზურგს უკან ლანძღვა, ქაქანი  
არად ჩააგდებს დროს და არჩევანს.

1356

თუ ძილბურანში გამოიკვეთა  
ავი ზრახვების მავნე საწყისი,  
მსწრაფლ შენიღბულის უნდო იმედად  
ზარბაზნის ლულა ჭურვებს გაისვრის.

1357

ცბიერი კაცი რადგან ადვილად  
ვერ მოერგება სიბრძნის კარიბჭეს,  
იგი მიზნისთვის რას არ გასწირავს,  
მაგრამ ის ხარისხს ვერას ანიჭებს.

1358

რადგან მაცდურის გზები ფარსია,  
რადგან დაეხშო სივრცე ღამურას,  
რადგანაც ყოფით საკრავს საზრიანს  
გამორჩეული სიმებს გაუბამს;

1359

რადგან წამება კაცის ხვედრია,  
რადგან სიბრიყვემ ჩაქოლა სიბრძნე,  
განწირულს ცრემლებს მოსწმენდს ფერია  
და სასწაული ჩასახვას იწყებს.

1360

როცა უაზრო შეხლა-შემოხლა  
ააცოდვილებს შემძლე ათასებს,  
იესო ცაში ზარებს შემოჰკრავს,  
დააფიქსირებს ღვთიურ განაწესს.

. . .

1361

გაიფარფაშა ნისლის პირბადემ,  
გრძნობა ჩამყაყდა სულთან მისვლამდე;  
უნდა გამოვცდე ეკლიან ბარდებს,  
ისე გავვოცდე, ვუწამლო დარდებს.

1362

დროა ჩავფარცხო სანიღბე ფერი,  
ფუჭად მამაცობს, ვინც ვერ სცნო მტერი;  
როცა ღალატის ივსება თასი,  
შეუძლოდ არის შეცნობის მრწამსი.

## კ ა რ ი მ ე ო რ ე

1363

მზე ჩადის, დაღლილი შევჩერდი  
დანგრეულ ყორესთან,  
დაისის ფუსფუსში ბინულის  
რაკრაკი მომესმა.

1364

ვიპკურე შხეფი და გავგრილდი,  
ათრთოლდა სხეული,  
ფიქრებში გარინდულს დამკივის  
ზარნაშო წყეული.

1365

შიშს ვერ ვგროძობ, წუთიერ სალხენად  
სანთელი ავანთე,  
უვანშმო, უმთვარო ამ ღამეს  
პარტახში გავათევ.

1366

მნათობი არა ჩანს არც ერთი,  
ნადირის ხმა ისმის,  
შორეთში ციმციმებს სხივები  
ხვალინდელ აისის.

1367

ცახცახებს შემხმარი ტოტები  
ვეება ვერხვების,  
შემცივდა, ფულუროს ნაპირზე  
ნაბადში ვეხვევი.

1368

უეცრად გაირღვა უკუნი,  
გაისმის ქოშინი,  
მოკვდავი უზომოდ მოღლილი  
დაეცა ლოდივით.

1369

წაქცეულს დააცხრნენ მომხვლურნი,  
ხანჯლებით აკუწეს,  
ვითარცა უსულო შევეყურებ  
ცოდვიან ამ წუთებს.

1370

ვერარა ვიღონე, დავნებდი  
სიკვდილის ჟრუანტელს,  
წყვდიადის ყრუ ხმები კომმარულ  
კაეშანს მიმატებს.

1371

შორიდან მოისმის გოდება  
შემცბარი ნიმფების,  
კმაყოფილ მკვლელებმა თამამად  
მოიხსნეს ნიღბები.

1372

თვალს ვაჩვევ სიბნელის სიმძაფრეს  
და ვხედავ სახეებს,  
შრამიანს მომხდარი სიშმაგე  
თითქოს არ აღელვებს.



1373

წითურმა თუთუნი მოსრისა,  
მშფოთვარედ წარმოთქვა:  
„გავწირეთ, წარსულის კანდელი  
ბოლომდე ჩამოდნა.“

1374

მან მოგვცა სამთავრო, სახელი,  
დიდება, ქონება,  
მაგრამ მის ხელქვეით ვიყავით  
ყურმოჭრილ მონებად.

1375

უზნეო ყოფას ის გვიშლიდა,  
გვზღუდავდა ძალიან,  
ცოდვების გვირგვინზე აბობლდა  
შხამსავსე კალია.“

1376

შრამიანს თვალები აენტო,  
ცას ზიზლით ახელა:  
„განსჯის დრო არ გახლავთ ძმობილო,  
შორს გვიცდის კარეტა.“

1377

გავიყოთ სამეფო, პარტახი  
მხოლოდ შენ განაგე,  
ჩემს მეტი ვერავინ ინებებს  
მთაშავის სანახებს.“

1378

ღუმიღმა თანხმობა განავრცო,  
მიდიან მზაკვარნი,  
ბოღმისგან უმწეოდ ვცახცახებ —  
აგრე რომ გავქვავდი.

1379

ნაბიჯი როგორღაც გადავდგი,  
ცხედართან დავვარდი,  
სისხლისგან მიმქრალა მირაჟი  
მეფური ლაზათის.

1380

უძლური სიმწრისგან გავშმაგდი,  
ყვირილი მწაღია,  
ვაი, თუ ამ ახლო-მახლოში  
ნადირნი დაძრწიან.

1381

რალაცა ყურებში ჩამბზუის,  
-განშორდი, გაცლა სჯობს,  
ღამურა უკუნის მწერების  
გალიას დარაჯობს.

1382

მოვცილდი გვამს და გზას მივეყვები,  
გულს მიღრღნის ფიქრები,  
შორიდან ჩამესმა ხმაური  
ბრბოის აზვირთების.

1383

აჩნიათ ჩექმების ნაჭდევი  
გვერდშემპალ ნაფოტებს,  
თითებში ჩამადნა კანდელი,  
ფეხებს ძლივს ვაბოტებ.

1384

შევჩერდი ძველისძველ ნანგრევთან,  
ცრემლები მომადგა,  
ცოდვას არ მოუშლის განგება  
ადამის მონაგარს.

1385

მადლიან ქვეშეთში ნაკურთხი  
სულები დაფრენენ,  
წმინდანის სარკოფაგს შეწამლულ  
მანტიას აფენენ.

1386

იელვა უეცრად ბნელეთის  
ხილულმა ფიგურამ,  
სატანამ ქვესკნელის დარაბა  
ხმაურით მიხურა.

1387

ვერ ზეობს ვარსკვლავის ციალი  
ღრუბლების ნაფარცხში,  
ბურანში ჩამესმა ჭრიალი  
ღვთიური საკაცის.

1388

ბუნდოვან სიზმარში გამოკრთა  
არწივის ბრჭყალები,  
რომელსაც თვალჭრელი მიმინო  
გაუსხლტდა წვალებით.

1389

ლოცულობს ფერია, დაფრინდა  
მონგრეულ თალარზე,  
მეზავრებმა შენდობის სასმისი  
ზედაშით აავსეს.

1390

საოცრად დაკვესა პირმრგვალმა  
ციურმა სსეულმა,  
სატურნის თანმხლები აჩრდილი  
ხითხითებს გველურად.

1391

ქარაშოტს მიენდო ფრიალი  
სისხლიან ღროშების,  
ვერ მისწვდა მნათობის ციალი  
უფსკრულის შორეთში.

1392

ღამურა კანკალით მიფრინდა  
მკენესარე სიმებთან,  
ნაკრძალის გათანგულ სივრციდან  
მაშხალამ იფეთქა.

1393

კომეტის წინაშე გაშეშდა  
პირღია ურჩხული,  
ტყვიების ზუზუნმა განკვეთა  
ბნელეთის ჩურჩული.

1394

ატეხა წკრიალი ვარძიის  
ბებერმა ზარებმა,  
ლომისთვის დაგებულ მანქაში  
ფოცხვერი გაება.

1395

გუმბათზე ძელივით დამდგარა  
უძლური მესვეტე,  
ფირალმა სადავე აართვა  
მთვლემარე მეეტლეს.

1396

თვალს ვახელ, რიჟრაჟი მოედო  
პარტახის სანახებს,  
ბუნება განგების ზვაშიადს  
ბოლომდე არ ამხელს.

1397

შევკვწარ საქმიან ფუტკრების  
ხელდახელ დარაზმვას,  
გამოჩნდა სოფელი, მივყვები  
საურმე შარავზას.

1398

მოდინ მწყემსები ოციოდ  
ცხვრის და თხის ამარა,  
მშიერმა ქოფაკმა საყეფად  
თავი ძლივს ახარა.

1399

ვკითხულობ შემხვედრთა თვალებში  
შიშნარევ ვედრებას,  
ოცნება განწირულ ზმანების  
ფერშეცვლას ედრება.

1400

შავ აბრას ამაგრებს მოძღვარი  
ჩამოშლილ კვარცხლბეკთან,  
შეწირულ ზვარაკის ზესული  
ზესკნელში გამეფდა.

1401

მოვლუნდი ფიქრებით გამშრალი,  
მართლის თქმას ვერ ვბედავ,  
თითქოსდა სხივები დაძრწიან  
სისხლიან ენებად.

1402

სამხრეთის მიუვალ სივრცეში  
ელვარებს მაშხალა,  
ფლოქვების უზომო თქარუნით  
ბინული დამშრალა.

1403

რაკეტის ძალიძალ ფეთქებამ  
ქარაფი დაბზარა,  
მიწურში გონება დაჰკარგა  
დაჭრილმა მაშვრალმა.

1404

ულვაშებ დაგრეხილ სათიბში  
ურწმუნო სისინებს,  
პირუტყვი სისხლსავსე წურბელას  
ძირს ხოხვით იცილებს.

1405

მზის სხივმა ფერდები შეუთბო  
მოთიბულ იალალს,  
ყორანმა ნადავლი მოჩიტულ  
ბახალებს მიართვა.

1406

მეწამულ ღრუბლებში აეწვა  
ჯადოქარს ქუთუთო,  
შარაზე ანაზდად ფენს ვადგამ  
გესლიან მუხლუნოს.

1407

ვარამით მოღლილი შევედი  
პარტახის ქალაქში,  
მკერდსავსე უსაქმო დალაქის  
ქათქათებს ხალათი.

1408

თვალს ვაკლებ ძველებურ დროშების  
დღევანდელ სიახლეს,  
მთაწმინდის აჩრდილებს მთიებმა  
ლამპარი მიართვეს.

1409

აწყდება დიდი და პატარა  
სილალის მოედანს,  
ხელმწიფის პანაშვიდს შეეყურებ,  
ამემღვრა გონება.

1410

ყვაილთა გვირგვინი აღმართეს  
სასახლის მონებმა,  
შექსპირის სონეტის სიმძაფრე  
წივილით მოძესმა.

1411

აოცებს მოზარეთ არია  
პირტიტველ შუბოსანს,  
სიფითრე გადაჰკრავს შრამიანს  
მოვერცხლილ კუბოსთან

1412

ხვალინდელ ქელეხის სამზადისს  
წითური თავკაცობს,  
ფერია უმზადებს სულმნათელს  
მითიურ ავგაროზს.



1413

საავდროდ ფრიალებს ქუჩების  
შავ-თეთრი მანტია,  
წინაპართ საფლავთან კარვები  
დაუდგამთ ბანტიანთ.

1414

ზღვა ხალხი ჯგუფ-ჯგუფად ირევა  
ბინდ-ბუნდის წიაღში,  
თანდათან გაჭირდა ცხოვრება  
ბანდების სიახლით.

1415

შევეყურებ დღევანდელ ჭირს თუ ლხინს  
და გული მერევა,  
შებლალეს მამულის სინდისი  
უგნურთა ენებმა.

1416

ბინძური ჭინჭები დაგროვდა  
თავლია დახლებთან,  
ტრამვაის ჩამოყრილ ხაზებთან  
ვირთავკა აცეკვდა.

1417

ტრიბუნა ეჩვევა თაღლითის  
ქარაგმულ შეძახილს,  
შავდება მიმჭკნარი ფოთლები  
აჩენილ ვენახის.

1418

მაგონებს დავრდომილთ შესაფარს  
სადგურის ტრახტირი,  
შიშმომგვრელ ემბლემას წააგავს  
ფიტული არწივის.

1419

მეზმანა თევზების ფართხალი  
მდინარის ნაპირზე,  
მეთოფე უგულოდ ამაგრებს  
ლულაზე სამიზნეს.

1420

ნაგავის ორმოში ვარდება  
ძვალტყავა ნაგაზი,  
დაკბენილ ქვაფენილს მიყვები  
ნახევრად ბარბაცით.

1421

დავლანდე შუქმფენი თვალები  
ჩამსხვრეულ სარკმლიდან,  
გოგონას უმანკო ღაწვთაგან  
ცრემლები დასცვივდა.

1422

მას დედის სურათი უპყრია  
ულონო ხელებით  
და გამვლელს იზიდავს უსიტყვო  
წყალობის ვედრებით

1423

მომძლავრდნენ დაისის ტალღები,  
აჟრჟოლებს მებადურს,  
იმდენად ჩაფითრდა ღაწვეები –  
დაეტყო წყენა გულს.

1424

რადგანაც სინაზე იმარჯვებს  
წილხვედრი განცდისა,  
განწყობა სინდისის წინაშე  
დამოძღვრავს საფიცარს.

1425

რადგანაც ყოველთვის სტკიოდა  
სიმები სიფრთხილეს,  
აისის არწეულ სიოდან  
წიკწიკში ვიფხიზლე.

1426

ეჰ, მაგრამ მსუნაგი ვერაგი  
რას აღარ იკადრებს,  
ჩათუთქავს ნამწვავი კელაპტრის  
კოპწია მინანქრებს.

## კ ა რ ი მ ე ს ა მ ე

1427

მტერს არ ვუსურვებ, შეემთხვა რაიც  
იონას ოჯახს გასულ კვირაში,  
უხსენებელმა დაგესლა ჯვარი,  
შესუდრულია შავად მირაჟი.

1428

ძალიან მიმიძიმს მომხდარის თხრობა,  
მიაბზო შემსწრე მოსამსახურემ,  
ღროის ვარაძი სამყაროს ცოფავს,  
ცუნამი რას არ გაანადგურებს!

1429

გამოიკვეთა სიხარბის ლოგო,  
გამომზეურდა ცოდვის მონება,  
მოგეხსენებათ, ბოლო დროს როგორ  
გახშირდა ხალხის დაწიოკება.

1430

და ერთ საღამოს როცა ჯაყელი  
გულმშვიდად იყო ცოლ-შვილთან ერთად,  
ოჯახს დაესხა ექვსი მძარცველი,  
ოთხმა დაუწყო ოქროულს ძებნა.

1431

ორი ავტომატ მომარჯვებულნი  
სახლში დამხედურებს შიშის ზარს სცემდნენ,  
გატყდით ოხრებო, სად გაქვთო ფული,  
თორემ დაქფუფქავთ სრულადო ცეცხლზე.

1432

დამყაჩაღებლებს ყველას ნიღბები  
ჰქონდათ სახეზე აფარებული,  
დაუნდობლობა არსაცხონები  
გაელვებაა ეშმაკეულის.

1433

ავაზაკებმა კარგა ხანს ძებნეს  
ძვირფასეული ყველა ოთახში,  
ვერარა ჰპოვეს, ხიზანს ეძგერენ,  
წაუთავაზეს დამფრთხალს ლოყაში.

1434

შე ხეიბარო, მსწრაფლ უნდა თქვაო,  
სად დამალეო ავლადიდება,  
ამ სახლში ფარა იმდენიაო  
საშვილიშვილოდ განაწილდება.

1435

მაგრად მიჟეჟეს ჩვენი იონა,  
მაგრამ ვერარა ვერ ათქმევინეს,  
ნარგიზა ცივი ხმით გაჰკიოდა,  
საწყალს სასაში შავ ჩვრებსა ჩრიდნენ.

1436

უეცრად ხელი უშვეს უფროსებს  
და აიტაცა ერთმა თეონა,  
ამ ყაჩაღებმა კიდევ უფრორე  
ბაღლამი წასცხეს ბეც უზნეობას.

1437

თქვეს, ოქროს და ფულის თუ არ მოგვცემთო,  
თქვენს თვალწინ დანით ავკუწავთ ბავშვსო,  
დაიღრიალა ჯაყელმა ერთობ –  
მოდით წაიღეთ თუ რამე გვაქვსო.

1438

შეეშვით ბაღლსო, არად მიღირსო  
არც ქონებაო და არც ცხოვრება,  
თავად გაჩვენებთ ყოველივესო,  
ვემონებიო გარემოებას.

1439

გაილაღეს თან დაძაბეს სმენა,  
ბანდიტებმა და ერთმა მათგანმა,  
ანაზღად იწყო ბოლთისა ცემა,  
უცებ ნარგიზა შეცბა გაშმაგლა.

1440

მოსიარულეს მივარდა ისე,  
რომ ჩამოგლიჯა ნილაბი მყისვე,  
გენადი იყო სავარგელიძე,  
შეშლილი ქალი გოდებას იწყებს.

1441

უთხრა: „მტარვალო ნახევრად ჩემი  
გაზრდილი ხარ და ეს რა გაბედე,  
რად გაიმწარე ცხოვრების დღენი,  
როგორ დამდაბლდი, როგორ განერთხე.

1442

შენი სიფათიც რომ არ მენახა,  
მიხვრა-მოხვრაში უმაღ გიცანი,  
შე საცოდავო, ეშმას მონა ხარ,  
დაგაგლახავებს ღღეის სიზმარი.“

1443

ბიჭმა განწყობას ველარა სძლია,  
გონამღვრეულმა ლულა შემართა,  
ქალის გულმკერდი დაცხრილა ტყვიამ,  
ჩამოიღვენთა სისხლი კერასთან.

1444

იონა ლომებრ ეკვეთა მკვლელს და  
გაშლილი ჯაყვა გვერდში აძგერა,  
გონზე მოეგნენ ყაჩაღნი ხელად,  
ციმ-ციმ მივარდნენ გენადს საშველად.

1445

ჯაყელი ცოფებს ცოფებზე ყრის და  
ძლივს გამოწიწკნეს ხელში დაჭრილი,  
ალარა ზოგავს ის უკვე მის თავს,  
გაუასკეცდა ბრძოლის წადილი.

1446

ულვთო მძარცველნი როცა დარწმუნდნენ,  
რომ უკვე კაცი მთლად შეიშალა,  
მისგან აბა რა ხეირს ნახავდნენ  
და შეუცუურეს ბოლომდე დანა.

1447

წაიქცა იგი საწუთროს გვერდით  
თვალეებლია და სისხლდათხეული,  
სული თვისებრივ განვრცობას ელტვის,  
სამარიდისოდ ჩაქრა სხეული.

1448

გარედან ხალხის ჩოჩქოლი ისმის  
და გასაქცევად იჩქარის ბანდა,  
წაილულლულა გენადიმ ძლივ-ძლივს,  
– არ დამტოვოთო, წამიღეთ თანა.

1449

ორმა მკლავებში ჩასჭიდეს ხელი,  
მაგრამ იმან თქვა – ვინც მბრძანებლობდა –  
აქ დააგდეთო ეგ სათრეველი,  
დროზე შესთხოვსო უფალს შენდობას.

1450

გაგვცესო ერთ დროს არ გამოვრიცხავთ,  
ამიტომამო სიკვდილი უჯობს,  
დაჭრილს აგემეს ტყვია უცბისად  
და გაიფანტნენ ქაოსში უხბოდ.

1451

ეჰ, ჩაგონებამ და იმის ქექვამ,  
რომ დარჩებოდა დიდი ქონება,  
გენადი ძალზე გაათავხედა,  
იგი თავის თავს ველარ მონებდა.



1452

მაშინ, როდესაც თეონა გაჩნდა,  
შურით აღივსო სავარგელიძე  
და აწუხებდა მუდამ ის განცდა,  
რომ ვერ ხელყოფდა ბიძის სიმდიდრეს.

1453

მან ქუჩა-ქუჩა იწყო წანწალი,  
უზნეო წრეებს დაუახლოვდა,  
ხშირად ჰამიძის ბოლით ჩამთვრალი  
გაუხეშდა და გახდა საგრძნობლად.

1454

ბოლოს დამკვიდრდა ისეთ ბანდაში,  
ძარცვა-გლეჯით რომ განცხრომას კენეტდა,  
არ ამფოთებდა სულის განგაში,  
ნაბიჯს უწყობდა გრძნობების სეტყვას.

1455

გულღვარძლიანმა თან გადაწყვიტა,  
თავზე დასხმოდა ჯაყელის ოჯახს,  
ქონება სრულად რომ წაეგლიჯა  
და დამტკბარიყო თუნდაცდა ოდნავ.

1456

ცოდვილს დაატყდა თავზე ძალუმად  
ყოვლადძლიერი განგების რისხვა,  
გენადის სული ქვესკნელს ჩაუყვა,  
ფერთა სიუხვე დააკლდა ცისკარს.

. . .

1457

როგორ ხანმოკლე აღმოჩნდა ერთობ  
იონას ბედის ვარსკვლავის ქროლვა,  
როცა წყვდიადი ბუნებას შეფობს,  
ურწმუნოს ეშმა გაიხდის მონად.

1458

მოვლინებულმა ყოფით სიმუხთლემ  
წყვილი შეჰყარა უდროო საფლავს,  
მოკვდავი რწმენას თუ არ იმრუდებს,  
სასუფეველისკენ გაიკვლევს გზა-კვალს.

1459

დღევანდელობის წარმავალობა  
თუ ხვალინდელ დღეს ეხმაურება,  
ამაოების მარდი სერობა  
ახალ თაობას უხრავს გუნებას.

1460

სრულ დავიწყებას ეძლევა მაშინ  
კაცის სული და კაცის ცხოვრება,  
როს ყოფის ნაყოფს ღვარცოფი დაშლის  
და ასამარებს ჩამპალ შმორებად.

1461

მარად იბრწყინებს ის ღიაღემა,  
რაც მოძრაობას სისრულეს ჰმატებს,  
უბერებელი ნახატის კდემა  
დაეფინება მოკვდავის სახეს.

1462

უფერულდება ბევრჯერ ნაწრთობი  
სულიერ მრწამსის ადაპტირება,  
სიტყვიერ განსჯის მადლით დავევოსდი,  
რადგან მომძლავრდა აზრის დინება.

. . .

1463

მოვინახულე კოხტა თეონა,  
თვალთაგან ცრემლი წასკდა საბრალოს,  
ამდენი დარდი, ამდენი კრთომა  
მოზარდს უწამლავს ხილულ სამყაროს,

1464

მოსამსახურემ იტვირთა სრულად  
ბავშვის აღზრდა და მეურვეობა,  
მზე უახლოეს ცთომილებს რუჯავს,  
ჯურღმულს სხივები ეუცხოვება.

1465

არ ჩაქრა კერა, მოისრა კრული,  
ცოლ-ქმარს შემორჩა შვილი ხატებად  
და ჯაყელების ამაყი სული  
კაცობრიობის ფერხულს აჰყვება.

1466

კიდევ მრავალი მოვა იონა,  
ცოტა შეისმენს უფლის მოთხოვნას,  
ბევრი აჰყვება ეშმას იოლად  
და დაამკვიდრებს მრავალ ოხრობას.

1467

საშინელია ღატაკის ხვედრი,  
განსაკუთრებით სიგლახის ფონზე,  
ბვალტყავა მოკვდავს მოადგა ნერწყვი –  
უახლოვდება გიზგიზა თონეს.

1468

როცა მას რამეს შესთავაზებენ,  
ცალკებად გამოსცრის შიშნარევ ღიმილს,  
დემონიური კვერთხი აფეთებს,  
თვალებს უჭრელებს ცლომილის ქიმი.

1469

როცა მოითქვამს სულს უპოვარი,  
უხერხულობის ზღვარს მიადგება,  
თვისებრივ ხვდება, უკვე ღრო არის,  
რომ წასასვლელად განაწყოს ნება.

1470

ერთხელ კი ერთმა მცოდნე ვეჭილმა  
მას შესთავაზა თვისთან ღარჩენა,  
მან იუარა, თანაც ეწყინა,  
რადგან არ ღართო ნება გამჩენმა.

1471

ეჰ, სიჭარმაგე რომ მომეძალა,  
ბევრის მომსმენი – ცოტას ვიჯერებ,  
მაღამო არ შველის ფაგედანას,  
აალაპლაპა ცელი სიბერემ.

1472

ტკივილისგან რომ ჩავიკეცები,  
მაშინლა მახსოვს ძველი ფაზარი,  
გაფიცხებულა მზეზე კეცები,  
გასანთლულია სელის ბაწარი.

1473

ძლივსლა მივყვები ეკლიან ბილიკს,  
ყოველ ნაბიჯზე ველი ფათერაკს,  
ბალახებისკენ მიძვრება ხელიკი,  
არ მიფიქრია მისი გათელვა.

1474

ჩასჭიდებია ყარიბი გუთანს,  
ბერმუხას ჩრდილში ჩამოვისვენე,  
ეთერმა იგრძნო ბელტების სუნთქვა,  
მწყრალად ჩასცქერის მიწას სიბერე.

1475

გაშიფრულია სიზმრის კომმარი,  
რადგან ლანდები აღარ მშორდება,  
უნდა გახშირდეს მაშინ ლოცვანი  
როცა მიქელა გვიახლოვდება.

1476

არც ძუმწი ვიყავ და არც პურშავი,  
მალე მეწვევა ბოლო სტუმარი,  
მან წუთისოფლის ჩაფარცხა არსი,  
სიცოცხლემ ცხადყო მისი გუძანი.

1477

მარადიულად მასთან ყოფნისთვის  
ვერ გავიმეტე სულის ფითილი,  
არც იქ ვიქნები ალბათ მორჩილი  
მისი წყალობით – ჩემი სიკვდილით.

1478

რადგან ენაზე მომადგა ნერწყვი,  
ბანალურ რჩევას ირიბად გეტყვით,  
– მანათობელი რომ ჰპოვოთ კვერთხი,  
უნდა შეიცნოთ კურთხევა ღმერთის.

1479

პირი მიშრება, გვერდებში მჩხვლეტავს,  
ძილის მეუფეს ვამჩნევ ხატის წინ,  
სპაზმები სასუნთქ გზებს ახშობს, კეტავს,  
ყური მიწივის, ქროლვას განვიცდი.

1480

საოცარია, ენით უთქმელი –  
სიკვდილ-სიცოცხლის შერწყმა მცირე ხნით,  
სამოთხის კართან ბლავის ურჩხული,  
გაბადრულია იუპიტერი...

1481

მგონი მოვბრუნდი, აღარა ვკვდები,  
კვლავ ვუბრუნდები ქვეყნიურ ვარამს,  
ძლივს გადავწიე სარკმლის ფარდები,  
რიჟრაჟის სხივის სიმძაფრე მზარავს.

1482

გადაბერებულ ცოდვილ მიწაზე  
შეცნობადობის ტალღა იმძლავრებს,  
სიაკაკაცობით დაკორტნილ ჭალებს  
სიკეთე რჩებათ ფესვთა სიმაგრედ.

1483

უზენაესი არ გაიმეტებს  
ცოცხალი არსის უმრავლესობას,  
ისევ იღუმლად, ქრისტე იმეფებს  
და განაახლებს ციურ მხედრობას.

. . .

1484

თუკი კაენი ისევ კაენობს,  
რის მაქნისია მაშინ გაერო?!  
აწ კიდობანი ველარ გვიშველის,  
ანშტაინი გარბის შიშველი.

1485

ღმერთმა რაც მოგვცა, არსში ჩამჯდარა,  
ზოგჯერ განწყობა ფორთხავს სხვაგვარად,  
რადგან ქვეყანა თითქმის წაირყვნა,  
საძებარია ყველგან კარგი ყმა.

1486

მონობაში დაიბადა მოსე,  
თვით იესო მონასავით მოკლეს,  
სოცრება ძირფესვიან მოვსრეთ,  
მომავალი ქედს ადვილად მოღრეკს.

1487

როს არ იყუჩებს ვნება დაგმობით,  
არ დაგვიცურდეს ფეხი ნალრძობი,  
სულ ორჭოფულად მიჭირავს თავი,  
ჩამოეხურა ტერასას ზვაჳი.

1488

როს განივთების ჩაწყდა ზამბარა,  
ბეცი ფიქრები ლაფში ჩამლრძალა,  
გულს ეფონება სტვენა ჩიტების,  
ღვთივ შეგონებას შევციცინებდი.

1489

ვერ მივუნგრე მომხვლურს გვერდები,  
ბრბოს შევერე შეტერებ-შტერებით;  
როს ტყავს გაიდრობს კორიანტელი,  
სივრცეს დაიპყრობს ღენთის ფანტელი.

1490

ნღობა მამჩატებს ოცნებით სავსეს,  
შური აჯანჯლებთ უხიაგ ნავსებს,  
როცა საზღვრებში ვეღარ ვეტევი,  
მწუთხობს თანხვედრი მისატევები.



## კ ა რ ი მ ე ო თ ხ ე

1491

მაშინებს სიშორე ვარსკვლავთა  
და მთვარის სიცივე,  
ჩიტების ცქრიალი დამთავრდა  
დაბნელდა იწვიმებს.

1492

ხელდახელ ვაჩალებ ჩირადდანს,  
თავს არ ვთვლი ყარიბად,  
ამაო ვედრება, ღალადი  
ცას ერთვის ტარიგად.

1493

დახშულა დარაბა ანაზდად,  
ვალვივებ ძველ ბუხარს,  
სტიქიამ კარები ჩარაზა,  
ვთბები და თან ვწუხვარ.

1494

ჩამთვლიმა, ვიხილე ჭინკების  
მაცდური გალობა,  
გალაღდნენ ადამის შვილები,  
ეროსი სწყალობდათ.

1495

უდაბნოს ტრამალი ტორტმანებს,  
არ უჩანს ცას კიდე,  
ტალღები უაზროდ მატარებს,  
აფრები გაკვიდე.

1496

ნიმფებმა ლაჟვარდი გასანთლეს,  
თვალს ვერ ვწყვეტ, მიზიდავს,  
რით გავძლო, ვით შევძლო წასვლამდე –  
ცას ვეძმო მიწიდან!

1497

იფუვლა კამკამა სივრცეში  
საკმეველის სურნელმა,  
ინატრეს ღვთიური მირონი  
განწირულ სულებმა.

1498

შემორჩა ცოდვილი ნასისხლი  
სასახლის დერეფანს,  
გაფითრდა ჯადოსნურ გვირგვინის  
მიხრწნილი მშვენება.

1499

თვალთმაქცი მოძღვარი ქადაგებს  
გაწალდულ სამებას,  
პარტახში ფარფაშებს მუღმივი  
მტრობა და ვაება.

1500

დამთავრდა დაღმართი შუბებით  
დასერილ ვარაზის,  
რატომღაც მეზმანა უბელო  
ტაიჭით ნავარდი.

1501

სამრეკლოს სამტრედე დალეწეს  
მშიერმა სვავებმა,  
ობობას ხლართებში ჭრიჭინა  
შემთხვევით გაება.

1502

იფეთქა ხანძარმა ნავთლულის  
ხალხმრავალ ბაზარში,  
მიყუჩდა ხიდის ქვეშ ბადახშით  
განცდილი აზარტი.

1503

აცხუნებს შამფურებს კერიას  
თვალჭრელი დემონი,  
უცხოურ ნაწარმთა ჯერია  
დამუხტვა სეზონის.

1504

ცვარ-ნამი ნიაღვრის დინებას  
ადვილად დანებდა,  
ხაზინას გროში არ შემატეს  
წითურის ბანდებმა.

1505

სეტყვისგან ნაბეგვი ტოროლა  
ზვინამდე მიფრინდა,  
ყარიბი გულნაკლულ შეჩერდა  
ჩარაზულ წისქვილთან.

1506

გაბზარულ კავიდან ისკუპა  
გაფხორილ კალიამ,  
დაფარცხულ საზღვრების გათელვა  
ჯამუშის ბრალია.

1507

დამკვიდრდა ფასების მატება  
დუხჭირი დროებით,  
წითურმა მიწურში ჩამალა  
ბაჯალლოს ზოდები.

1508

აღმართეს ქარხნის წინ კოცონი  
ყოფილმა მუშებმა,  
ბანდების მხილებამ გაძარცულთ  
ვერარა უშველათ.

1509

ნდობის ბრმა სასწორი აშალა  
ვერაგულ ზრახვებმა,  
ბელელი გულდაგულ დალუქა  
მაძღარმა თავხედმა.

1510

დაბალმა ფენებმა უხშირეს  
მასობრივ გამოსვლებს,  
ოსტატი ყარიბებს საბრძოლო  
მასალებს აწოდებს.

1511

დამშეულთ ცხოვრების წყურვილი  
მეტადრე აცოფებთ,  
არბევენ ღატაკთა ჯგუფები  
ცარიელ საწყობებს.

1512

გრიგალის გნიასში დაემხო  
პარტახის მთავრობა,  
წითური მცირედი ამალით  
მთაშავს გარბოდა.

1513

მღევარმა ივარგა, ჩაქოლეს  
სულპილწი მტარვალნი,  
დამარხულ ოქროთა პატრონი  
არ დარჩა არავინ.

1514

სასახლის ნანგრევთან შეჩერდა  
თავლია კარეტა,  
ცხედრების პარაკლისს სატანის  
ყაღალა დაედვა.

1515

აეწვა გულმკერდი ქაოსის  
ურთულეს ლაბირინთს,  
უკუნის ელამი მესტვირე  
უტიფრად გაჰკვივის.

1516

გახშირდა ძარცვა და კაცის კვლა  
დაქცეულ პარტახში,  
შემორჩა ხელწაჭრილ ჩინოვნიკს  
უხანჯლო ქარქაში.

. . .

1517

მიმქრალი ვარსკვლავის ქვეგარდმო  
ციაგებს ნათურა,  
მაცხოვარს ფერიამ მირონი  
ლაწვებზე აპკურა.

1518

შეირგო ცვრიანი ბალახი  
ფერმერის ცხვარ-ძროხამ,  
მშრომელის ძარღვფართე მარჯვენა  
განგებამ დალოცა.

1519

ხვაემა და ბარაქამ შეამკო  
მთაშავის სამეფო,  
შრამიანს სიბერის მიჯნაზე  
სიფრთხილე დაეტყო.

1520

ორმაგად გაზარდა საზღვრების  
დამცველთა რიგები,  
უხშირა ჯაშუშთა შექებას  
ფასიან სიგელით.

1521

აუწყეს – მოდისო პარტახის  
ურიცხვი ლაშქარი...  
ღრუბლებში გაეკრა სიმბოლო  
კოსმიურ ლახვარის.

1522

აგორდა ნანგრევთა ზეგარდმო  
გვამების რიალი,  
მხეცებმა ბუნაგი დასტოვეს  
ველური ღრიალით.

1523

ტრამალი მოხრუკა ავსულმა  
ჯადოქრულ ქარცეცხლით,  
ერევა მდინარეს სისხლისფერ  
ბინულის ნაწრეტი.

1524

ჭაობში ურთხელის სარები  
უღროოდ ჩამპალა,  
პირმშრალი მოკვდავი წააწყდა  
ცარიელ მათარას.

1525

ორმხრივი სიკვდილის პარპაშმა  
კარგა ხანს გასტანა,  
ღვარცხოფმა იტვირთა გვამების  
უფსკრულში ჩატანა.

1526

ვითარცა პარტახში – მთაშავას  
ქვა-ქვაზე დადულდა,  
შემორჩა ბოსელის მაგვარი  
ფიცრული სადგურად.

1527

თვალდათვალ ვამჩნევ, რომ გადარჩა  
სამიდან ერთილა,  
მამაო მორწმუნეთ უკითხავს  
ბიბლიის ეთიკას.

1528

გადამწვარ შენობის ბუხარზე  
დაბობლავს ობობა,  
მან ქსელის მთავარი სადავე  
ნელ-ნელა მოთოკა.

1529

სისხლისმსმელ გრიგალის ქუხილი  
ღროებით დასრულდა,  
შეკარდენს თასმები შეუხსნა  
თავადის ასულმა.

1530

სიფხიზლის ზედაშე დაწურა  
აისის ზარებმა,  
უღელში მოზვრები გუთანმა  
აქცია ხარებად.



1531

მზის სხივმა დაიპყრო ლაჟვარდის  
მიმქრალი სილურჯე,  
უკურნელ იარას ქვატკეცის  
ალერსი მიყუჩებს.

1532

ბაღნარის სურნელის სიმძაფრეს  
სიამით ვერგევი,  
წვივებზე მეხვევა ბერძუნას  
ნასხლეტი ფესვები.

1533

ღრანტეებს ნელ-ნელა ავცდი და  
თითქოსდა ვმშვიდდები,  
ყვავილობს ბილიკის გადაღმა  
ხასხასა შინდები.

1534

ღროება გაწმინდავს ცხოვრების  
მოსილულ კალაპოტს,  
სატურნის ღიმილი აღონებს  
მოქანცულ ქარაშოტს.

1535

აყვავდა საზღვრების მშვენებად  
ველური ყაყაჩო,  
ოსტატი ლერწმისგან ამზადებს  
ახლებურ ხარაჩოს.

1536

განელდა სისხლისღვრის წყურვილი,  
სამყარო დამშვიდდა,  
ყავარი ყავარზე გამოდის  
ვარვარა დაშნიდან.

1537

განიცდის სიცოცხლის სიშორეს  
თვალბასრი მერკური,  
ქალწული მეზობლის ვაჟბატონს  
ღროებით ეძღურის.

1538

ყარიბი მევახშის ვალს იღებს  
მომავლის იმედით,  
წკრიალებს ბახუსის წიაღში  
ფანდურის სიმები.

1539

მთვარე კი ღამეულ ვარამის  
ვაებას შეჰყურებს,  
მღრღნელები სოროსკენ ათრევენ  
ჟანგიან ლეკურებს.

1540

მთვლემარე მონაზონს აფხიზლებს  
სულების ჩურჩული,  
სატანამ უჩუმრად გასწია  
უფსკრულის ურდული.

1541

იესომ პირჯვარი დასწერა  
პარტახს და მთაშავას,  
სამხრეთის ღრებელი დაიდრა,  
ნელ-ნელა გაშავდა.

1542

ნიაღვრის შხეფებით პირს იბანს  
რიჟრაჟის ღვთაება,  
მოკვდავთა გულები შეათბო  
სამოთხის დარებმა.

1543

ეჰ, როგორ დაგვშორდნენ მოძმენი,  
შორეთში დათრთიან,  
ჩამკვდარა სურვილი მოლხენის,  
ხევს ძონდი აცვია.

1544

მივათრევ უფსკრულის პირამდე  
ნიღბიან სილაჩრეს,  
ეხ, ნეტავ თავს როგორ ვიმართლებ  
სინდისის წინაშე!

1545

მეზმანა, მისტიურ ფრთიანმა  
ბოძალი მომართა,  
ნაბიჯის აღრევა ნიადაგ  
ბიძგია კოშმართა.

1546

საზარლად მოისმის ნაწრთობი  
ჯაჭვების ჟღარუნნი,  
მომწყურდა ურთიერთ არგმობის  
სტიმულის ზღვაური.

1547

საოცრად შეჰყივლა მამალმა,  
ბუმ კანჭზე იკბინა,  
უკუნი ძალუმად აშმაგდა  
სიახლის სიმწრიდან.

1548

აფრინდა ნაკრუხი ხოხობი,  
შეერწყა განთიადს,  
სტიქიას, საავდროდ მოფონილს  
ფაფარი აშლია.

1549

დაეძარი კარეტა ნამყოდან,  
ტაიჭმა იმარჯვა,  
ფოცხვერი ბექობზე ახოხდა,  
ვაელვებ მინანქარს.

1550

წუთიერ იმედის მაშხალა  
დილის სუსხს ვაკვესე,  
ვერარა ხალისი და ძალა  
ვერ მოშლის საკვნესებს.

1551

ზეგარდმო შემოდეს კუდები  
დაბლილულ ყავარზე,  
უტიფარ სიბილწით უძღები  
ჩააღნა სავარძელს.

1552

ო, როგორ თახსირად გაისმა  
შოლტების გნისი,  
ნისლები ახვეტა დაისმა  
უკუნის წიაღში.

## კ ა რ ი მ ე ხ უ თ ე

1553

თუ ოცნების თეთრი რაში  
არ აიჭრა მალლა ცაში,  
თუ ყვავილებს არ კრეფ ნაზად,  
სათნობა კარებს რაზავს.

1554

თუკი აზრის მწველი ჯადო  
ყინვის ლოლოს ველარ აღნობს,  
თუ არ შეგრჩა მიწის მაღლი,  
ქარაშოტი საყრდენს გაცლის.

1555

ახირებული გუნება  
უახლოვდება ცღუნებას,  
ორაზროვანი აზრებით  
გაცვლა იმედი გაძლების.

1556

თუკი ვერ განვჭვრეტ მომავალს  
ამაოების მონა ვარ;  
რადგან სიყვარულს ვეძებდი  
ვედრების ქომავს ვედრები.

1557

ძველი ციხე კოშკების  
ახალ გასაოცრებით,  
ახმიანდა სტრიქონი,  
წვეთავს ფრესკის მირონი.

1558

ნათელ წინაპრის მრწამსი  
მომავალს სასმისს აწვდის;  
სცნო ცისარტყელას სზივმა  
დრო რომ შეიცვლის შირმას.

1559

თეთრი გალავნის მიღმა  
ერთ დროს ხოხობი იჯდა,  
დღეს წითელგულა ჩიტი  
თვალცრემლიანებს ითვლის.

1560

დამეჩვია რადგან მარცხი,  
თავს სიმშვიდეს აღარ ვაცლი;  
ლუკმა ყელზე დამადგება,  
თუ არ ვჭედე გამარჯვება.

1561

რასაც ვიმკი სიმწრის ფასად,  
გაიზრდება ერთი ასად;  
რაც რომ თავად მეძალება,  
არ ღირს სიტყვის შეძახებად.

1562

განმიცხადა ვინაც მტრობა,  
აცოდვილა ნებისყოფა;  
ვინაც გზები დამილოცა,  
ის ამაოდ როდი მოცდა.

1563

ვარსკვლავს მისწვდა შევარდენი,  
ხარობს ზეცა შენაძენით;  
ციურ დასის ხატოვნება  
ძილბურანის არს ცხონება.

1564

უეცარი აღტკინება  
ადვილად არ დამკვიდრდება,  
დროა რამე ვიმოქმედო,  
თორემ მტერი იპყრობს ბეჭობს.

1565

ვარაშს კბილი აუღესავს,  
დროს განწყობა დაუგეშავს,  
საოცარი აღტკინებით  
ქრება შიში განივთების.

1566

გაწბილების აგონიას  
შემწეობა არ ჰქონია,  
გადაცხრილულ ნიღბებს მიღმა  
სისასტიკე ამობრწყინდა.

1567

უშედეგო გაბრძოლება  
ეწირება დაბრკოლებას,  
ცხრაკლიტულში სინამდვილე  
საერთო სენს ინაწილებს.



1568

უდარდელი ბელურების  
ჟივილ-ნივილს ვეშურები,  
რწმენის ექო წმინდა ნინოს  
ღროზე უნდა მივაწვდინო.

1569

გონება ისე დადინჯდა  
გაეყო გრძნობის საჯიჯგნავს,  
არადა გული ოხერი  
მოტრფიალეს მოლხენის.

1570

ყოფით განსჯის სიუცხოვე  
დასჩვევიათ შემცბარ მოგვებს;  
ცერცეტ უმადურობამ  
ჩაგვამწარა პურობა.

1571

ვინაც ღვარძლით ავსებულა  
გზას ვერ იკვლევს მართებულად,  
ქედმაღლური დოინჯი  
გაწბილებას მოიმკის.

. . .

1572

მარადისი არ იქნება  
სულიერი წვა და დაგვა,  
თუ ღვთაებრივ გარინდებას  
განცვიფრებაც თან არ ახლავს.

1573

როცა ბრიყვის ყბელობას  
არ ეძლევა საზღვარი,  
ბრბოის უმოქმედობა  
ჭაობშია ჩამცხვარი.

1574

ბერწა სმენის საცობი  
შეკივლების შეგრძნებამ,  
თვალეებლია ბრმადყოფილს  
არაქათი მეცლება.

1575

როცა ველერ ვივიწყებ  
გადარჩენის წამებას,  
ჩემი არსის სიმშვიდე  
დააკურთხა ღვთაებამ.

1576

იშვიათი შეგონება,  
გულმხურვალე ღაღადი,  
შემთხვევას არ ემონება,  
ზეობს კუბოს კარამდი.

1577

ამიტეხეს წიოკობა,  
შემაჩვენეს კინალამ,  
ფრთაშესხმული უგულობა  
ნამუსს ძნელად ინახავს.

1578

დამიფარე სიშმაგისგან  
განრიდების ძალავ,  
როცა მრწამსი გამიწბილდა  
ურვა თავს ვერ ძალავს.

1579

კიდევ დიდხანს გავუძელი  
უსამართლო ზეწოლას,  
არ დარჩება დაუსჯელი  
ვინაც მწარედ შესცოდა.

1580

არაფრის გამო წუწუნი  
გულნაკლულობას დასჩემდა,  
ღღევანდელობის უკუნის  
გაჭიანურდა განჭვრეტა.

1581

ღვთივშობილი განკვეთა  
იწვევს მელანქოლიას,  
მადლმოსილი სამება  
ჩააყუჩებს ფორიაქს.

1582

მოკლე თვალსაწიერის  
შეკრთა ბუნდოვანება,  
არსება მიწიერი  
ცდილობს გახდეს თავნება.

1583

აქუხებულ მდინარის  
გადალახვა კვლავ გვიჭირს,  
გოლგოთა კი წინ არის –  
გაღმა გასვლის პირისპირ.

1584

მაშინ როცა კაენი  
ხელუხლები დარჩება,  
არ ამართლებს თავხედის  
ცალკერძ გასამართლება.

1585

ნება-ნება ხურდება  
ცხოველმყოფი ბუნარი,  
უთავბოლო ცდუნება  
თავს აიგდებს მუქარით.

1586

ზენიტშია ჩვეული  
მესიათა მარულა,  
ამბონზე რჩეული  
სახე ამოსარკულა.

1587

პირმშრალს ტბორი მიცინის  
ღვეის ნაფეხურიდან,  
შოშიების წიწინი  
ქარის საყვედურია.

1588

ლპება ქვესკნელს დანთქმული  
მითიური შურდული,  
ისევ ზეობს გართხმული  
მოწამლული ურჩხული.

1589

ჯოჯოხეთი ყრუვდება  
ყორანთ გადაძახილით,  
ეწირება ცდუნებას  
თვით ბებერი არწივიც.

1590

ცამ იქუხა, გაწვიმდა  
და ტაიჭი ფრუტუნებს,  
ჩირაღდანი ჩამიქრა,  
რა გაივლის უკუნეთს!

1591

სრულყოფილი და უნაკლო  
არვინ ყოფილა რადგანაც,  
მოკვდავი ისე მსუნაგობს –  
წილს აკლებს მიმნობ ამხანაგს.

1592

სათქმელი თუკი გაცხადდა  
უნდა შეფასდეს მომხდარი,  
ცოდვა-მადლს თვისებრ განსაზღვრავს  
გარდაუვალი ღომხალი.

1593

ამიტომ შიშველ ტრამალზე  
ერთი ყვავილიც რომ იყოს,  
დასჯერდი მის სილამაზეს,  
გზები დალაშქრე ძმობილო!

1594

თავს რომ მოვუწყე გამოცდა,  
დასკვნის სიცხადე მიჭირდა,  
ტყუილი მართლად წამომცდა  
ათიათასი სიტყვიდან.

1595

დააჭრეს თმები სამსონს და  
ამოუღამეს თვალები,  
გაიჭიატებს სამოდვრად  
განცდა მოგვრილი წამებით.

1596

სინდისი რომ გაწირეს,  
ბევრი რამე ჩაფლავდა,  
ამ აღრენილ თახსირებს  
არ ასცდებათ ალაგმვა.

1597

რადგან კერპთა სიმრავლემ  
რწმენას ბზარი შემატა,  
უფლის მუდმივ მოვალეს  
ღრომ ეჟვანი შემაბა.

1598

აბოროტებს უმაქნისთ  
დემონების ალღუმი,  
წუთისოფლის ქურაში  
დაუარეს დავლური.

1599

გაუცრუვდათ იმედი  
არაფრისმთქმელ სახეებს,  
შეცდომების მხილების  
გააზრება მამხნეებს.

1600

რა უტიფრად ფარფაშებს  
ბუნდოვანი აზრები,  
აფრთხობს ეშმას დამქაშებს  
ნიჭი წვის და გაძლების.

1601

მოზღვავებულ სურვილებს  
არ დაადგა საშველი;  
პირსისხლიან ვამპირებს  
დაუდუძდათ სათქმელი.

1602

მინდა, ერთიც დავხელო  
სანაპიროს დინებას,  
ხიზანმა ხომ აქ ერთ დროს  
ვნების ძლევა ინება.

1603

და სადაც რომ მოკვდავი  
ბინას ძნელად დაიდებს,  
სადაც სულის ლოცვანი  
პარნასის სვეტს აიგებს.

1604

ძველთაძველი ფიცრული  
ნანგრევებად ქცეულა,  
ეს თოლია ქებული  
თავს მშვიდად გრძნობს ეულად.

1605

დააცხრა ის ტალღას და  
ყელი ჩაიტკებარუნა,  
წერომ ფრთები გაფარჩხა,  
ღრუბელს უთვლის სამღურავს.

1606

გარემო რომ აკვნესდა,  
დეღამამ დაიგრილა,  
წვიმის თქეშმა ჩარეცხა  
მოსილული იარა.

1607

გალუმპული უნებურ  
ნაბიჯს ძლივსლა ვატოკებ,  
ლუდხანასთან მიგდებულ  
მაწანწალას აბოდებს.



1608

სივრცეს ბინდი მოეჯარა,  
შინაგანად მაციებს,  
გავუყევი ისევ შარას,  
ნიაღვარი ჩავწიხლე.

1609

სხეულს უცებ ეფეთა  
უცხო ციებცხელება,  
მუხლი რომ მომეკვეთა,  
გულ-მუცელი მერევა.

1610

როგორც იქნა მივალწიე  
იმ ადგილზე სნეულმა,  
სადაც ოფლი დავანთხიე,  
სად ძაფს ვრთავდი შვეულად.

1611

რა მიხილა დამხვდურმა  
ასეთნაირ ყოფაში,  
უმაღ მიშინაურა,  
გავიშოლტე ოთახში.

1612

აბა ჩემთვის ვის სცალია,  
კაცია თუ ქალია,  
წუთით მოვლენ, წია-წია  
ლუკმას ძლივ-ძლივ ჩამჩრიან.

1613

ახლა როცა სნეულებამ  
ხელი ძლიერ დამრია,  
მინდა, სულთა წვეულება –  
ვგრძნობდე სიტყვას საზრიანს.

1614

უტყვ კედლების მზერა მზარავს,  
განდგომის ძველ მოტრფიალეს,  
ეს ოხერი წარა-მარა  
მაცივებს და მაჟრიალებს.

1615

ვგრძნობ, ვინც მივლის იმას თავი  
მოთხოვნებით მოვაბეზრე,  
რადგან მგონი გავხდი ავი,  
მივიბჯინე მუშტი მკერდზე.

1616

ბოლო ჟინით წამოვდექი,  
დამზრალ თვალებს ოღნავ ვახელ,  
მშვენიერი მოჩანს ხედი,  
ცისარტყელას ვუშვერ სახეს.

1617

საოცარი უტყვი კადრით  
მზის სხივებმა მაგრძნობინა –  
უსასყიდლო სითბოს მადლით  
ქვეყნად სუნთქვა განვრცობილა.

1618

განწყობა რომ მიზანს ასცდა,  
არვინ ხედავს ზოდებუნებს,  
აღვირახსნილ მოდემას კაცთა  
განსაცდელი მოარჯულებს.

1619

ძალისძალად გავიყურე,  
სენის ღვითქი მკერდს მღულრავს  
და ლაჟვარდის სილურჯე  
თვალამღვრეულს მემუქა.

1620

ვერას ვამბობ უკეთესს,  
რაც უქია რუსთაველს,  
ხალიჩებს მას უფენენ  
ვინც ყბელობას მუსრს ავლებს.

1621

როგორ მორცხვად დამკანკალებს  
თავზე ყოფის ანგელოზი,  
მას უსტარი გავატანე  
ჯერ არხილულ გარემოში.

1622

რადგან სიტყვით გამოვსახე  
იღუმალლი აზრის კრედო,  
ნამოქმედარს, სევდით სავსეს  
მკაცრად უნდა გადავხედო.

1623

რადგან გულმა მიყო რეჩხი  
ღირდა თავის შეწუხება,  
აწმყო წარსულს ისე ჰყვედრის –  
მომავალი მემწუთხება.

1624

რადგან ქვეყნად ცოდვა-მადლის  
განმკითხავი ვერვინ ვპოვე,  
ვით დავადო ნაშრომს ყადრი,  
გახუნებულ ფურცლებს ვტოვებ.

. . .

1625

მოცრა განგებამ წუთიერი  
ჟამთა სიმუხთლე,  
ბინდი ამეკრა, იმიერის  
წამი ვისრუტე.

1626

რადგან ოცნების მარგალიტი  
ტალღამ წარმტაცა,  
ძნელად ვცხონდები ასაკვირტი  
ვნების ცარგვალთან.

მ ა ი ლ ო ბ ი

1627

საქვარიანოს ციხის ნანგრევთან  
ამოსჩქეფს ლაღად წყარო უშრეტი,  
ცრემლიან ლოდებს ხავსი ეხვევათ,  
სამყაროს ერწყმის არსის უჯრედი.

1628

წინაპართ სულებს გავესაუბრე,  
მერუჯულია ჯურღმულის თაღი;  
იონას ლანდი გადმოდგა ზღურბლზე,  
დამინახა და დახარა თავი.

1629

მივუახლოვდი, მიმქრალ თვალებში  
ამოვიკითხე უსაზღვრო სევდა,  
მას სიმარტოვის ბაცი ნაჭდები  
ამოტვიფრია უხორცო მკერდთან.

1630

ამ ჰემისფეროს დახუთულ გარსში  
მგზნებარე გულებს ამაოდ ვეძებ;  
ჭინვინებს სული ვითარცა რაში,  
ღურმიშხანია – გადმოდგა სერზე.

1631

როცა შემნიშნა ახლადმისული,  
ის მედიდურად შემომამჩერდა;  
ბექობზე იწვის რალაც ფიცრული,  
გამძაფრდა ალის შემონათება.

1632

ანაზღეულად ლანდი გამოჩნდა  
და უმაღ გაქრა როცა ვიხილე,  
ტურფა ნარგიზას აქაც ამკობდა  
არამქვეყნიურ სახის სიფითრე.

1633

აქ მარადიულ, მცხრალ სანახებში  
ვერ შევხვდი სულებს თანაზიართა,  
ყველა თვის კლემის სილუეტს ერწყმის,  
ყველა თავისთვის კემსავს იალქანს.

1634

თოში გამძაფრდა, ვიხრები მზისკენ,  
მფრინავი თეფშის ქროლვა ჩამესმა,  
მომიახლოვდა რომელიც მყისვე,  
მინოსი მიხმობს უზენაესთან!

# პაკუნა ქვარიანი

## ხიზანი

რედაქტორი – მიხეილ კაკაბაძე

კორექტორი – ციცინო გეგეჭკორი

ტექნიკური რედაქტორი – მანანა ტატალაშვილი

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა  
„ქართული წიგნის“  
კომპიუტერულ ცენტრში.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მანანა ტატალაშვილი

გადაეცა წარმოებას 30. 09. 2022.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 10. 2022  
ქალაქი ოფსეტი №1. ქალაქის ზომა  
60x84 1/32.  
ნაბეჭდი თაბახი 21,0

გამომცემლობა „ქართული წიგნი“  
თბილისი, ივ.მაჩაბელის ქ. №15  
2022 წელი